

ლიტერატურული ალმანახი

# ხიჩნაძე უჯი

აგვისტო 2016



დადოფლისწყაროს სიონი

ISSN 2346-822X



9 772346 822004 >

№ 2

ლიბერალური აღმანახი

# „ხორნახეუჯი“

ფასი 3 ლარი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამოცემა

2016 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

<b>ხსოვნა</b>	<b>პროზა</b>
ზაურ გონაშვილი ..... 2-6	გია აბაზაძე ..... 37
<b>პოეზია</b>	<b>პოეზია</b>
გიული სამუკაშვილი ..... 7	მარიამ კოზმანიშვილი ..... 39
ბორის სამუკაშვილი ..... 7	ზიზო ბურდული ..... 40
<b>აღმანახის სტუმარი</b>	ელდარ ჭიჭიაშვილი ..... 41
ნიკოლოზ ჯანიაშვილი ..... 9	ზაქრო აბაიძე ..... 43
<b>ახალი სახელები</b>	მარიამ გიგაური ..... 44
ნათია ჭინჭარაული ..... 11	თინათინ მრელაშვილი ..... 45
სანდრო მოსეშვილი ..... 14	ეთერ ფაცურია ..... 45
<b>„ცოცხალი წიგნების“ დღიურები</b>	ლელია თარალაშვილი ..... 46
ზაზა ბიბილაშვილი ..... 16	<b>თარგმანი</b>
<b>იუბილე</b>	ნატალია სლავინა ..... 47
ფარნა რაინა ..... 19	ნატალია აბრამცევა ..... 48
<b>პოეზია</b>	ვლადიმერ მაიაკოვსკი ..... 49
ვაჟა ოთარაშვილი ..... 20	პოლ კლოდელი ..... 51
თამაზ ნიკლაური ..... 23	<b>პუბლიცისტიკა</b>
ზაზა ბიბილაშვილი ..... 24	მღვდელი ილია ჩიკვაძე
ლევან ალავერდაშვილი ..... 28	მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურული
<b>პროზა</b>	აზროვნების კონტურები ..... 54
მაკა ლდოკონენი ..... 29	<b>დედოფლისწყაროს ისტორიიდან</b>
მარიანა ნანობაშვილი ..... 30	ეგული ყორიაშვილი
<b>პოეზია</b>	დღეები ახლო წარსულისა ..... 55
ნინო მოდრეკილაძე ..... 33	<b>დედოფლისწყაროს ისტორიიდან</b>
ნუნუ ძამუკაშვილი ..... 34	ჭავჭავაძეები დედოფლისწყაროში ..... 57
ქეთევან ნათელაძე ..... 35	<b>დედოფლისწყაროს გამოჩენილი შვილები</b>
ნანა ქელეხიძე ..... 36	ქიზიყის დიდი ჭირისუფალი
	ანტონ ივანეს ძე
	ნატროშვილი (1852–1930 წწ.) ..... 61
	<b>ხსოვნა</b>
	დიაკვანი გიორგი გაჩეჩილაძე ..... 64


**შ**ღმანახის გამოცემაში ხელშეწყობისათვის მადლობას მოვასხენებთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ **ნიკოლოზ ჯანიაშვილს**, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ **ზვიად ჯავახიშვილს** და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორს ქალბატონ **ნონა ჯიბლაშვილს**.

რედაქტორ-გამომცემელი:  
გიორგი ნატროშვილი

აღმანახის ქუდის ავტორი:  
სერგო ქართველიშვილი  
გარეკანის ფოტოების ავტორი:  
ვაჟა ჩერქაზიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:  
გიორგი ნაპროსიანი

დაიბეჭდა მხ პოლიგრაფში



„ვაზის ძირში ლექსსა ვწერდი...“

ულ ახლახან, 26 მაისს, საუკუნო განსასვენებელში გავაცვილეთ ჩვენი უფროსი მეგობარი, შესანიშნავი პოეტი და მშენებელი დიდოსტატი ზაურ გონაშვილი. 2017 წლის 23 ოქტომბერს მას 80 წელი უსრულდებოდა; სამწუხ-

აროდ აღარ დასცალდა. ზაურ გონაშვილი ქიზიყის ერთ ლამაზ სოფელში სამრეკლოში(ყოფილი ჯაფარიძე) მკვიდრობდა და როგორც თავად ამბობდა ნახევარი სოფელი მისი აშენებულია. ბავშვობაში ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონია; სამხედრო სამსახურში გაუნვევიათ, მაგრამ იქიდან სამხედრო სამედიცინო კომისიას, არასათანადო ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო უკან დაუბრუნებია. თვითონვე გვეტყოდა ხოლმე, რომ არა ღვთის შეწევნა აქამდე როგორ მოვიდოდი და ამდენს რა ძალა ამაშენებინებდაო. მართლაც საოცარია, რომ აღარაფერი ვთქვათ საცხოვრებელ სახლებზე, სკოლებსა თუ საბავშვო ბაღებზე, მას ცხრა ეკლესია მონასტრის აშენებაში და რესტავრაციაში აქვს მონაწილეობა მიღებული. მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარი(ფოტო იხ. გარეკანის 1 გვ.) და ნმ.ელია თეზბიტელის მონასტერი(ფოტო იხ. გარეკანის მე-4 გვ.), რომელთა შენებაშიც ლომის წვლილი აქვს შეტანილი. თუმცა თავის

თავს უბრალოდ კირითხუროს უწოდებდა და მიუხედავად გაკეთებულის საქმეებისა საოცარი თავმდაბლობის მატარებელი დარჩა ბოლომდე. მის სამშენებლო ნიჭსა და შესაძლებლობებზე ვფიქრობ სხვები უფრო კარგად ისაუბრებენ. მე კი მსურს მის „მთავარ გატაცებაზე“ (ისევე მისივე სიტყვები, რომ გამოვიყენოთ) პოეზიაზე გესაუბროთ.

ზაურ გონაშვილს სხვადასხვა წლებში სამი პოეტური კრებული აქვს გამოცემული. ამ კრებულებში მასთან ერთად მისი მეუღლის ქალბატონ გიული სამუკაშვილისა და მისი ქალიშვილის ქალბატონ ლელა გონაშვილის ლექსებიცაა წარმოდგენილი.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ვინც ბატონ ზაურის ახლოს გაიცნობდა, იმ წამში თვალში მოხვდებოდა მისი თავმდაბლობა, ის რომ თავის ლექსებზე დიდი წარმოდგენის არ იყო(რაც არ არც თუ ისე ხშირია პოეტთა სამყაროში). იტყოდა ხოლმე, „მე ჩემს ჭიას ვახარებო“. ამ თავმდაბლობისა და თვითკრიტიკულობის გამოხატულებაა მისი ლექსების ერთ-ერთი რვეულის ბოლო ფურცელზე მინაწერი ერთგვარი შემაჯამებელი კუპლეტი:

„ცუდი როა, იმას ვტირი,  
ცოტა როა, იმას – არა,  
წაიკითხავენ, იტყვიან,  
ნეტავ ეს რა იმასხარა.“

აქვე მოვიყვან ჩემს ექპრომტს, რომელიც ამ კუპლეტის პასუხად მივუგე ზაურის, რაც გამოხატავს კიდევ ჩემს დამოკიდებულებას მისდამი, რამაც ეს წერილი დამანერინა:

აგური კედლად აგყავდეს,  
სიტყვა სტრიქონად ასხა რა,  
ზაურ, ნეტა ბევრი გყავდეს,  
ჩვენ შენისთანა „მასხარა“!

პოეტის ზემოთ აღნიშნულის თვალსაზრისის გამოხატულებაა აგრეთვე მის მიერ 1997 წლის ოქტომბერში დანერგილი ეს ლექსი:

„ლექსთან ჭიდილში არ მყავს მშველელი  
და ორნი ვიბრძვით მარტოდმარტონი;  
ის არ მიტყდება, მე არ ვუტყდები,  
თუმცა დახრილა მისკენ სასწორი.  
დრო კი მიფრინავს შეუჩერებლივ,  
სიბერემ მძიმე დამადო ტორი.  
აგერ სამოცი წლისა შევსრულდი  
სამოცი ცუდი ლექსის ავტორი.“

შეიძლება ტექნიკურობის თვალსაზრისით ზაურის ლექსები მართლაც ვერ იყოს სრულყოფილი(ალბათ ამასვე გულისხმობდა ავტორი სი(ცუდეში)), მაგრამ მათ აქვთ უმთავრესი ღირსება. ეს ღირსება ჩემის აზრით სწორედ ისაა, რითაცაა ნასულდგმულევი მთელი ქართული ხალხური პოეზია და არ შეეცდები თუ ვიტყვი, რომ სწორედ ზაურის მსგავსი პიროვნებები ქმნიდნენ იმ მარგალიტებს, რომლებიც მრავალ დრო-ჟამ გამოვლილნი, უავტოროდ, იბნეოდნენ ხალხის ზეპირ ხსოვნაში. ამ დითირამბმა გასაგები შინაარსი რომ შეიძინოს, აქვე მოვიყვან პოეტის ერთ-ერთ ასეთ მარგალიტს:

„ძილში პეპელას ვიჭერდი,  
ხელიდან მიძვრებოდაო,  
მეორე დილით შენ შემხვდი,  
სიზმარი მიხდებოდაო...  
გაზაფხული და აპრილი  
ხელახლა იწყებოდაო,  
ვერ გაგიბედე – მიყვარხარ,  
რა ღმერთი მიწყობოდაო.“

ეს ხალხურობა განუყოფელია მისი ლექსებისგან,  
მისი სტილია, მისი ხედვაა:

„მთიელი მოხუცები, რომელთაც ბრძოლა აღარ შეე-  
ძლოთ, ლომისის სალოცავში ჰკიდებდნენ იარაღს, რომ  
შემდეგ ახალგაზრდას აელო და ეომა იმით  
ხმაღს ვკიდებ წმინდა ხატის წინ,  
რადგან არ ძალმიძს ვიქნო,  
მივდივარ ამა ქვეყნიდან,  
იმ ქვეყანაში მივქერიო.  
მოდით ჯეილთა მორიგით  
და მტერს დაუხვდით მტრულადა,  
მეც წინაპართა გადმომცეს  
და იმან გამაგულადა.  
ახლა თქვენ გქონდეთ ვაჟებო,  
იხმარეთ ვაჟკაცურადა,  
კაცთა იცხოვრეთ კაცურად,  
ღიაცთა – ღიაცურადა“

ან კიდევ,

„შავეთის შარას შემდგარი  
შავეთს შევუნგრევ შავ კარებს,  
შევაღ, არ შეუშინდები,  
შევაღ, არ შემაკანკალებს“...

ზაურ გონაშვილს ერთადერთი საფიცარი ჰქონდა,  
ერთი საზრუნავი და საფიქრალი, ეს არის მისი სამშობ-  
ლო; ეს აზრი მისი ლექსების ყოველ სტრიქონში გა-  
მოსჭვივის, რომელიც ხშირად მოწოდებაა ბრძოლისაკენ  
და ზოგჯერ ნუხილი დაკარგულზე:

„თუ ვერ გაგიჭერ ხმალივით,  
თუ ვერ გეფარე ფარადა,  
თუ ვერ დავრეკე ხარივით  
ვეფხვის და მოყმის ბალადა.  
თუ ვერ გავნიე უღელი,  
თუ ვერ ვივარგე ხარადა,  
თუ მომხდურს ვერ გავუძელი  
შემომივარდა ძალადა  
.....  
მაშინ დამწყევლე, გამჩენო,  
მიმაგდე სადმე ჩვარადა“...

სამშობლო მისთვის აბსტრაქტული ცნება როდია. ეს  
ის ვაზია, რომელსაც ყოველდღე ელოლიავებოდა. ეს ის  
მინაა, რომლის ოხშივრითაც იყო გაჟღენთილი მისი ნაჯა-  
ფარი ხელები. ალბათ, აქედან მოსდევს მის ლექსებს მი-  
ნისა და ვაზის სურნელი:

„ვაზის ძირში ლექსსა ვწერდი,  
ვაზი მანერინებდა,

ვწერდი რასაც მკარნახობდა,  
რასაც ვაზი ინებდა“...

აი, როგორ ესათუთება მისივე ქვეყნის უნაზეს  
შვილებს – მინდვრის ყვავილებს:

„კი არ მოგწყვეტავთ,  
მუხლს მოვიყრი მე თქვენს წინაშე,  
დაგეკონებით, მშვენიერნო, ტუჩანათროლი.  
მოგიაღერსებთ, მოგიშუშებთ მძიმე იარებს,  
თუ გნახეთ მტრისგან დაჩაგრული, გადანათქორი“...

ზაურ გონაშვილს ბოლო წლებში განსაკუთრებული  
სიხარული შესძინა შვილიშვილის – ილიას, დაბადებამ.  
რამოდენიმე ლექსი პაპის შემოქმედებიდან მასაც ეკუთვ-  
ნის, მათგან ერთერთია „გაბაასება სიკვდილთან“:

„ახლა გინდ დაიგვიანე,  
თუ გინდა მოდი ახლავე,  
ფეხებს ვერ მომჭამ, სიკვდილო,  
შინ ილია მყავს ახლა მე.  
ღმერთმა მე გამაძლიერა,  
სიცოცხლე გამიახლე მე,  
აქამდე თუ შენ გნატრობდი,  
სიკვდილო, გებრძვი ახლა მე.“

მართალია სიკვდილთან ბრძოლაში, როგორც ყველა  
მოკვდავი, ზაურიც, დამარცხდა. მაგრამ ეს მარცხი მხ-  
ოლოდ ფიზიკურმა სიცოცხლემ განიცადა, ზაური კი მან-  
ამდე იცოცხლებს, სანამ მის მიერ აგებულ დედოფლისწ-  
ყაროს სიონში და წმ. ელიას მონასტერში წირვა-ლოცვა  
აღევლინება, სანამ მისი პოეზია მკითხველის გულს ეს-  
ალბუნება. აი, ერთი ამ ლექსებიდან:

„ერთხელ მეც მომკლავ, სიკვდილო,  
შენწყდება ჰარი-ჰარალო,  
სისხლო, ძარღვებში დაშრები.  
გულო, მიმტყუნებ ალალო.  
არ დამჭირდები რვეულო,  
არ დამჭირდები კალამო,  
აღარც შენ, ლექსო ნანატრო,  
მკვდარ გულს რად უნდა მალამო.  
აღარც ქაფჩა და ჩაქურო,  
აღარც შვეულო და ლარო,  
არ დამჭირდები სახლ-კარო,  
აღარც ქვევრო და მარანო.  
აღარცა თიხის ხელადავ,  
არც მარგალიტო და ლალო,  
დაგტოვებთ მთებო-ველებო,  
დაგტოვებ, გრძელო დალალო.  
იქ მივაღ, სად საშუდამოდ  
მამა-პაპანი მყვანანო,  
იქ არაფერი სჭირდებათ,  
სადაც ისინი წვანანო.“

დასასრულს გვინდა ასევე შემოგთავაზოთ ზაური  
გონაშვილის რამოდენიმე ახალი, გამოუქვეყნებელი,  
ლექსი:

ხსოვნა

\* \* \*

მე ჩემი ქვეყნის ღვიძლი შვილი ვარ,  
მისი მეხოტბე, მისი მლოცველი  
და მისი მინის ყოველი გოჯი  
არის ჩემს მიერ გადაკოცნილი.  
მის სიყვარულით ვარ გაჟღენთილი,  
მის ავის მსურველს მხეცივით ვუტევე,  
დავწვები პირქვე დედამინაზე,  
ხელებს შემოვხვევ და ჩავიხუტებ.

\* \* \*

დამენატროს თვალთა ჩემთა სინათლე,  
დამენატროს ოქროსავით ცოლ-შვილი,  
დამენატროს ჩემი ქვეყნის მთა-ბარი,  
მწვანითა და ყვავილებით მოსილი.  
დამენატროს მთვარის გამოშუქება,  
დამენატროს ვარსკვლავების ციალი,  
დამენატროს ხარაჩოზე შედგომა  
და ბუჩქებში ფრინველების ფრთხილი.  
დამენატროს მეგობართან ქეიფი,  
დამენატროს ვენახები კახეთის,  
დამენატროს ჩანჩქერების ჩხრიალი,  
საქართველო ლიხს იქეთ და ლიხს აქეთ,  
მთელი გულით არ მიყვარდეს ყოველი,  
დამენატროს, არაფრის ვარ მთხოველი.

\* \* \*

ის მპირდებოდა შენი ვიქნები,  
ის მპირდებოდა ვიცხოვრებთ ერთად,  
ის ჩემს წინ მორცხვად თავს რო დახრიდა,  
მიმაჩნდა იგი ხატად და ღმერთად.  
ძველთაგან არის ბრძნული ნათქვამი,

ნუ მიენდობი, ცეცხლს, წყალს და ქალსა,  
თორემ დანყველი გაჩენის დღესა,  
იქნება კედელს ურტყავდე თავსა.  
ხელით გამისხლტა როგორც კალმახი,  
წავიდა სხვასთან, დავრჩი უმისოდ,  
დღეს ცრემლი ისე მომდის თვალთაგან,  
როგორც რამინი ღვრიდა უფისოდ.

იპ

მისი სურნელი ვიყნოსე,  
დავიჩოქე და დავკოცნე,  
ჩვილივით მივუალერსე,  
ღმერთის სახელით დავლოცე,  
ქალივით მოვეფერე და  
სიამოვნებით გავბრუნე,  
ვერა ვუთხარ რა საფერი,  
ნეტარებისგან დავბლუვდი.

ექსპრომტი

ამა წლის აპრილში, იმ დროს, როცა ზაურ გონაშვილ-  
მა თავისი და მეუღლის გიული სამუკაშვილის ლექსები  
გადმომცა, ლევან ალავერდაშვილი გვიყვებოდა წინა  
დღეს, მასა და თამაზ ნიკლაურის თავს, სიმთვრალეში,  
გადახდენილ მარცხის ამბავს. როგორც კი დაამთავრა,  
ზაურმა ეს ექსპრომტი მიუღიქსა. დასაკარგავად ვერ  
გავიმეტეთ და ჩავინერეთ.

რალაცას ფეხი წამოვდე,  
დავეცი, ისევ წამოვდექ,  
ფეხი ზეღი არა ვვარგოდი,  
მთვრალი სულ აღარ გამოვდექ.  
არ იქნა ჩემს თავს აღვირი,  
ვერ იქნა, ველარ ამოვდე;  
ვერ გამოვსწორდი ლევანა  
თავიდან ა აქამომდე.

აქვე გაფაზობთ ზაურ გონაშვილისადმი მიძღვნილ ლექსებს

თამაზ წიაღაური

ეს ლექსი ზაური გონაშვილის დაკრძალვის  
დღეს 26 მაისს იქნა წაკითხული

გამოსათხოვარი

საქმენი შენნი გაფასებენ მაღლით შემოსილს,  
მშვიდობით ზაურ, ცრემლში ვდგავართ ახლა ყელამდე,  
განიხსნა კარნი ზეციური საქართველოსი,  
ღმერთი მიგიძღვის საუკუნო სასუფეველამდე.  
ვალმოხდილი ხარ, მოწმედა გყავს მთელი სოფელი,  
ვალმოხდილი ხარ უფლისა თუ ხალხის წინარე,

სამოთხის კართან გელოდება მამა მშობელი,  
სვებედნიერი, ამაყი და პირმომცინარე.  
ტაძრებს აგებდი, თავზე გედგა წმიდა სამება,  
შენს გამოვლილ გზას ალამაზებს კვალი ნათელი,  
სამკვიდრებელი განგინესეს ერის მამებმა  
და დიადემას გიმზადებდა გრიგოლ ხანძთელი.  
მუზაც ხშირ-ხშირად გაკითხავდა კეთილხშიანი,  
ხმატკბილად ჟღერდა შენი ჩანგი, შენი ფანდური,  
აქვე დარჩება, მარად, შენი ლექსი ფრთიანი,  
შენს ძვირფას ხალხში მარგალიტად მიმოფანტული.  
საქმენი შენნი გაფასებენ მაღლით შემოსილს,  
მშვიდობით ძმაო, ცრემლში ვდგავართ ახლა ყელამდე...  
განიხსნა კარნი ზეციური საქართველოსი,  
ღმერთი მიგიძღვის საუკუნო სასუფეველამდე!

ზაყრ გონაშვილს

(დანერილია ორი წლის წინ)

გული კვლავ ლექსის დანერას მინებს,  
 ღმერთს სურს, რომ ჰყავდე მუდამ დღეგრძელი!  
 მხოლოდ უფალი შეაძლებინებს  
 კაცს ქვეყნად იმდენს, შენ რომ შესძელი.  
 ეს მხარე შენი შრომით აშენე,  
 იავარქმნილი ამ კუთხის მტრებით,  
 გამრჯე მარჯვენით კვლავ დაამშვენე  
 წმინდა ტაძრებით და მონასტრებით.  
 დაუდგრომელი ძიების ფასად  
 საღვთო საქმის და გეზის მპოვნელი,  
 დიდ წინაპართა ღირსად და მსგავსად  
 ხარ ჭეშმარიტი კამბეჩოვნელი.  
 აქ დგახარ ქველად, ვით სხვები ძველად,  
 აქვე დაგედო ლექსის ბორკილი,  
 შენ მუზად იცან შირაქის ველად  
 ჭრელი პეპელა გზადშემოყრილი.  
 აქ გიცავს ფუძე-კალთა ელიის  
 წმინდა ჯვრისა და ხატის მწვერვალი.  
 აქედან გახდი დიდ ივერიის  
 მონა, მეხოტბე და მომღერალი.  
 ღმერთმა გაჩუქა ციციქნა ილია,  
 შენც იმის გვერდით გყავდე დღეგრძელი,  
 კაცურ გზით ივლის, შენ რომ გივლია,  
 ათ იმდენს შესძლებს, შენ რომ შესძელი!

ზაყრ გონაშვილს

(მიძღვნილია დედოფლისწყაროს სიონის საკათედრო ტაძრის მშენებლობისას)

შენი გზა ღმერთთან მიდის,  
 განა ტყუილად გაქეთ?!  
 შენთან რა უნდა სიკვდილს?  
 სიკვდილი მოჰკალ აქეთ.  
 ტაძრის გუმბათის ყელი  
 მიგყავს მაღლა და მაღლა...  
 გაქვს დიდოსტატის ხელი,  
 არ იცი შრომით დაღლა.  
 ღმერთი გიკურთხებს ლოცვით  
 შრომით დაკოჟრილ ხელებს,  
 ზოგჯერ ხატივით კოცნი  
 ქვებს, რაც კი ამეტყველე.  
 რასაც შთაბერე სული,  
 ხარკი გაუღე ყველას,  
 უფლის, მოყვასის სურვილს,  
 უფლის მოყვასის შველას.  
 შენი გზა ღმერთთან მიდის,  
 განა ტყუილად გაქეთ?!  
 შენთან რა უნდა სიკვდილს?  
 სიკვდილი მოჰკალ აქეთ.

ზაყრ გონაშვილს

„კაცი ვარ და ქუდი მხურავს“  
 პირველ რიგში შენზე იტქმის,  
 გული ლექსში დაგინურავს,  
 სულში ხინჯი არ გაქვს თითქმის.  
 რითმები ვერ გეურჩება  
 ქაფჩასავით მუზას ხმარობ,  
 მოყვასს ჭირი რომ ურჩება,  
 მთელი გულით მაშინ ხარობ.  
 ქართულ ჯიშს და ქართულ ჯილაგს,  
 ვით უწმინდეს განძებს იცავს,  
 ამავს უხდი დედა-შირაქს,  
 ხელის გულზე კვერცხს რომ ინვაგ!..  
 გძულს უგულო, გაიძვერა,  
 პატროსანს სულში ისვამ,  
 მოგისაჯა ღმერთმა წერა,  
 ლექსს სალბუნად გულზე ისვამ.  
 რაც ბერდები, კიდევ უფრო  
 ღვინოსავით იწმინდები,  
 აგიზგიზებ რწმენას უქრობს,  
 სანუთროს არ უშინდები.  
 მამა-ღმერთის მაღლი არი,  
 რომ გამოცხვი ობლის კვერი,  
 უნდა იყო მაღლიერი,  
 კარგ კაცს ბევრი თუ გყავს მტერი.  
 დასწეულდი ბაღლობაში  
 ლექსისა და წერის სენით,  
 აბა, ალლო გინდა რაში,  
 თუ არ ხარობს ერი შენი.  
 ბედს რად უნდა დაემღურო,  
 სანაქებო მოგდგამს ჯიში,  
 ნუთისოფლის ნუთით მდგმურო,  
 სიკვდილისაც არ გაქვს შიში.  
 უფლის გზაზე ხარ შემდგარი,  
 არ მრუდდება შენი კვალი,  
 ნუ მოიკლავ ან გულს ჯავრით,  
 მოხდილი გაქვს ყველა ვალი.  
 2010 წელი

ზაყრ გონაშვილს

შენს გვარში ღმერთი არ დაღვეს,  
 ქალ-ვაჟებს სახელოვანებს,  
 გიული\* გიცხოვს, არ გაკლებს,  
 კაფიებსა და მხლოვანებს.  
 გეყო, რაც დღემდე ღვინო სვი  
 და გაჰკიოდი ვაშასა,  
 ანი, ნვენი სვი პინოსი,  
 დაემორჩილე ვაჟასა.\*\*  
 რწმენა შეგმატა ილიამ,\*\*\*  
 ტატიტთ ის დაგატერებს,  
 რა საოცარი ტკბილია,  
 როცა შეჰხარი პატარებს!

\* მეუღლე  
 \*\* ვაჟი  
 \*\*\* შვილიშვილი

**ხსოვნა**

რას იზამ, წელთა სიუხვემ  
წელი მოგწყვიტა, გატკინა,  
გეზს მაინც არ გადაუხვევ,  
ჯილაგითა ხარ ქვა-რკინა.  
მგოსნების ნალებ ამქარში  
მიგიღეს, როგორც რჩეული,  
რაც უნდა მოხვდე ავ ქარში,  
ფეხებს ვერ მოგჭამს წყეული.

23. 10. 125

(ზაურ გონაშვილის დაბადების დღე – გ.ნ.)

**გიორგი გარსანიშვილი**

**მონოლოგი**

ზაურ გონაშვილს

ლექს აგურივით ვალაგებ  
ქაფჩით ვუღესავ რითმებსა,  
სამშობლოს ბედი მანალვლებს,  
გული დარდს ველარ იტევსა.  
ვარ მშენებელი, მოკალმე,  
სახლებს ვაშენებ კირითა,  
ლექსი რაშივით მოვკაზმე  
„შევკარი ოქროს ღილითა“.  
ზედ უნაგირი მოვარგე,  
დავაკარ ოქროს ნალები,  
მშენებელი ვარ, მოკალმე,  
ამაყად დავიარები.  
ვარ ჩემი ქვეყნის მოკეთე,  
მე სხვა დიდების არ მჯერა,  
არ ვდარდობ, თუნდაც მომკვეთეთ,  
ეს – „არსაკიდის მარჯვენა“.

**ლევან ალავარდაშვილი**

**კაფია**

ჩვენი აქ მოსვლა ზაურო,  
წმიდათა წმიდა ვალია...  
შენ დღეგრძელობა ჩვენ კი არ  
გულმა თავისით დალია.  
ღმერთმა გიკურთხოს ნაშრომი,  
მკლავებში მოგცეს ძალია,  
ლამაზ მუზებთან შეხებით,  
აფეთქდი, როგორც ფალია!

**ზურაბ ცისარაული**

**ზაურ გონაშვილს**

შენ ვერ გიცნობდი, დავნერე  
ლექსები შენზე მრავალი.  
თავი უბრალოდ დავზვერე,  
გზაც გავინალდე სავალი.  
ახლაც ვერ ვიტყვი ვინა ხარ?  
საიდან მოგდის ძალიო,

რა ღმერთმა შემოგვინახა  
შენი ხელი და თვალიო?  
დედოფლისწყაროს ამშვენებს  
წმინდა დედოფლის ტაძარი,  
კაცსა გცნობთ იმის ამშვენებს,  
ქვეყანა ხედავს რაც არის.  
ახლა კი წმინდა ელიას  
თავის საუფლოს ადარებ  
და განა საკვირველია,  
როცა დიდოსტატს გადარებ?  
ღმერთმა გიკურთხოს მარჯვენა,  
რწმენა დიადი მომავლის –  
გქონდეს და გადასარჩენად  
ჩვენი მამული რომ არის...  
სწორედ ტაძრები სჭირდება  
და სიყვარული ღვთაების  
და მე არ გამიკვირდება,  
შენ რომ ამ საქმეს შაები.

16.10.2007წ.

**ზაურ გონაშვილს**

ღმერთმა დაგილოცოს მკლავ-მარჯვენა,  
მამულს გაუმრავლე სალოცავი.  
შენ განაახლე და აღაშენე  
ტაძარი — გალენილი კალოსავით.  
გვიმრავლე მამულის საუნჯეთა  
შენება, მშვენება ისტორიის,  
მთაი, მთა ტაძრით დააუნჯე,  
დიდი დედო ზარი შემოჭკარი.  
ისეთი სალოცავი ააშენე,  
ვხარობ, რომ ხარ ჩემი მეგობარი.  
ტაძრით ელიის მთა დაამშვენე,  
დარეკე, აამალლე, დედოზარი!

**ზიზო ბურღული**

**ზაურ გონაშვილს 60 წლის  
იუბილესათვის**

მტირალ როიალთან ისე გარინდებთ,  
თითქოს გაგონდებათ რალაც, შორეული,  
კიდევ იცვლებიან გულში ამინდები  
და გმზერთ ჩავლილიდან თქვენი ორეული.  
ქარში გაბნეულან ლექსის პნკარედები  
და თქვენს სულში ეხლა უკვე ავდარია,  
ხედავთ? თავს გახლიან მკერდზე გამეტებით,  
წლები მიმქროლავი რალამ გადარია.  
თითქოს ზღაპარია ახლა ყველაფერი,  
რაც რამ კარგი იყო ყველა დასამარდა,  
ფიქრი გაგეტყვათ და უკვე ვერაფერი  
ველარ დაგამშვიდებთ ველურ ხმების გარდა.  
თითქოს როიალი კვენეს თქვენს მაგიერად,  
როგორ გაგაბეზრათ სოფლის წვრილმანებმა,  
თმიდან... თოვლის ფიფქებს რად არ დაიბერტყავთ,  
ნუთუ თვალს არა გჭრით თოვლის ბრწყინვალეება?!

27.12.1997წ.



### გიული სამუხაშვილი

#### მთიწვენი

ცელი მინივის, ბალახის კვნესა იქცევა ყვირილად, დარჩება ღია თვალები ყელგამოლადრულ გვირილას. არვის აღელვებს – სამყურას სული ხელიდან ეცლება. გულს არვისა სტკენს დამფრთხალი, ლურჯი, თვალების ცეცება. ცელი მინივის, მთიბავებს – ჩარიგებულებს მხედრებად, რამდენი ტურფა ყვავილის სიცოცხლე დაეყვებრებათ.

#### მადლოზა

ეს ორი დიდი სიკეთე ბუნებამ მომცა უცილოდ, დამბადა საქართველოში, არ გადამაგო უწილოდ. გამზარდა, დამალახვინა მთა-ბარი ხავერდოვანი, თვალებში ჩამახატვინა ცა ლურჯი ლაჟვარდოვანი. სხვა კიდევ დიდი სალხენი მან ჩემთვის გამოიმეტა, დამაზრდევინა შვილები სამშობლოსათვის იმედად. მასვა წყარონი ცივ-ცივი სალი კლდის გულის ნაჟური და გემოც გამასინჯვინა კახური ყურძნის ნაწურის. მაყურებინა მერცხლებს გადაფრენ გადმოფრენასა, ჩანჩქერის თავქვე დაშვებას, არწივის მაღლა ფრენასა; მომასმენინა ჰანგები



### ბორის სამუხაშვილი

ზაურ გონაშვილის მეუღლის – გიული სამუხაშვილის ძმაა. იგი 2014 წელს გარდაიცვალა, გარდაცვალების შემდეგ გამოიცა მისი პოეტური კრებული: „ვაი, უტოლოდ სიცოცხლეს“, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან ბევრი დასამუშავებელი და გამოუქვეყნებელი ნაწერი დარჩა. მათი ნაწილი დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება. სწორედ აქედან ამოვკრიფეთ საკუთარ თავთან გაშიარების მისეული ნიმუშები, სადაც იგი საკუთარ თავს უშანგიდ მოიხსენიებს(ეს მისი მეორე სახელი იყო).

ბულბულის ვარდზე სტკენისა,  
ენითა გამოუთქმელი  
მომცემი აღმაფრენისა.  
ამდენი სიამე მომცა  
გადამფარავი წყენისა,  
მადლობას ვუძღვნი ბუნებას,  
სხვა შემძლები ვარ მე რისა?!

#### დიდხანს გვყავდე

მიეძღვნა, საქართველოს  
კათალიკოს-პატრიარქის,  
ილია II-ის 75 წლის იუბილეს

დაჰფოფინებს საქართველოს  
შენი ფიქრი ნათელი,  
მამულისთვის იფერფლები,  
როგორც წმინდა სანთელი.  
მძიმე ტვირთი სატარებლად  
თვით უფალმა გიბოძა,  
სამშობლოს რო გაუმაგრო  
ჭერიცა და ლიბოცა.  
თერგის პირზე აქოჩრილი,  
გოგონები, ბიჭები,  
ამაყობენ ამ მინაზე  
შენი დანაბიჯებით.  
მშვიდობის და სიყვარულის  
პირუთვნელო ქადაგო,  
მუდამ ცდილობ აზრი სათნო  
ყველას მიუსადაგო.  
მზერა შენი სხივნათელი  
სიბრძნის შხეფებს გვაპკურებს,  
აბორგებულს ამშვიდებს და  
სულიერად აპურებს.  
უპოვარებს გულებს უთბობ  
წრფელი გულის ხანძართ  
და მალღებები ზეცისაკენ,  
ვით სამების ტაძარი.  
ქრისტეს მცნებას მიუძღვენი  
თავი შენი ზვარაკად,  
საუკუნეებს ეყოფი  
ლეგენდად და არაკად.  
რაა სამოცდათხუთმეტი,  
თვალის დაფახულება,  
წლებმა შეძლო მხოლოდ შენი  
თმების გადახუნება.  
გულისყურით და იმედით  
შემოგყურებს შენ ერი,  
დიდხანს გვყავდე ჯანით მრთელი,  
მზეგრძელი, ბედნიერი!



კოეზია

კაფია ორეულოს

- ორ.** როგორ ხარ ხარ სამუკეთ წვრილავ,  
სალმისას გკადრებ სიტყვასა,  
რად ჩამოგტირის თავ-პირი,  
ძირს რად ჩაჰყურებ მინასა?
- უშ.** დამჯალდა ნუთისოფელმა  
ულმერთოდ მაცლის სიქასა,  
ეს ჩემი დაძაბუნება  
უკვე დაეტყო ქისასა.  
აფსუს, რა ბიჭი ვიყავი,  
ბატკანსა ვგავდი ბიჭასა,  
ისე მეხვია ქალები,  
როგორც ფუტკარი ფიჭასა.
- ორ.** მთიელი კაცის წესია  
გულს ვერ ჩაიდებს ქვისასა,  
ბრძოლით შოულობს ვაჟკაცი  
სახელსა კაი ყმისასა.
- უშ.** ბრძოლა ლომგულთა წესია,  
არც მე ვზელავდი თიხასა,  
ვანმარდი თავის მოძმესა  
მადლს მონიჭებულს ღვთისასა.  
ვშრომობდი ფუტკარივითა,  
შუქსა ვასწრებდი მზისასა,  
დავატარებდი გულითა  
სიყვარულს თავის მხრისასა.  
ახლა დრომ მამდვა ქამანდი,  
თანდათან მიკრავს კრიჭასა,  
გამტეხა ქვრივის ილბალმა,  
ხელს აღარ ვკიდებ ჭიქასა.  
ველარ ვსვამ ჟიპიტაურსა,  
ველარც ვაყოლებ ხინკალსა,  
გადავდექ სიბერეშია,  
წლები მადგამენ კირკალსა.

გასაყბრება ორეულოთან

- ორ.** ლექსების წერა ძმობილო  
განა ფაფა და ლომია?
- უშ.** ლექსი მეფეა სიტყვისა  
უმალლეს ტახტზე მჯდომია,
- ორ.** ლექსს რომ სწერ, ისიც მითხარი,  
ამით რისი ხარ მდომია?
- უშ.** ლექსი სულია ერისა,  
სიმართლისათვის ომია,
- ორ.** მერე რად გინდა სიმართლე,  
შენ რაში გამოგდგომია?  
სიღარიბე და შიმშილი  
კისერზე წამოგჯდომია.
- უშ.** ერის კაცობა, ღირსება,  
ფულით არ გამიზომია,  
ტურა მადლარიც ტურაა,  
ლომი მშვიერიც ლომია!

კაფია ორეულოთან

- უშ.** დავბერდი ჩემო კეჟერავ,  
კაცი აღარ ვარ ფორმაში,  
მაკლდება ჯანი და ღონე,  
თანაც ვკლებულობ ზომამში.
- ორ.** მეც ვიცი, ჩემო ბუჩაო,  
ჯანი დაღალე შრომაში,  
ადამიანის ღირსება  
არ გიძებნია ძლომაში,  
თუ სცოცხლობ, კიდევ იბრძოლე,  
რა ჰყრია უქმად ჯდომამში?!
- უშ.** იქნებ მოგვხედოს უფალმა,  
შემოგვიბრუნოს ილბალი,  
ცხოვრებამ ზემოთ ამაგდოს,  
როგორც დუღილმა ხინკალი.
- ორ.** თაფლი შენს ენას, შაქარი,  
აგსრულებოდეს ნანატრი,  
ეგ კი არ მამწონს ძმობილო,  
კაცი რომ ხინკალს თავს ადრი!

კაფია ორეულოთან

- უშ.** წამომეძალა სიბერე,  
აღარა მწყალობს მესია,  
შემატყვევს დაძაბუნება,  
ყველა მე წამომესია.
- ორ.** შენც ხომ იცოდი ძველთაგან  
ცხოვრების წესი ესეა,  
ყველა მოიმკის იმასა,  
რაც სიყრმით დაუთესია,  
თუ კაცი სულით დაეცი,  
ველარ გიშველის პენსია.
- უშ.** ორივე ვიყავ, კეჟერავ,  
მინის მუშა და მწყემსია,  
პირს ოფლი გადამდიოდა,  
ცეცხლს ვყრიდი, როგორც კვესია.  
სიტკობცა ვნახე, სიმწარეც,  
ქვიშაზე უმეტესია,  
ხან მაღალეზდა ცხოვრება,  
ხან სიმწრით დამიკვენესია,  
თუ კაცი კაცად არ ვარგა,  
მოკვდეს ის, უკეთესია.

\* \* \*

ლექსს ლექსი მასდევს მუდამა,  
კაფიას მასდევს კაფია,  
ეცადე, შენს ხმას მამულში  
ლომისა ჰქონდეს ხაფია.  
მიჰყევი ერის გულისხმას,  
ძაფს გადააბი ძაფია;  
თითო წვეთობით ივსება  
მამულიშვილის ჩაფია.  
გიყვარდეს მშრომელი კაცი,  
გძულდეს ცეტი და ბაქია,  
გინდაც გაგსრისოს ცხოვრებამ  
არ გახდეს სხვისი ლაქია!




# დღეისთვის მთლიანად ხონცენბრირებული ვარ სამსახურზე

რუბრიკის სტუმარია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი **ნიკოლოზ ჯანიაშვილი**. ის, უკვე, რამოდენიმე წელიწადია, რაც რაიონს თავკაცობს და მისი ხელმძღვანელობის პერიოდში დედოფლისწყაროში არა ერთი სასიკეთო ძვრა განხორციელდა.

**– ბატონო ნიკოლოზ, რამოდენიმე სიტყვით თქვენი ბავშვობა გაიხსენეთ, გარემო სადაც იზრდებოდით, სადაც საფუძველი ჩაეყარა თქვენს მსოფლმხედველობას.**

– დავიბადე 1983 წლის 12 სექტემბერს მაშინდელ ნითელწყაროში, ოჯახში სადაც მთავარი ყურადღება შვილების აღზრდას და განათლებას ექცეოდა, 1989 წელს შევედი სკოლაში, რომელიც 2000 წელს დავამთავრე. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ბავშვობა საქართველოს უახლესი ისტორიის ურთულეს პერიოდს დაემთხვა (ომები, გაჭირვება, უშუქობა, უგაზობა), ჩემი მშობლების დამსახურებით, მაინც თბილად მახსენდება. დედა და მამა მუხლჩაუხრელად შრომობდნენ იმისთვის რომ მე და ჩემს ძმას განათლება მიგველო და ცხოვრების სწორ გზაზე დავმდგარიყავით — რაც მოახერხეს კიდეც. მუდამ იმას გვინერგავდნენ, რომ ხოლოდ პატიოსნებით, თავმდაბლობით, შრომით და კარგი ცოდნით შეიძლებოდა წარმატების მიღწევა, რაც იმ რთულ პერიოდში ძნელად დასაჯერებელი იყო, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან სწორი განწყვეტილება აღმოჩნდა, რის გამოც მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო ჩემს მშობლებს.



**– თუ გახსოვთ პირველი წიგნი, რომელიც დამოუკიდებლად წაიკითხეთ?**

– უშუქობის პერიოდში ძალიან დავმეგობრდი



წიგნებთან, დაღამებასთან ერთად თითქოს ცხოვრებაც კვებოდა და წიგნი იყო ერთადერთი საშუალება, რომ გასაქანი მიგეცა წარმოსახვისთვის, გადასულიყავი წიგნის გმირების სამყაროში და ყოველდღიური პრობლემები დაგვეინყებინა. პირველი წიგნი ალბათ ძმები გრიმების ზღაპრები იყო, ბავშვობაში ძალიან მიყვარდა ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები, მისი საოცარი იუმორი და დიდი სიტბოთი გადმოცემული ყოველდღიურობა საოცრად მიტაცებდა, ასევე ძალიან მიყვარდა დეტექტიური ჟანრი და თითქმის ზეპირად ვიცოდი შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი.

**– სკოლის პერიოდიდან თუ გაიხსენებთ რომელიმე პედაგოგს, ვინც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თქვენს პიროვნულ განვითარებაში.**

– ალბათ, როგორც ყველა ბავშვის შემთხვევაში, ჩემზე წარუშლელი კვალი დატოვეს ჩემმა პირველმა მასწავლებლებმა ქალბატონმა ნათელა პოპიაშვილმა და ნუნუ ბეგიაშვილმა, რომლებიც მასწავლიდნენ დანყებითებში და პირველებმა მაზიარეს სკოლის და განათლების სამყაროს. მიმაჩნია რომ ყველა პედაგოგმა თავისი წვლილი შეიტანა ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაში, რის გამოც, მადლობას ვუხდის მათ. მაგრამ რამოდენიმე პედაგოგმა განსაკუთრებული გავლენა მოახდინეს ჩემზე, ესენი არიან: ეთერ ოთარაშვილი, ნანა მერაბიშვილი, ნანული ნატროშვილი, ან განსვენებული თამრიკო ფხოველიშვილი.

**– თქვენი სიყვარულის ისტორია.**

– ეს თემა ჩემთვის ძალიან სათუთი და პირადულია, რის გამოც, მოკლედ შევხებები; ჩემი მეუღლე, მაკა მეტრეველი, ბანკში მუშაობისას გავიცანი; 2014 წლის ბოლოს შევექმენით ლამაზი ოჯახი და დღეისთვის პატარ თამარი გვყავს, რომელმაც მთლიანად გადააფასა ჩვენი ღირებულებითი სისტემა და მთელი ოჯახი მის გარშემო ვტრიალებთ.



**– თქვენი საყვარელი ავტორი; ასევე, ამჟამად თუ გაქვთ ამის დრო და რას კითხულობთ?**

– ჩემი საყვარელი ავტორია – ვაჟა, რომლის შემოქმედებაც ამოუწურავია და ყველი მისი პოემისა თუ ლექ-



სის წაკითხვისას უფრო მეტად ხვდები ავტორის გენიალურობას; ილია ჭავჭავაძე, რომელიც ერის მამადაა მიჩნეული და მის მიერ დაყენებული პრობლემები დღესაც არ კარგავს აქტუალურობას; ნოდარ დუმბაძე —

მის საოცარ იუმორს და სიყვარულით გაჯერებულ ნაწარმოებებს ყოველთვის შეუძლია მოგწყვიტონ რეალობას და დუმბაძისეულ სამყაროში გადაგიყვანოს. ბოლო წლებში, სამწუხაროდ, დრო არ მრჩება მხატვრული ლიტერატურისთვის; ძირითადად პროფესიული შრომების გაცნობა მიწევს. დღესაც სწავლის პროცესში ვარ, ვმუშაობ სადოქტორო პროგრამაზე და ვეცნობი ეკონომიკური ლიტერატურას. ამჟამად ვკითხულობ ლუის კოენის – „კვლევის მეთოდები განათლებაში“.



– ინტერესს იწვევს თქვენი სამომავლო გეგმები, შესაძლებლობის ფარგლებში იქნებ გაგვიზიაროთ და ასევე, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც გინდათ, რომ დედოფლისწყაროს რაიონისათვის გააკეთოთ?

– დღეისთვის მთლიანად კონცენტრირებული ვარ სამსახურზე, რადგან ვგრძნობ იმ უდიდეს პასუხისმგებლობას, რაც ჩვენმა მოსახლეობამ დამაკისრა — როდესაც გამომიცხადა უდიდესი ნდობა. მინდა, რომ დედოფლისწყარო, რომელიც წლების მანძილზე საკუთარ პრობლემებთან პირისპირ იყო მიტოვებული, ნელ-ნელა ავაღ-

ორძინოთ და ჩვენს ძვირფას მოსახლეობას შევუქმნათ უკეთესი პირობები. იმ მოკლე დროში, რაც ჩვენი ხელისუფლება მოვიდა, ძალიან ბევრი პრობლემის მოგვარება შევძელით და ჩვენი მშობლიური მუნიციპალიტეტი დღითი დღე უმჯობესდება, იქმნება ახალი ინფრასტრუქტურა და ჩვენს გარშემო არსებული გარემო მშვენივდება. ახალი საავადმყოფო, ახალი ბიბლიოთეკა, განახლებული საბავშვო ბაღები, ახალი გზები, გაუმჯობესებული წყალმომარაგება, იქ, სადაც საერთოდ არ ყოფილა, განათებული სოფლები, დიდი ინვესტიციები სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, განახლებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტოპარკი, ეს ის არასრული ჩამონათვალია, რაც მოკლე დროში შევძელით. მონდომებას არ დავიშურებთ, რომ კიდევ უფრო მეტი სიკეთე გავაკეთოთ ჩვენი დედოფლისწყაროსთვის. ჩემი სურვილია რომ მომავალში, როდესაც გამგებელი აღარ ვიქნები, ჩემს შვილთან ერთად თამამად გავიარო ჩემს მშობლიურ ქალაქსა,



თუ, მინიციპალიტეტში და ამაყად ვაჩვენო სხვადასხვა საქმეები, რომელთა გაკეთებაშიც წვლილი მიმიძღვის.

– თქვენი სურვილი და ხედვა აღმანახ „ხორნახუჯისა“ და ზოგადად ლიტერატურულ გამოცემებთან მიმართებაში.

– ძალიან მიხარია ლიტერატურული აღმანახი „ხორნახუჯის“ გამოსვლა, ყველა მსგავსი სიახლე მისასალმებელია და მადლობას ვუხდის ყველა იმ ადამიანს ვისაც მცირედი წვლილი მაინც მიუძღვის ამ სასიკეთო საქმეში. მიმაჩნია რომ აღმანახს დიდი წვლილის შეტანა შეუძლია



ჩვენი ახალგაზდების ნიჭიერების გამოვლენისა და ლიტერატურის პოპულარიზაციის საქმეში. გისურვებთ წარმატებებს.

– მადლობა საინტერესო საუბრისათვის.



„ახალი სახელები“ – ეს ჩვენი აღმანახის ახალი რუბრიკაა, სადაც წარმოგიდგენთ და გავაჩნობთ იმ ახალ ავტორებს, რომელთა ნაწარმოებები, გარკვეულწილად პირველად ქვეყნდება და ვინც მხატვრული სახელებით აზროვნებითა თუ ნამდვილ პოეზიასთან თანაზიარობით სასიამოვნოდ გაგვაოცებს. ლიტერატურული გამოცემის ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულებაც ხომ სწორედ ესაა – აღმოაჩინოს და საზოგადოებას გააჩნოს ჭერაჯ უნებო ახალი სახელები. ამჯერად ორ ავტორს წარმოგიდგენთ, ნათია ჭინჭარაულისა და სანდრო მოსემვილს და გვჯერა, რომ მათი ლექსები პოეზიის მოყვარულს ნამდვილ სიამოვნებას მიანიჭებს



ნათია ჭინჭარაული

დაბადებულია 1990 წლის 31 ოქტომბერს და ამჟამად ცხოვრობს ქალაქ თბილისში. წარმოშობა ხევსურია. ( მამით: –ხევსურეთი სოფ გუდანი, მამიშვილობა ვეფხვათი. დედით:– ხევსურეთი სოფ რომკა, შემდგომ დედოფლისნაყროს რაიონი სოფელი არხილოსკალო. მამიშვილობა კიბალაურთა) დაამთავრა ქ. თბილისის 115 საჯარო სკოლა. 2009 წელს ჩააბარა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელოვნებათა და მეცნიერების ფაკულტეტზე (ძირითადი პროფესია ქართველოლოგია (ქართული ფილოლოგია ) მეორადი პროფესია ფსიქოლოგია.

\* \* \*

დღეს კი არა წვიმს ცა ქალივით  
უფრო სლუკუნებს,  
არ გაგეყინოს ცხელი გული მინის ციებით.  
თორემ ხომ ხედავ  
დედამინა და საუკუნე  
სავსეა ხალხის უმართავი ამბიციებით.  
გამონაკლისებს თუ იპოვი  
ისაც იშვიათ,  
მინის ზედაპირს ვინც დაურჩა  
თავს არ დაზოგავს.  
მთელი ცხოვრება ჯოჯოხეთის ჩუმი შიშია  
და ერთი დიდი სასაცილო  
ოინბაზობა..  
შენ არ იდარდო,  
არც მე ვდარდობ, ფეხზე მკიდია  
ვკითხულობ :  
ვაჟას,  
ჯაბუშანურს,  
ანას,  
ტიციანს.  
თუ ეს სამყარო ვილაცისთვის ძალზე დიდია  
მისი სიმწირე დამიჯერე მკვდრებმა იციან..

\* \* \*

ქუჩებში ბჟუტავს  
ღრუბლების შუქი  
გამონაბოლქვი მინის სუნს სანსლავს,  
ვდგავარ კარებში ნაზამთრალ ქურქით  
და ვგრძნობ რომ არსად  
არ მინდა წასვლა.  
აქ ჩემს ეზოში  
მინის მტვერია,  
აქ ბავშვობაში ჩიტი დავმარხე,  
სძინავს წარსულის სხვა მისტერიას  
და დედაჩემის დარგულ ზამბახებს.  
აქ ჩემს ეზოში  
სუნია მსუყე

გადააქვთ ჭორად წვიმა  
ხის ენებს,  
ამ განცდასავით სუფთას და ურყევს  
ალბათ ვერაფერს  
ვერ გავიხსენებ..  
მტვერიან მინაზე წვეთმა ჩაბუქნა,  
ეს ოხშივარი  
ჩემს წყურვილს მოკლავს,  
ამ ჩემს ჭრილობებს  
მეტი რა ვუქნა,  
ვდგავარ და ერთგულ ძალღვივთ ვლოკავ..

\* \* \*

მე არც არასდროს  
არაფერს ვმალავ.  
ყველა ტკივილი უნდა იტირო.  
მერე  
ყოველთვის მონახავ ძალას  
იარო ქარის საპირისპიროდ.  
ეხლა როდესაც ძველ წერილებს  
ვკითხულობ,  
ვსუნთქავ,  
მძაფრად ვგრძნობ მამის  
ჩამოქნილ თითებს.  
და ის რაც არის ყველასთვის მუქთა  
ასე უბრალოდ არ მაქვს  
და ვითმენ.

\* \* \*

დეკემბრის ქარი  
არ მითმობს მისხალს  
ჩემგან მიხურულ კარის გაღებით  
თითქოს რძესავით აჭრილმა სისხლმა  
თეთრად შეღება გულის თაღები..  
ჩემი ნაწილი  
უკვე განვდევნე,  
უკვე დატოვა მინის საუფლო,  
შენ კი მოდიხარ და მერამდენედ

ახალი სახელგადა

ცდილობ რამეზე  
გამესაუბრო..  
ამინდებივით უცებ ვირევი,  
ვცდილობდი,  
შენთვის შემომეხედა  
და როგორც ღამის ნანადირევი  
ისე მოგიგდე ლექსი ფეხებთან.

\* \* \*

არც მე მაძინებს  
ამ დღეთა კვდომა  
ფეხებს ძირიდან მიყინავს ხორგი  
დააგვიანა მოთმენა დრომაც  
და გაიყოლა გზადაგზა ზოგი.  
წვიმს,  
არც აღარსად მზის სხივი,  
ხემსი  
ცაში წაიღო ორთქლი მზითვივით,  
მე შენი ისე ბოლომდე მესმის  
ამ საკუთარი ხუთი თითივით...

\* \* \*

და ახლა ამ დროს  
ამ წუთს  
და ამ წამს  
წვიმის წვეთები წკარუნობს ქვებზე,  
და როცა ქარი ცივ ფანჯრებს კანრავს  
ეს ჩემნაირებს უფრო აქეზებს.  
რომ წერონ  
სხვებზე,  
დროებზე,  
ხმებზე,  
იმაზე რასაც ზღვარს ვერ დაუდგენ,  
გადაიკიდონ ნესტიან მხრებზე  
მთელი სათქმელი  
და გზას გაუდგინენ..  
ნურც ამ სიგიჟეს  
ნუ დამდებთ ბრალად,  
ეს პოეზიაც  
არ არის სანდო.  
რაც წლები გადის,  
ბევრ რამეს ვმალავთ.  
მაგრამ ცხოვრება ყველაფერს ამბობს.  
ჰო გაღვიძება  
შავო,  
ტიალო,  
სულ სხვა სიცოცხლეს ვსურდი  
და მსურდა.  
ნუ ფიქრობ ჯიბეს ჩავიჩხრიალო  
ის რაც სხვებივით  
მომიგდე ხურდად.

\* \* \*

ჯერ  
კანტიკუნტად კვირტები კრთიან,  
მინები  
ქარის გუთნებმა დახნეს,  
რომ ველარაფრით  
მომიტან ზიანს,

უკვე იმდენი ტკივილი ვნახე.  
მძიმეა ჩემთვის  
ამგვარი დასჯა.  
ნიაზი არხევს ტანმალალ ჩინარს,  
მეჭირა მისი გამხდარი მაჯა,  
და ვერ შევძელი  
გადამერჩინა..

\* \* \*

დღეს  
ჩულებრივი  
დღე გათენდა  
რუტინულ წყობით..  
ჩუმად ვარ რადგან  
მოვიძულე ყველა და  
ყოვლის,  
მომსწრე რაც გახდა  
სანუგეშო გულმავინწყობით.  
ცას ენის წვერზე  
მოადგა თოვლი..)

\* \* \*

სიტყვების ნაცვლად  
ამომდის ორთქლი..  
გაყინული მაქვს თვალების უპე.  
ნატყვიარავით ,  
ღრმასა და მოქნილს  
ვგრძნობ იმ დღეს როცა  
შენ  
დაიღუპე.  
გულის მაგივრად  
მე ქვა მაქვს რადგან,  
მსგავსი სიმძიმე არ მოიძებნა.  
დღეს ისევ  
მტვრიან ქარავით ჩადგა  
ჩემი უშენოდ  
გამოღვიძება..

\* \* \*

პარადოქსია,  
კი არის, თუმცა  
ქარის ხმა უფრო მესმის გალობად..  
სხვა პოეზია მეზრდება მუცლად  
და ვტოვებ ლექსებს  
შთამომავლობად...

\* \* \*

მუსიკის ტალღებს,  
სიჩუმის ტანტრას..  
ქარისგან გამშრალ თვალებს და ტუჩებს...  
ახურავთ სახლებს  
ღრუბლების ფატა,  
და მიჰყვებიან ცარიელ ქუჩებს..  
ვენებში  
სისხლის  
ცხელი  
ლავები.  
მიწა საკვებად.

ან ღმერთის ვარცლად..  
მომეჩვენა თუ  
ცამ ვარსკვლავებით  
მაგ შენს თვალეებში გადმოინაცვლა.

\* \* \*

(ჯუთური ქრონიკებიდან )

ხევი ჰგავს ურჩი ტაიჭის მხედარს,  
მივდივართ გზაზე  
თოვლით ნაფარზე.  
ვარსკვლავები კი შავ ცაზე სხედან,  
როგორც „შახმატის“ დიდრონ დაფაზე.  
ფეხებში თოვლის სისველე ატანს  
ისე ახლოა სიკვდილის ღელვა,  
რომ თითქოს ზამთრის ამბოხი მარტმა  
სულ ერთიანად ამოახველა..  
უკუნეთ ბნელში  
უკურნელ სენით  
შეპყრობილი ვარ და მაინც ვლალობ,  
მითხრეს სიცოცხლეს  
სიცილი შეგნის,  
მეც არ ვიშურებ არასდროს ძალ-ღონს.  
მივსდევ უშიშრად  
ნაბიჯის ნაკვალს  
ერთი უბრალო ლექსის ამარა,  
მთვარეს ღრუბლები შემოეფაკლა  
და ცივ ღანვებზე დაისამარა..  
წყადა ვსვამ ისე იმ თოვლის ნადნობს  
ჩამოქნილ ფერდობს რომ მოსწყდა ზვავად  
აქ აღარ არის, ჩემზე ვინც დარდობს!  
და სწორედ მაგით  
მაგით ვარ ავად...

\* \* \*

ჩემი სიზმარი იყო ცხადზე  
უფრო მკაფიო,  
დიდხანს ვიჯექი მწვანე მოლზე  
ხელში გვირილით..  
ცას ჰქონდა ფერი ისეთივე,  
როგორც საფირონს  
და მთებს ცვარივით მოეფინა ირმის ყვირილი..  
სიკვდილს ვუყურე წვრილ თვალეებში  
და ამ წილ დებით  
უნინდელივით მზიან სახლში  
ვაცხოვრე მუქთად.  
ამდროს კი თბილისს ჩაუცვია  
სველი წინდები  
და თვალთმაქცური სიამით სუნთქავს...  
ჯერ არ განცდილი ინტერესით  
მივსდიე ეჭვებს.  
თვლემდნენ ხეები უნაყოფო და გაქურდული,  
სახლის სახურავს ვერ ვუთვლიდი  
ჟანგის მეჭეჭებს,  
სასაცილოა,  
სატირელი,  
ან  
აბსურდული..  
ძნელია ძველი, კაცთმოძულე,  
საძირკვლის დაძვრა,

მინამ ჩაყლაპა, ჩაიტანა,  
კი არ ემძიმა,  
არც არაფერი გაუგიათ ღობის პირ ნაძენარს,  
მტვერდადებულებს  
მარადმწვანე  
ძილით  
ეძინათ...

...  
მე ვარ ეს სახლი  
ეს კედლები ჩემი ძვლებია  
პატივს ვცემ თქვენი მარადმწვანე ძილის არჩევანს  
და თუ ასეა  
არ გინდათ ან არ შეგძლებიათ  
ჩემი დანახვა  
და გადარჩენა ...

\* \* \*

შენ დასვამ წერტილს.  
მრავალწერტილს ...  
და გზებს განათლავს  
წვიმა, რომელიც  
ჭიანჭამ თოვლიდან იშვა.  
გადაურჩები ჩემი ლექსის  
წყეულ სამართალს  
და კიდევ ერთხელ შემომხედავ მაღლობის ნიშნად..  
არ მეტყვი სიტყვას,  
აღარ მნახავ,  
ველარ გამიგებ.  
ჩემი მზერა კი ნელა ნელა აგინვავს ბეჭებს.  
შემეშინდება იმ კლდესავით  
დალბე,  
დაინგრე,  
რომელიც მლაშე მორეგებმა ყლაპეს და ღეჭეს..  
ალალი იყოს შენზე, - ცხელი მზის ნაოფლარი,  
ალალი იყოს ჩემზე, - სავსე მთვარე ციებით,  
ავად მდუმარებს შავი მინა  
და ნასოფლარი  
გამძლარი,  
ჩვენი ძვლებითა და ემოციებით..

\* \* \*

გულს არ ვიკეთებ ყველა შექებით,  
მცვივა ფიქრები  
გამხმარ ქერქებად,  
მე მხოლოდ სიკვდილს ვეპაექრები,  
ისიც მხოლოდ მე მეპაექრება.

\* \* \*

ამ ლექსებისთვის  
ტყუილად მაქებთ,  
ვის გაუგია გიქონ ტკივილი.  
თითქოს დაღმართზე დაეშვა თავქვე  
ამოვარდნილი  
ქარის კივილი.  
ველარ ვანსხვავებ ცხადსა და ბურანს,  
გამიძელ სახლო  
მინით ნაშენო,  
ეს დედამინაც თუ კიდევ ბრუნავს  
იბრუნოს ჩემი სიტყვის გარშემო.

სანდრო მოსაშვილი



დავიბადე 1988 წლის 24 აპრილს, ქალაქ რუსთავში, 2009 წელს დავამთავრე თსუ იურიდიული ფაკულტეტი, ვარ სამართალმცოდნე. ვწერდი (ახლა უკვე იშვიათად) ლექსებს და ვჩუქნიდი მეგობრებს.. არსად არ გამომიქვეყნებია აქამდე.. მყავს მეუღლე და ერთი შვილი, ოჯახთან ერთად ვცხოვრობ რუსთავში. დედაჩემი ყოჩიაშვილი ლალი წარმოშობით დედოფლისწყაროდან არის, ყოველ ზაფხულს იქ ვატარებდი, ბავშვობის ბევრი მოგონება მაკავშირებს დედოფლისწყაროსა და სამრეკლოსთან (სახელი სამრეკლო ნამდვილად მომწონს და კარგი იქნება თუ მალე შეიგუეებს ამ სახელს სოფელი).. ლევანა და თამაზ ნიკლაური მესტუმრნენ ერთ დღეს, აქედან გახდა ცნობილი, რომ მეც ვწერდი; მომისმინეს.. მოეწონათ.. თამაზმა პოეტად „მაკურთხა“.

ნელიონის ნაძვის ხე

აკორდი აკორდს ენაცვლება და ბგერა- ბგერას, რიტმი ასკდება ჯებირებად აღმართულ ლაღებს, თითქოს, პირველად ეხებოდნენ - თავიდან ლელავს ცოტას, ნუთიც და მელოდია შეტევას ჰბადებს,

შეტევას სიმის... ჰოდა, მერე ტრიუმფით გადის თალს და თალს შორის უფრო ვინრო და ფართო არხებს, როგორც თვითმკვლელი ლიანდაგზე - თითები დადის ლაღებზე, ბასს კი მოუქნელი დაცემა არხევს

უხეში ცერის... ადრე იყო, როგორც საცდელი მუთაქა, თითქოს ვერთობოდი ბავშვივით... არა, ახლა სულ სხვაა, გამომწვევად, უფრო მაცდურად და ძმაცაცივით გვერდში მიდგას ჩემი გიტარა.

ლევან ალავერდაშვილს...

ღობეს, გამყოლეს ნათხოვარ უბნის ხელის ცეცებით მიჰყვება სევდა, ვისთვის რამხელა სატანჯველს უდრის, ვის რა ჯანდაბა ტკივილი სდევდა. . .

ღობემ კი იცის -ხშირად გეხება, ხანაც მიგიყრდნობს გათოშულ მკერდზე, უაზრო თვალთა შემოფეთება შეგარცხვენს და თვალს მიაპყრობ გვერდზე

სიცილით შემკულ უსულგულობას, სად არ ნთებულა ერთხელაც ცეცხლი, გწყევლის შენივე უმადურობა -ვის თავს არჩევ დაცინვა-ვერცხლი. . .

მერე, ლექსების რუხი მგოსნები ჩამოიშლიან სადარდელს მხრებთან, აუკინძავი კრიალოსნები თუკი გებადა, რად არ თქვი სხვებთან. . .

დიდება ღმერთს და მათაც სწყურიათ, იქნება მათაც ეწვებათ სული,

ნუთუ ეს ყველას საზღაურია, რომ დაგვიძახონ გადარეული. .

არც მიიხედო, მოგდევნ როცა, ბრბოს მოქნეული მუქი კადრები, ერეტიკოსს თუ პადრე არ გლოცავს – ნათხოვარ უბნის გლოცავს ჭადრები. . .

და როგორც მოხუც მეთევზეს უთქვამს – ზღვა ვერ ნაიღებს უკან ნიჟარებს. . . გიშლიდნენ სიცილს, გიშლიდნენ სუნთქვას, ლექსის წერა კი ვერ დაგიშალეს. .

ფერადი ნიღბები

ნითელი, ლურჯი, ოქროსფერი, ქვევიდან ზევით, დევს ჰორიზონტზე გაუნძრევლად მკვეთრი ტონები, ვდუმვარ და დუმილს დამონებულ გადაბმულ ხმაურს, უფრო გადაბმულ შეგრძნებებით ვებატონები...

ნითელმა, ლურჯმა, ოქროსფერმა, საზღვრები დათმეს, და გადაეწყო უთანრიგოდ თავი და ბოლო, ლურჯმა იმატა, მოცისფერო გადაჰკრავთ ატმებს, სიჩუმე გლოვობს, ნუხანდელ ფერს სიჩუმე გლოვობს...

მთლად გაიბრწყინა, ცის კალენდარს ფოთოლი მოწყდა, ერთი ფოთოლი ჩაენწერა ათასთა რიგში, დღე არ გასულა, არ მეთხოვოს დროისთვის მოცდა და მოსანიშნად, არ ჩამედოს ნიღაბი წიგნში...

მე ახლაც ნიღბით მივუყვები ციცაბო ფერდობს, ზაფხულში ზამთარს ველოდები გაუკვირვებლად, იქნებ ამ ნიღბით რალაც წერვი, რალაცას ვერ გრძნობს, იქნებ ოდესმე უნიღობაც შევძლო პირველად...

რატომ მგონია? იმიტომ, რომ სასწაულს ველი, მაინც მჯერა, რომ ღრუბლებს ზევით ცა ცისფერია, აი, ოცნებამ კიდევ ერთხელ წამართვა მთელი დღე და ეს დილაც ლურჯი, ჟღალი, ოქროსფერია...

უცხოპია

მაცადეთ წერა, მუზა სადღაც ახლოს დავლანდე,  
თავში აშლილი მოტივები მეტევერებიან,  
ხომ მაქვს უფლება განმასხვავოთ და სხვას არ ვგავდე,  
ვიცხოვრო, სადაც ოცნებები არ ბერდებიან

დაუსრულებელ ტაეპს ჟინით ჩავებლაუჭო,  
მოსმენილ ზღაპარს მოვუგონო ჩემი ფინალი,  
მიყვარდეს ის, რაც სხვისთვის უკვე საძულველია  
და სიყვარულის მართვე ვიყო დაუძინარი.

ნუშის ყვავილით მოვაქსოვო ლომებს გვირგვინი,  
თოვლს დავახატო მენამული ბრონეულები,  
ჩრდილებს ვუბრძანო – არ გაინძრნენ, სანამ ვმოძრაობ,  
ხეს დავუბრუნო ალუბლები მონეულები.

მთაში ავიდე გაუხედნავ, უბელო ცხენით,  
დაცვარულ ბალახს მზის სხივები არ მივაკარო,  
ვიფრინო და არ შემემინდეს ჩახედვის ქვევით,  
უჟრუანტელოდ ნავიკითხო ტანო-ტატანო.

მტირალა ღრუბელს აბრეშუმით ცრემლი მოვწმინდო,  
იასონს ვთხოვო დააბრუნოს ოქროს სანმისი,  
ედემის ბაღში ვაშლის ნაცვლად, ვარდი მოვწყვიტო,  
სიყვარულისკენ შევებრუნო ქვეყნის სანყისი.

ოქროს ნანნავენს ავყვე ზევით ცისარტყელამდე,  
ჩამოვაგორო თვის ზვინი მოუთიბავი,  
რომ გადავივსო სიყვარულით გული ყელამდე,  
ვერ მომერიოს ავი სული ანდა მჩხიბავი.

ლამაზი ქალის ფიქრებივით ამოუცნობო,  
მკრთალი მუზების შუქმომფენო თაფლის სანთელი,  
ეს შენთან ვბედავ მხოლოდ ჩემი ოცნების რომშვას,  
ვიცი გამიგებ, მთელი სულით გგრძნობ სანატრელო!

მთაში

მთაში მივდივარ, დავბერდი ალბათ,  
სიმაღლის შიში დავკარგე, მორჩა.  
ბოლო დროს, თითქოს დავფრინავ დაბლა,  
ზეცაში ფრენის დრო არის როცა..

ბარს ჩამოგიტან ტინის კლდის ნაშალს,  
ტაძარს აგიგებ სიყვარულისას,  
მერე, კი ალბათ მიწოდებ ლაჩარს –  
რომ არ ნავედი მთაში თოვისას.

თავს გავიმტყუნებ, გულზე დავიცემ –  
მსხვერპლი ნაკლები გავილე ვიდრე...  
ახალი გზების ძებნას დავინწყებ,  
იქ მაინც შემხვდეს ხიფათი, იქნებ.

უბეგარღვეულ ჯიბეში შარვლის,  
კალამს და ფურცლის ნაფლეთს ჩავიდე,  
ვინ იცის, შენი მსგავსი ჩამივლის  
და მეც საყვარელ ცოდვას ჩავიდე

ფურცელს ნავანერ უბადრუკ ლექსს და  
იმ სხვას გადავცემ, ვითომც შენა ხარ  
და შევიცოდებ მიმწყვდეულს კლდესთან,  
ყველა ტკივილის ჩემებრ შემნახავს...

\* \* \*

ისე მინდა ახლა ისე მინდა,  
ამოვარდეს ცივჰაერა ქარი,  
ნუხელ ჩემთან ცხარე ცრემლით წვიმდა,  
როცა ქუჩა მშრალი იყო გარეთ.  
ვხედავ როგორ გეფერება ტალღა,  
ცდილობს იქნებ გადმოვიდეს შენზე,  
იცი როგორ ვეჭვიანობ ახლა  
ტალღებსა და ფორთოხლისფერ მზეზე...  
ერთი ვიცი, ნამდვილად და მშვიდად  
ლამეს მოსდევს განთიადი დილის.  
გუშინ ღიმილს თუ ტალღები შლიდა,  
ხვალ თავიდან ამოვჩხაპნი ღიმილს...  
ისე მინდა ახლა ისე მინდა,  
ამოვარდეს ცივჰაერა ქარი  
და მოსტაცოს ღია აივნიდან  
შავ ზღვას ჩემი საყვარელი ქალი...

\* \* \*

ვზივარ, არ ვლელავ არაფერზე ახლა სრულიად,  
ჩემს ზემოთ ნიავს აჰყოლია მწვანე ისრიმი,  
ცა ვარსკვლავებით საათივით გამართულია.  
წყაროს გადაღმა ძეობაა, თოფი ისროლეს. .  
მე გავიარე უკვე ბევრი, ახლაც მივდივარ  
ტაძარში და იქ შენთან ერთად მისვლა მწყურია,  
სამხრეთის ქარი მოგიტაცებს ტრიალ მინდვრიდან,  
სადაც შენ ხარ და ყვავილების გაზაფხულია. .  
მე უკვე ვიცი, ცუდი გზებით ნავალ ბილიკებს,  
როგორ ავცდე და უფრო რთული გზებით ვიარო,  
მოუთმენლობით, გვირილებმა გულზე მიგიკრეს,  
და სულ არ მინდა ნამითაც რომ დავაგვიანოთ.  
შენც უკვე ბევრი გაიარე, ცოტა არ ითქმის,  
ზღაპრულ გმირებად გადაცმული ვრცელი ტრამალი...  
თუ ჯერ ვერ შევხვდით, არაუშავს ახლოს ვართ თითქმის...  
წყაროს გადაღმა მოპარული თოფი დამალეს,  
ცოტაც და მერე... აჟღერდება ჩვენი არიაც...  
ერთი ცოდვისთვის, ვის მოუკლავს თავი მეორედ?  
გულიც, გონებაც რადგან უკვე ჩვენიათ,  
მე შენ მიყვარხარ – უსასრულოდ გავიმეორებ.





**ზაზა ბიბილაშვილი**

**მკითხველი, რომელიც სინამდვილეშია (ფრაგმენტები „ცოცხალი წიგნების“ მოგზაურობიდან)**

**წ**რ ვიცი, მსგავს შეხვედრებს მასპინძლებისთვის რა მოაქვს, აი, სტუმრებს კი, შეიძლება, ასეთი უცნაური ფიქრები მოუტანოს: „ვინ იცის, ლიტერატურა მხოლოდ მეგობრებისთვის ან რედაქტორებისთვის არ იწერება“; „იქნებ მკითხველი არც ისეთი მითური არსებაა, მასთან პირისპირ შეყრა გამორიცხო“, და ა. შ.

თუმცა უცნაურიც რაღაა, თუკი იმ არსებასთან შესაყრელად ეს სტუმრები თავიანთი ფეხით (გნებავთ – გაიოზის მინიაფტობუსით) გამგზავრებულან? აი, ისე, როგორც მოვიქეციტ ჩვენ – ვანო ჩხიკვაძე, ლელა კოდალაშვილი, ბესო ხვედელიძე, ლადო კილასონია და მე, რაღა თქმა უნდა, მარიამ ნიკოლაურისა და ქეთი დუმბაძის ხელმძღვანელობით.

**04. 06. 15. გარდაბანი, საგარეო**

მოგზაურობის დასაწყისიკ მიგვანიშნებს, რომ გზა მკითხველის გულამდე იოლი არ არის. ია-ვარდს ვინ ჩივის – თბილისიდან გარდაბნამდე ასფალტია თავიდან დასაგები. იფიქრებ, კარგა ხანია, ქვეყნის ძალიანმაღალჩინოსნებს აქეთ არ გაუვლიათო. ლიტერატურული ან სპორტული გავლა-გამოვლა კი გზას რას უშველის, მაგასაც ვნახავთ.

სპორტი უბრალოდ არ გამახსენებოდა: მივდივართ და ფეხდაფეხ მოგვდევს ქართლ-კახეთში ეს-ესაა შემოტანილი ოლიმპიური ჩირაღდანი. აი, ახლაც, გარდაბნის გამგეობის ეზოში შესულები სულ ტყუილად შეგვაცხუნა ერთმა ფუსფუსმა და აპარატურის გამართვა-განყოფამ – მალე გაირკვევა, რომ აქ, ლიტერატურულ კი არა, სპორტულ ცეცხლს ელოდებიან.

ცოტა მოგვიანებით ამავე შენობის დარბაზში შეკრებილი ჩვენი დამხვდურებიც გვიხსნიან – დღეს ქალაქში, თქვენს გარდა, ოლიმპიური ჩირაღდანიც შემოდის და მასპინძლებს ორად გაყოფა მოგვიწიაო. ჩვენც კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ: 1) ორად გაყოფა მაინცდამაინც შუაზე გაყოფას არ ნიშნავს; 2) სპორტი ლიტერატურაზე უფრო პოპულარულია.

გამონვევა სერიოზულია: დარბაზში შეკრებილებს არ უნდა ვაფიქრებინოთ, რომ, მათ კი არა, მასპინძელთა მეორე – უფრო მრავალრიცხოვან ნახევარს გაუმართლა... ან იქნებ დიადი მიზნები არცა მაქვს, როცა თან ნაღებულსაკუთარ წიგნს ჩავკირკიტებ; იქნებ უბრალოდ, ვიგრძენი, რომ კარგია, როცა კონკრეტული აუდიტორიის წინაშე გამოდიხარ, ამ აუდიტორიისთვის ნასაკითხი რამეც მოგეძვევებოდე.

ვატყობ, ამ საგონებელში მარტო არ უნდა ვიყო. თუმცა განსაცდელს, ასე თუ ისე, ყველა ვუმკლავდებით.

მაგალითად, ბატონი ვანოს გამოსვლა მშვიდი და თავდაჯერებულია – ეტყობა, რომ მკითხველიც ბევრი უნახავს და მსმენელიც. ცნობილი პროზაიკოსი ბესო თავისი მოულოდნელი – პოეტური ნახნაგის გამომზეურებას ამჯობინებს. ლელას აუდიტორიის უმრავლესობის სქესი კარნახობს, ფემინური პიესა ნაიკითხოს... მე ერთი გარანტირებული გულშემატკივარი თავიდანვე მყავს – მასპინძელთა შორის მოგვარე გამომიჩნდა. თუმცა ამით არ ვკმაყოფილდები და ისეთ ტექსტებსაც ვარჩევ, რაღაც შანსი რომ აქვს, დანარჩენი დარბაზისთვისაც ახლობელი აღმოჩნდეს. ეს კი მაფიქრებს, ადრინდელმა სატრფიალო პოეზიამ ჩემი დღევანდელი ჰაბიტუსი არ იუცხოოს. ამიტომ მსმენელს წინასწარ ვურთხევდი, კითხვისას თხუთმეტიოდე წლით უფრო ახალგაზრდა წარმომიდგინეთქი... მაგონი, რაღაც გამოდის – დარბაზის, და განსაკუთრებით, ერთი მშვენიერი გოგონას რეაქციას თუ დავუფერებთ... ჩვენს გამოსვლებს კი აქამდე უშუალოდ იატაკზე მოკალათებული ლადო ამთავრებს და თავისი უშუალოდ თხერხულობის ყველა უსარგებლო ბარიერს აცამტვერებს. არც გვიკვირს – ლადო ხომ თან მწერალია, თან ყველაზე უმცროსი და თან... სპორტსმენი – ახალგაზრდა რაგბისტების მწვრთნელი.

...პირად ტურიზმს, ალბათ, ველარასდროს ავალორძინებ. ამიტომ, სამახსოვრო ფოტოების გადაღების შემდეგ, სიამოვნებით ვთანხმდები შემოთავაზებას და სხვებთან ერთად ადგილობრივი მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მივდივარ. ექსპოზიციაც შესანიშნავი გვხვდება და მომსახურებაც. ეგ არის, მანამდე მუზეუმის ძებნა გაგვიჭიანურდა. ეტყობა, იმ ანექლოტისა არ იყოს, მისამართს ტურისტებს არ ვეკითხებოდით...

\* \* \*

ტურნე კახეთით – საგარეჯოთი გრძელდება. ერთხელ, შორეული სტუდენტობისას, ასეთივე მისიით ამავე კუთხეს – სოფელ გომბორს ვესტუმრე. კარგად დამამახსოვრდა. მაინც რა და, მაგალითად, ის, შეხვედრის დასრულების შემდეგ ერთი იქაური გოგო რომ მომიახლოვდა და მითხრა – შენი ლექსები მაიტაო!.. ახლა ის ქალი, ალბთ, აკვანთანაც აღარ ზის. დიდი შვილები ეყოლება. არ ვიცი, ცხოვრების ამხელა მონაკვეთის გავლის მერე კიდევ თუ ახსოვთ ხოლმე ვილაც „ახალგაზრდა პოეტებთან“ შეხვედრა. სამაგიეროდ, მე – მიზეზთა გამო – მისი სახელიც დამამახსოვრდა (თუმცა ჩემთვის შევიწინააზრე – იმავე მიზეზთა გამო)...

მოკლედ, კახეთი კარგად მაქვს დაცდილი. გარდაბნულმა მოთელვამაც თავისი ქნა. ამიტომ საგარეჯოელებთან შესახვედრად უფრო მხნედ შევდივარ. აუდიტორია კიდევ უფრო მხნედ გვხვდება. ან რა იქნება – უმეტესობა ძალიან ახალგაზრდაა, ხოლო უფრო გულწრფე-

ლი თუ ვიქნები – ბავშვია.

თუმცა ისიც სათქმელია, რომ თუ ბავშვი რაიმე ღონისძიებაზე ბედის უკუღმართობით მოხვედრილა და იქ ყოფნას ყველაფერი ურჩევნია, მხნეობით მაინცდამაინც არ გამოირჩევა. ეს აუდიტორია კი მეტად ცოცხალი და კონტაქტურია. ალბათ, ამართლებს სტიმულიც – ერთი მხრივ, ჯგუფის ხელმძღვანელთა გონებამახვილობა, რამაც ჩატანილი საჩუქრები გასათამაშებელ პრიზებად აქცია, და მეორე მხრივ, ისევ რაგბისტი მწერლის გამონვევა – კითხვები დამისვითო.

ნამდვილი შეჯიბრი იმართება. ბავშვები არა მხოლოდ პრიზების მოგებაში (რისთვისაც მწერლების გვარების უშეცდომოდ ჩამოთვლაა საჭირო) ეჯიბრებიან ერთმანეთს, არამედ ჭკვიანური და ნამდვილი, ანუ პასუხისმომლოდინე კითხვების დასმამაც. მგონი, ყველა ერთმანეთზე გონიერი, ყოჩალი და ცნობისმოყვარეა. თუმცა ერთი დაკვირვებული (ან, ვინ იცის, მიკერძოებული) მასპინძელი ქალბატონი ხმამაღლა და სიამაყით აღნიშნავს – პატარძელელი ბავშვები ყველაზე მეტად აქტიურობენო...

**05. 06. 15. გურჯაანი, ვაჩნაძიანი, სიღნაღი**

გურჯაანი ბიბლიოთეკაში გველოდება. ანუ საჩუქრად ნაღებულ ნიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს პირდაპირ დანიშნულების ადგილზე მივიტანთ. ამას გარდა, პროექტის კურატორი მარიამ ნიკლაური შემთხვევით ისარგებლებს და... თავს კიდევ უფრო მეტად დაიტვირთავს.

საქმე ის არის, რომ ბიბლიოთეკები მარიამის საგანგებო ყურადღების ობიექტებია; განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პროექტის მიმდინარეობისას ზოგი ქალაქის ნიგნის მაღაზიაში თანამედროვე ავტორები ვერ იპოვა, ზოგ ქალაქში კიდევ – ნიგნის მაღაზია...

ცხადია, სამხარეო ლიტერატურული შიმშილის ამბავი გამომცემლობებს აქამდეც მოეხსენებოდათ. შესაბამისად, თითქოს საინტერესო უნდა გამოდგარიყო მათთვის პროექტ „ცოცხალი ნიგნებთან“ თანამშრომლობის შეთავაზება. მაგრამ, ხელსაყრელი ფორმატი ვერ მოიძებნა თუ რა იყო, ამ ეტაპზე ეს თანამშრომლობა არ გამოვიდა. არადა, პროექტი უფრო სასარგებლო იქნებოდა, თუკი რეგიონების მოსახლეობას „არაცოცხალი ნიგნებთან“ შეხვედრის საშუალებასაც მისცემდა.

ამაზე ნაფიქრალი (ან ნარმოსახული) ერთხელ ფეისბუქის „ცოცხალი ნიგნების“ გვერდზეც დავპოსტე:

„გამოცხადება მქონდა, მომენონა და გაგიზიარებთ: სათანადოდ შეღებილი/გაფორმებული ფურგონი, პატარა ავტობუსი ან მიკროავტობუსი, სავსე ქართველი მწერლების (სხვებისაც შეიძლება) ნიგნებით და ქართული ლიტერატურით, მოგზაურობს „ცოცხალი ნიგნების“ კვალდაკვალ და მასპინძელ ქალაქსა თუ სოფელში გადაიქცევა დროებით მაღაზიად, რომელშიც საგამომცემლო ფასებში იყიდება ნიგნები... ანუ რეგიონებში, ფაქტობრივად, იმართება ნიგნის ერთდღიანი ან რამდენიმე საათიანი მინიფესტივალი. დიახ, ეს მინიფესტივალია – ნინასწარი და შემდგომი საინფორმაციო უზრუნველყოფისა და იმის წყალობით, რომ რეგიონებშიც ცხოვრობს ინტელიგენცია...“

მოგვიანებით პროექტი კიდევ უფრო ეკონომიური „გავხადე“ – ნიგნებით სავსე ფურგონი სულაც მწერლების ტრანსპორტს მიეხას-მეთქი...

მოკლედ, ნინა წელიწადს შანსი აქვს, მომდევნოს ხიდი აღმოჩნდეს, პროექტს – დაიხვენოს, მოგზაურ „ცოცხალი ნიგნებს“ ნამდვილი ნიგნებიც დაურთოს და რეგიონელ მკითხველს მათი შეღავათიანად შექენის საშუალება მისცეს...

მანამდე კი მარიამის ყურადღების ფოკუსში ბიბლიოთეკებია მოქცეული. აი, აქაც, ჯერ კატალოგს „სწავლობს“, შემდეგ კი დანესებულების ხელმძღვანელობას კონკრეტულ რჩევებს სთავაზობს საცავის შესავსებად. სარჩევი კი – ასე ვთქვათ – ბევრია. ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე ლიტერატურისა და ლიტპერიოდიკის პოვნა ჩვენს მიერ მონახულებულ და მოკითხულ ბიბლიოთეკებშიც ჭირს.

ეს, ძირითადად, ორ რამეზე უნდა მიგვანიშნებდეს: 1) ბიბლიოთეკებისთვის მხოლოდ დახურვის ჟამს ჩაუვლია, სიღარიბისას კი ვერა; და 2) ხსენებულ პროდუქციას მაინცდამაინც ბევრი კლიენტი არ ჰყავს.

ამას, რა თქმა უნდა, ერთი მარიამი და ერთი პროექტი ვერ უშველის. ჩვენც იმასლა ვაკეთებთ, რაც ამ კონკრეტულ ეპიზოდში შეგვიძლია და გვგონია, რომ მოგვეთხოვება: თავიდან ვულნავედებით საკუთარ ნაწერებს, თავიდან ვეძებთ, ვპოულობთ ან ვერ ვპოულობთ იმას, რასაც ვეძებთ, ვკითხულობთ, აუდიტორიას ვესაუბრებით, კითხვებზე ვპასუხობთ, ამბებს ვუყვებით...

და ესეც სერიოზულ ჯაფად და ოფლისღვრად გვიჯდება. თუმცა ამაში, ალბათ, კახური ზაფხულის წვლილიც დიდია.

\* \* \*

სოფელი ვაჩნაძიანი, თავისი მწერალწარმომშობი თვისებების წყალობით, აუცილებლად შევა ქართული ლიტერატურის ისტორიაში (თუ გეოგრაფიაში). „ცოცხალი ნიგნების“ ისტორიაში კი, აი, ახლა შედის. იმიტომ, რომ ჩვენ შევდივართ ვაჩნაძიანში და თემურ ჩხეტიანს ვსტუმრობთ.

კახეთში რომ ჩავდიოდით, იცოდა; თუ ვესტუმრებოდით – არა. ანუ სიურპრიზის ეფექტი მიღწეულია...

მოგვიანებით მარიამი ფეისბუქზე დაწერს – სიხარულისგან გაგიჟდაო. თემური მიაწერს – არ გაგვიყებულვარო...

სიხარულს ვინ გაზომავს. არც დეტალების აღწერაა აუცილებელი. ფაქტია, ერთი დიდი პოზიტიური ემოცია ვაჩნაძიანური შეხვედრიდანაც ნამოვიღეთ. ვფიქრობ, დავტოვეთ კიდევ.

\* \* \*

ამასობაში პირადი ტურიზმი თანდათან ფეხს იდგამს: სიღნაღში ვარ, პირველად.

ჩვენი მასპინძელი თეატრის შენობაც პატარა და კოხტაა, როგორც თვითონ ქალაქი. სცენაზე ჩვენთვის განკუთვნილ ადგილებს ვიკავებთ თუ არა, პროექტორების ჯვარედინ ცეცხლში ვხვდებით. სამაგიეროდ, პარტერია სანგარივით ბინდბუნდში გაყურსული. მოკლედ, ისეთი გარემოა, წესით, ახლა უნდა ნამოვხტეთ და რამე წარმოდგენა გავითამაშოთ; მერე კი, ალბათ, დარბაზის ოვაციები შევიფეროთ, ბისები მოვილიოთ და წავიდეთ.

გეგონება, პარტერსაც ამის იმედი აქვსო, ისე გაყურებულა. სამაგიეროდ, ქეთი და მარიამი ფიქრობენ სხვაგვარად. მალე, მათი დაჟინებული მოთხოვნითა და მითითე-

ბებით, თეატრში შუქი თანაბრად ნაწილდება. შესაბამისად, საბოლოოდ მჟღავნდება, რომ აქაც ძირითადად სკოლის ასაკის აუდიტორია გვმასპინძლობს. მეც კიდევ ერთხელ ვეფლობი საკუთარ წიგნში და ყველაზე მოკლე, მსუბუქ და უწყინარ ლექსებს ვეძებ...

ეტყობა, მართლა ბევრი რამეა იმაზე დამოკიდებული, ფაქტსა და მოვლენას პესიმისტი აფასებს თუ ოპტიმისტი. მაგალითად, პესიმისტი იქნებ ეთქვა, რომ ბავშვები (და მოზარდები) ასეთ ღონისძიებებზე თავისი ნებით არ მიდიან და ასე შემდეგ... სამაგიეროდ, ოპტიმისტი გამოაცხადებდა, რომ სწორედ ბავშვებთან (და მოზარდებთან) შეხვედრას ყველაზე მართებული და ეფექტიანი, რაკი ლიტერატურით ამ თაობების დაინტერესების შანსი მეტია, ვიდრე იმათი, ვისი ცხოვრების მნიშვნელოვანმა ნაწილმა უკვე ჩაიარა და თანაც – უნიგნოდ.

მე, მაგალითად, ასეთ (ამ შემთხვევაში – ოპტიმისტურ) განცხადებას ბატონი ვანოსგან ვისმენ.

ალბათ, კარგია ოპტიმიზმი. ის კი ნამდვილად კარგია, ბატონ ვანოს, ოპტიმიზმთან ერთად, თან ერთი კოზირიც რომ წამოუღია. ვგულისხმობ ლექსს, რომელიც მთელმა საქართველომ იცის – შეიძლება, არა როგორც ვანო ჩხიკვაძის ლექსი, და საერთოდ, არა როგორც ლექსი. „დეკემბერი, დეკემბერი... ვაი, უკვე ველარ ვშველი უკანასკნელ მოფარფატე ფოთოლს...“ – კითხულობს ბატონი ვანო და აუდიტორიასაც თვალსა და ყურს შორის უქრება მანამდელი ილუზია, რომ დღევანდელი სტუმრების შემოქმედებას პირველად სწორედ დღეს ეზიარა.

**06. 06. 15. დედოფლისწყარო, ხორნაბუჯი**

ბოლო პაემანი დედოფლისწყაროშია დათქმული. დარბაზში შესვლისთანავე იგრძნობა – მოგზაურობის ფინალი ღირსეული იქნება. იმდენ და ისეთი განსხვავებული ასაკის ადამიანს ვხედავ, ყოველი შემთხვევისთვის ერთ-ერთთან ვარკვევ, აქ რა ამბავია-მეთქი. რა ვიცი, ესენიც სხვისი მასპინძლები არ იყვნენ – აკი ოლიმპიურ ცეცხლს არ სძინავს...

აი, ასეთი აურა მართლა მოგიყვანს იმის ხასიათზე, რისთვისაც ჩამოხვედი. მინიმუმ, შემანუხებელი ეჭვი არ გიჩნდება, შენი სტუმრობით ეს ხალხი თავის საქმეს ხომ არ მოსწყვიტე და ზედმეტი საზრუნავი ხომ არ გაუჩინე. ბოლოს და ბოლოს, ქიზიყელები არ ითამაშებენ – სტუმრებიც გვაინტერესებს და ლიტერატურაცო.

ეს ყველაფერი თუ განაწყობს ქეთი დუმბაძესაც, პროექტის ავტორ-ხელმძღვანელის სტატუსითა და შეხვედრის სპიკერობით (გნებავთ – თანასპიკერობით) აღარ შემოიფარგლოს და მასპინძლებს თვითონაც წაუკითხოს ტექსტები. რა თქმა უნდა, ნოდარ დუმბაძეს კითხულობს.

დიდი ადამიანების, გამოჩენილი ადამიანების, ცნობილი ადამიანების შვილებზე ხშირად ამბობენ ხოლმე – მამის ჩრდილში უნევთ ცხოვრებაო. ქეთი დუმბაძეზე ამას ვერ ვამბობ. ის უფრო მამის შუქს დაატარებს.

ქეთისთვის, შეიძლება, კომფორტია, შეიძლება – მოვალეობაც, ბუნებრივი მდგომარეობა კი – ნამდვილად – მამის ნათელი აჩრდილი ატაროს.

„ცოცხალი წიგნების“ ტურნეში ამას სხვა დატვირთვაც ეძლევა. ჰო, მგონია, რომ მასპინძელთა ნაწილისთვის მაინც სტუმარი ქეთი დუმბაძე ორი მნიშვნელოვანი ფაქტის დასტურია: 1) რომ ნოდარ დუმბაძე ნამდვილად არსებობდა; და 2) რომ თვითონ ახლა ნამდვილად იმ ადამიანების მასპინძელია, ვისაც იდუმალი სიტყვა „მწერალი“ უკავშირდება.

\* \* \*

მასხოვს, როცა სუფრა ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ასპარეზად მიჩნდა, და ეს ასპარეზი ხშირად სადმე არაყოველღიურ ადგილას გა(და)იშლებოდა ხოლმე, მაშინაც ვცდილობდი ჩემში ცნობისმოყვარე სულის, გნებავთ, ტურისტის გადარჩენას. ახლაც შანსი გვაქვს, უკანა გზაზე რაიმე საინტერესოს ნახვა მოვასწროთ. მეც, სადღეგრძელოსა და სადღეგრძელოს შორის, ქიზიყური სადილის დასასრულის დაჩქარებას ვცდილობ.

ბოლოს და ბოლოს, გამომდის. მარშრუტიც ადვილად ზუსტდება: მასპინძლები ხორნაბუჯის ციხის მონახულებას გვირჩევენ. და არა მხოლოდ გვირჩევენ – გიორგი ნატროშვილი და ლევანა ალავერდაშვილი გიდობასაც კისრულობენ.

ციხეზე ამავალი ბილიკის (ბილიკს ვამბობ, თორემ რა ბილიკია) შუანელიდან მოლაშქრეთა რიგები ისე თხელდება, თითქოს ზემოდან მეციხოვნენი ისრებს გვიშენდნენ, კუპრს გვასხამდნენ და ქვა-ლოდს გვაყრიდნენ. უამისოდაც ჭირს ასვლა და იმიტომ. თუმცა წინამძღოლი გიორგი ნატროშვილი ისე იოცებს ჩვენს გასაჭირს, უკან მობრუნება მართლა მტრისთვის ზურგის ჩვენებად გვესახება.

ცოტაც და, ხორნაბუჯი აღებულია. რალა დავმალო და, ამღებნი ჩვენ ვართ: გიორგი, ლადო, მე და... მარიამი. გამარჯვებულთა გამარჯვებულად კი, რა თქმა უნდა, მარიამს ვაცხადებთ – არა იმიტომ, რომ ქალია – გენდერული თანასწორობის მოთვალთვალე დღევანდელობა ამის ნებას არ მოგვცემდა – იმის გამო, რომ აქ, ჩვენგან განსხვავებით, ე. წ. საბოებით ამოვიდა.

\* \* \*

ხორნაბუჯი დაუვინყარი ჟღერადობის სიტყვაა. მით უფრო, იმ პოეტურ სტრიქონს რა დაგავინყებს, ამ სიტყვას სამი სხვადასხვა ფორმით რომ ინახავს. აქეთ მოხვედრილს ხომ გაგახსენდება და გაგახსენდება: „...რომ ხორნაბუჯში ხორნაბუჯს ეძებდეს ხორნაბუჯელი“.

ასეთი პერსპექტივით დაემუქრა (ლადო ასათიანის ვერსიით) ნუქარდინ-რუქნადინი თამარს და მის ქვეყანას. ეგ არის, ხორნაბუჯის საქმე მაინც ისე ავად არ წასულა, თუნდაც დღეს საძებარი გვეკონდეს. გზაც არ იცოდე, აგერ, გიორგი ნატროშვილი და ლევანა ალავერდაშვილი მიგასწავლიან. ქიზიყური გადასახედედიდანაც თუ რამეს ვეძებდით სინანულით – ნისლეტში მიჩქმალულ ჰერეთს...

თუმცა პროექტ „ცოცხალი წიგნების“ მოთვალყურე მთელ ამ თავგადასავალში ერთ სხვა ძებნასაც შეამჩნევს თუ მოეჩვენება: თითქოს მწერალი და მკითხველი დაეძებნენ ერთმანეთს.

რთული საკითხია მწერლისა და მკითხველის ურთიერთობა. ხან ერთმანეთისთვის შექმნილები გგონია, ხან ერთმანეთის გახსენებაც არ უნდათ, ხან კიდევ გაახსენდებათ, მოიკითხავენ და ძებნას დაუწყებენ.

შესაბამისად, მწერლისა და მკითხველის ურთიერთობის შეფასებაც მრავალგვარია ხოლმე. მაგალითად, ამ ბოლო – ერთგვარი ძებნის შემთხვევის შეფასებისას პესიმისტი, ალბათ, დაიჩივლებს – მაგათ ერთმანეთი საძებარი რად უნდა ჰყავდეთო. სამაგიეროდ, ოპტიმისტი გამოაცხადებს – თუ ეძებენ, უკვე კარგია; ცუდი ის არის, ერთმანეთს რომ არ ეძებენ, მაშინ, როცა საძებარი გახდომიათო.



გაზაფხული...

თეთრი ქურქი  
გაუხდიათ –  
ქედებს,  
ჭალებს,  
მდელოს, – რახან,  
ნაკადული აკისკისდა  
და ... მაყრული  
შემოსდახა...

ცის  
ლურჯ ტოტზე  
მზე შემოჯდა, –  
მორთო  
კრიახ — კაკანი და  
ყინვა,  
სუსხი  
შორს გაიქცა, –  
ცხრა მთას იქით, –  
კანკალითა...

ირგვლივ –  
მწვანე ალაღანდა,  
ნაძვსაც  
ჩოხა ეძველება,  
ტყე,  
კორდები  
შემოფიფქეს –  
იებმა და  
ენძელებმა...

ხევებს –  
ნისლის  
ბოლი ასდის,  
სადღაც –  
ზვავის ყოჩია და  
თეთრი კაბით  
იპრანჭება  
მატრაკვეცა  
ყორივარდა...

კაბადონი მოსარკულა...  
ზოგან –  
ღრუბლის მხედრებია,  
მერცხლები კი –  
საქორნილო  
მახარობლებს ედრებიან...

სხივი  
სხარტად დაჯირითობს  
სივრცით  
სუნთქავს  
დრო შვებითა,  
ატმები და  
ალუბლები  
ფეხზე დგანან  
დროშებითა...

სიცოცხლის და  
ნეტარების  
ეს, – ციური  
ხალისია,  
თაფლს და  
სანთელს  
ვის მიართმევს? –  
ნერს ფუტკარი  
ხვალის სიას...

დიდი დღესასწაულია, –  
გაზაფხულო,  
შენი მოსვლა, –  
საზეიმოდ,  
მთა და ბარი  
ფერადებით შეიმოსა!

რა სჯობია:  
ამ ცას,  
როცა –  
აფრქვევს ღიმილს  
ნამად მზიანს,  
მაგრამ...  
ქვეყნის გაზაფხული  
ასჯერ, უფრო,  
ლამაზია!

ნეტავ –  
ჩავლილ ზამთარს  
გაჰყვეს  
დრო –  
დაყოფით  
დაზაფრული,  
მაღე დადგეს  
საქართველოს –  
ერთიანი,  
გაზაფხული!

ვარ ღირსეული –  
უფრორე, მაშინ...

შეუნდე ღმერთო:  
გონებით ბრმათა, –

არიდე ყველას  
ცდუნების  
ვაშლი...  
როდესაც ძალმიძს  
შენდობა სხვათა,  
ვარ ბედნიერი –  
უფრორე,  
მაშინ...

თუ, –  
ვარგე რამე:  
ასსა და  
ათასს,  
მზედ, – სიყვარულის  
სხივებს თუ,  
ვაშლი,  
როდესაც ძალმიძს  
სიკეთე  
სხვათა,  
ვარ ღირსეული –  
უფრორე,  
მაშინ...

მხოლოდ, –  
სიმართლით...

პირისგან მინის  
ალიგვება  
ქვეყანა, მაშინ,  
განარისხებენ –  
ღმერთს,  
ხალხსა და  
ქვათა ლოდებსაც,  
დრო – დაიკვილებს,  
დრო – დანიხლავს,  
დრო – რამდენს ნაშლის, –  
უსინდისობით,  
სინდისს სჯიან  
ბრიყვნი,  
როდესაც...

უსამართლობა,  
უწინარეს,  
ბრიყვთაგან იგრძნეს,  
სიმართლეს –  
ღმერთი,  
სიდიადის  
პირველ სიმაღ თვლის,  
უსამართლობას –  
უმართლობით  
არ ებრძვის  
სიბრძნე,  
უსამართლობა დამარცხდება –  
მხოლოდ,  
სიმართლით...

კოლეცია

რა ჭრელია  
ეს რხოვრება,  
ანუ –  
სალოლოზო,  
სატირალი...

ვერ გაიგებ,  
ვერ მიხვდები  
ვინ –  
ვისა მტრობს,  
ვის იცავს?!  
ვისი მიწა –  
ვის ხელშია,  
ვის ხელშია –  
ვისი ცა?!

ვინც სუსტია,  
იმას ხდიან,  
ვინც ძლიერობს,  
ის იცვამს, –  
რა ჭრელია –  
ეს ცხოვრება, –  
ესეც არის,  
ისიცა...

ვინ – „ვოლკია“,\*  
ვინ – „მედვედი“,\*\*  
ხოლო,

ვინ კი –  
„ლისიცა“...\*\*\*  
ვინაც –  
თვალში არ მოუვათ,  
დაბნელდება –  
მისი ცა...

მინდა დავლოცო!

მათეოს მოძღვარს\*\*\*\*

კეთილთა –  
ნეტარ  
როდი იყავ:  
ნარი,  
ეკალი,  
მორიელობა, –  
ზოგ-ზოგივით,  
როდი გენადა?  
შენ –  
ზეციური  
გქონდა სული, –  
წმინდა,  
სპეკალი,  
ახველ,  
ასხივდი –  
ნათლის სვეტად,  
მალლა,  
ზეცადა!


დიდება შენი, –  
მეგზურივით,  
ახლაც, აქ არი,  
ყოველი სიტყვა  
შენი –  
არის  
ოქროდ ნათალი,  
შენს პირს შაქარი,  
მათეოსო,  
შენს პირს შაქარი,  
ამრავლოს ღმერთმა  
შენისთანა, –  
კაცი მართალი!

გულად  
მზე გქონდა,  
შუბლის ძარღვი  
როდი გადასჭერ?  
ცეცხლი გეკიდა,  
როცა –  
მე მწვეს  
მე მათილეს,  
მინდა დავლოცო, –  
განა ერთხელ?  
ასჯერ,  
ათასჯერ,  
ამ ჩვენი ძმობის  
ჭეშმარიტი  
მემატიანე!

\*, \*\*, \*\*\*, –მაკარონიზმები(იტალ..) ე. ი. უცვლელად გამოყენება უცხო, – (ამ შემთხვევაში) რუსული სიტყვების.

\*\*\*\*– მათეოს მოძღვარი იყო XV საუკუნის სომეხი საეკლესიო მოღვაწე. სომხური საზოგადოების აზრი ქართველებზე მან გადმოსცა შემდეგი სიტყვებით: „სიკეთე ოთხი სახისაა – შეწყალება, კაცთმოყვარეობა, სტუმართმოყვარეობა და გულუხვობა. ქართველებს ყველა ეს თვისება სრულყოფილად ახასიათებს. ამის გამო, გადარჩა მათი სამეფო; ვისაც ეს თვისებები აქვს, ისინი განცხრომით იცხოვრებენ.“

ა.აბრამიანი. 1957წ. ერევანი, – სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ. გვ. 138



ვაჟა  
ოთარაშვილი

ურხო კარი

ო, რა თქმა უნდა, შენთვის ახლა უცხო კაცი ვარ  
და რა თქმა უნდა, უცნობივით გვერდზე ჩამივლი...  
გაზაფხულია, მაგრამ უცებ ისე აცივდა,  
რომ ტოტებს შერჩათ ჩამომჭკნარი ნუშის ყვავილი...  
გახსოვს, გვირილის დაკრეფას რომ ქარში ლამობდი  
და ყაყაჩოთა ფურცლის კოცნაც ქარში მოგინდა...

თუ მოგაგონდე(ს), მეძავივით ჩემთან წამოდი  
და საყვარელი მიატოვე გაშლილ ლოგინთან...  
ეჰ, რა დრო იყო... დღეს კი შენთვის უცხო კაცი ვარ  
და რა თქმა უნდა, უცნობივით ჩუმად ჩამივლი...  
გაზაფხულია, მაგრამ უცებ ისე აცივდა,  
რომ ტოტებს შერჩათ ჩამომჭკნარი ნუშის ყვავილი...

\* \* \*

შენ კი არა, სიყვარული მენატრება –  
უცნაური, მთრთოლვარე და საოცარი...  
განშორებით გაიხარეს ჩემმა მტრებმა,  
ჩამოიქცა ოცნებათა სალოცავი...  
ეხლა გქვია ნებიერი სხვისი ხარჭა,  
მეც ვიპოვე ჩემი ბედის არადანი...  
ო, არა და... გული რატომ დაიტანჯა –  
ნუთუ ისევ სიყვარულით ავად არი?..

განშორება დაისტან

ინვის დაისი... განშორების ჟამი ახლოა...  
აავარვარებს ჩამავალ მზის სხივები ღრუბლებს...

ამ გულში შენი სიყვარულის სამოსახლოა  
და ჭაღარისფრად იფერფლება დარდებით შუბლი...  
მინც მიდიხარ... შეჩერება ვეღარ შევძელი  
და თუ ოდესმე მოგაგონდეს ის ალუბლები –  
კვლავ გაიხსენე მორთმეული კონაც ენძელის  
და ჩამავალ მზეს შეყინული თეთრი ღრუბლები...

\* \* \*

ესეც ასე – როგორც იქნა დავშორდით,  
ესეც ასე – როგორც იქნა გივინწყებ...  
ჭაობივით მოგონებაც აშმორდა,  
ჩაიარა სიყვარულის სიფიცხემ...  
ეხლა ვნანობ, რა უღმობლად დავხარჯე  
დრო – სიზმრებში აღმოდებულ დარდებით...  
მიხარია, ჩემს თავთან რომ ვიმარჯვებ –  
აღარასდროს აღარ შემიყვარდები...  
სულერთია ეხლა ვისთან დანვები,  
არ მანაღვლებ – გულმა სევდა შეიშრო...  
მეძავივით შეიღებ ღანვები,  
რადგან უკვე თავისუფლად გეიშობ...

\* \* \*

გარდაცვლილ მშობლის გიხმობს საფლავი,  
სულთმოფენობის ჟამია მშვიდი...  
ეკლესიებში ხატებს დაფნავენ  
და დრო მოცელილ ბალახად მიდის...  
მოგენატრება ისევე ბავშვობა,  
(რა უცნაურად სწრაფად ვიზრდებით...)  
ფიქრობ: იმ წუთებს ნეტა რა სჯობდა —  
სავსეს რუსთველის აფორიზმებით...

\* \* \*

ვსვამ... იმსხვრევიან ჩემი ნატვრები –  
ყოველი ჭიქა დარდს გაახელებს...  
მოვლენ სიმთვრალის ძველი მხატვრები,  
რომ გამახსენონ შენი სახელი...  
შენი სახელი და ფიროსმანი –  
აღდგომის ბატკნით ხელში ნიკალა...  
გადაეკვრება თვალს ტილოსავით  
ის სურათები – მე რომ მიყვარან...

### თელავში თქმული

თელავს თელავენ ავი ქარები,  
პატარა კახის მამულს გესლავენ...  
კრწანისის ომის ნაიარევი,  
გულზე მატყვია თქვენი კვნესამე...  
სამას არაგველს ისევე მოვუხმობ  
ნაქალაქარი გრემის ქვითკირო...  
მე მომავლიდან მოვედი უხმლოდ –  
ერეკლე მეფე რომ დავიტიროთ...  
რომ ფეხზე დადგეს კვლავ ივერია,  
მტერს მინა მიაქვს ჩვენი სამყოფი...  
ქართველი ხალხი დიდი ერია –  
გვქონდა დიდგორი, ქსანი, მარტყოფი...

თელავს თელავენ ავი ქარები,  
პატარა კახის მამულს გესლავენ...  
კრწანისის ომის ნაიარევი,  
მკერდზე მატყვია, თქვენი კვნესამე...

### გრილი წვიმების დასასრული

ეჰ, სხვასთან ვწევარ და შენ გიგონებ  
და რა თქმა უნდა სხვა გკოცნის შენაც...  
დარდი ღვინის ბოთლს გამომიგორებს,  
მაგრამ გულს მინც არა აქვს შეველა...  
დანყვეტილია ძაფი იმედის –  
აზრი დაკარგა შენზე ოცნებამ...  
დასრულებულა გრილი წვიმები  
და ცრემლი ღანვზე ჩამოცოცდება...

\* \* \*

ვის უწერდი ლექსებს – ვილაც ბოზს და ჩათლახს,  
რომ შეგეძლოს ღრანჭებს დაიმტვრევი შენვე...  
გადირტყამ ბეჭზე პაპისეულ მათრახს,  
ვისთვის ფლანგე დრო და თავზე შემოეველე...  
ვისთვის ხატე ღამე ვარსკვლავების ცვენა,  
შიომღვიმე, ლისი, შავი ზღვა თუ ტაო...  
ფარდა დაუშვია ტკივილების სცენას,  
დარბაზშილა ფეთქავს მოგონების ხმაო...

\* \* \*

ეჰ, ჩავიქნიე ხელი ამჯერად,  
რადგანაც გკლავდნენ მხოლოდ ეჭვები...  
და გამახსენდა შენი მარჯვენა  
და მოელვარე ვერცხლის ბეჭედი...  
შენი თითები: თლილი და სუსტი  
და ვნებიანი სხეულის კვნესა...  
ო, დაბრუნებას ისევე დავუცდი  
და განშორების გობელენს ვკემსავ...  
მართალი ვიყავ და ჩემს სიმართლეს  
ვერ ვამტკიცებდი მარტო ლექსებით  
და ღამეული სიზმრის სინათლეს  
ვერა და ვეღარ ჩამოვეხსენი...  
და ჩავიქნიე ხელი ამჯერად,  
რადგანაც გკლავდნენ მხოლოდ ეჭვები...  
ვის ეფერება შენი მარჯვენა  
და ნაჩუქარი ჩემი ბეჭედი...

### ვეფრება

კლდემაღალას ციხიდან  
სხვილოს ციხეს გავყურებ...  
ირანელმა იყიდა  
მინა ოქროს საყურედ...  
იქით თურქის ტრაქტორმა  
ქართლის ველი გახაზა –  
გული ვინც დაუტორა  
გივი ამილახვარსა...

კლუბი

ინდოელი, არაბი,  
რუსიც ჩვენ შეგვესია...  
ხალხმა სული განაბა –  
ელოდება მესიას...  
იესო მაცხოვარო,  
ღვთისმშობელო ქალწულო,  
ერი – შენი ცხოვარი,  
იქნებ კვლავ დაარწყულო...  
იქნებ ისევ გადარჩეს  
იბერიის თავთავი...  
ველი უფლის განაჩენს –  
ხელაპყრობით სამთავისს...  
არასდროს გავქცეულვარ  
წინაპართა მიწიდან...  
ვიყავ ბედით ეული,  
მილხინდა თუ მიჭირდა...  
ისევ ვაზის ჯვარს ვკოცნი,  
თეთრ გიორგის ბედაურს...  
ღმერთო, ძალა მოგვეცი,  
მტერს ვუტიროთ დედაო!

\* \* \*

მეუბნებოდი: რატომ წერო ლექსებს – სევდიანს,  
განშორებაზე, ტკივილებზე შემადრწუნებლად...  
დღეს მონატრების ასკერები ისე მდევნიან,  
რომ შენ, ძვირფასო, შეგეცვალა უცებ გუნება...  
და ძველებურად შენთან უკვე აღარ მომელი,  
კვლავ დაიბრუნე, სამწუხაროდ, ბებერი საქმრო...  
ეს სიყვარულიც – შეწყვეტილი თავი ნოველის,  
მხოლოდ წარსულზე მოგონებით სურს დაიშაქროს...  
გვიან გაიგებ, ვინ ვიყავი – შენთან მოსული,  
როგორ ვხატავდი გამოსროლილ სხივებს მთვარიდან...  
მუცელმოშლილი ის სადამო იყო ორსული –  
ჩემი ცხოვრების დაისზე რომ ჩუმად წავიდა...

\* \* \*

შენ გაგონდება: გატარებდა მამიკო როგორ –  
მაყვლისთვალეხას, კიკინა თმებით...  
გავიდა ჟამი – აღარა ხარ პატარა გოგო,  
მაგრამ ბავშური ფრენისათვის შემოგრჩა ფრთები...  
მოგენატრება ძველებურად მშობლების სითბო  
და ოჯახური სიმყუდროვის წუთები-ტკბილი...  
და სული შენი ბავშურ ფრთებით გაფრენას ითხოვს,  
თუმც სიმარტოვის ბალიშზე კი აგრძელებ ტირილს...

ღეფა და მე

მე დედაჩემზე უფროსი გავხდი –  
დედა კი დარჩა ჩემზე პატარა...  
თუმც შეიცვალა გარემოც, სახლიც,  
გადატყდა ბებერი ცულის სატარე...  
ორმოცდაჩვიდმეტს ითვლიდა დედა,  
როდესაც სული სხეულს გამოსცდა...  
მტრედები ისევ საყდართან სხედან,  
მე – მიახლება მიჭირს სამოცთან...  
მივყვები წლების უღმობელ ავდრებს  
და იქნებ ბევრიც ვიცოცხლო ვინძლო...

თუკი მოვხუცდი – წინასწარ ვდარდობ:  
ნეტავი დედის სული თუ მიცნობს...

\* \* \*

სად დაიკარგე სიყვარულო,  
სად დაიკარგე?  
ნეტავ ოდესმე ისევ მოხვალ, ისევ შევხვდებით...  
დამესიზმრე და ოცნებებად ამომიქარგე:  
წუმის თვალები, თეთრი მკერდი და შვლის ფეხები...  
როგორ მეგონა – არასოდეს დავშორდებოდი  
ივან ბუნინის „მარადიულ სატრფოს“ სადარო...  
მოგონებებიც ცრემლებივით როგორ შრებიან –  
გაიხედავ და... აღარც ერთი უკვე არ არი...  
ეხლა გისსენებ, შენ ვინ იცის საითკენ დაჰქერი,  
ვინ ჩაგილაგა თბილ კალთაში დედოს პურები...  
ლისის ტბისაკენ ნაკვალევი თოვლის და ნამქრის  
გზადაგზა ყრია, ვით დამწყდარი ავეურები...

\* \* \*

დეკანოზ სოლომონ ალექსი მესიხშვილს  
– ანჩისხატის გადამრჩენელს 1795 წელს აღა-  
მაჰმად ხანის შემოსევისას

მოკიდებული ხატი მიგქონდა,  
თუ მაცხოვარი მიგყავდა ზურგით...  
ამოიარე ლისის მინდორთან,  
გზას გინათებდა ღვთიური შუქი...  
ცეცხლი ეკიდა თბილისის უბნებს,  
რბევა-წიოკის მოგდევდა კენესა,  
გადაჩეხილი სამასი შუბლის  
სისხლის წვეთები კიაფობს დღესაც...  
ვერც ანჩისხატის გრნობდი სიმძიმეს,  
ვერც ღარტაფებზე დაჩეხილ ტერფებს...  
თითქოს შენს მხრებზე მშვიდად ეძინა  
იესო ქრისტეს – სამყაროს მეფეს...  
ჩახვედი მცხეთას ციცაბო კბოლით,  
გადაისახე ლოცვით პირჯვარი...  
ქვებზე არაგვი ისე მორბოდა,  
თითქოს მოჰყავდათ ტალღებს მთის ჯარი...  
გაუყვევ არაგვს... ანანურს ზემოთ  
ტანმა დაგინყო ტორტმანი დალილს...  
ზურგით მიგქონდა მსოფლიო მზევი  
თუ ანჩისხატის კარედი – სახლი...

...  
უცებ მეურმემ დალანდა მღვდელი  
ოფლში და სისხლში მცურავი ერთად...  
გადააბრძანეს ურემზე ნელა  
ხატი და მერე უშველათ ღმერთმა...  
და ნააბრძანეს მიუვალ გერგეთს,  
რომ ვერ ენახა მტერსა თუ მდევარს...

...  
მე ანჩისხატის მოძღვრობა მერგო –  
ღვთისმშობლის ხატის ფეხებთან ვწევარ...  
გადამრჩენილი დიდი სინმინდის  
ჩემი სამართით ისევ აქა ვარ...  
და ვეფერები ეხლა მიწიდან  
ბებერი საყდრის კედლებს – ნაქარალს...



### თაგაზ ნილაური

### ყივჩალის მონოლოგი

„ისე ადვსდექი მუხრანის ბოლოს...“  
გ. ლეონიძე

მუხრანის ბოლოს წამოვდექე,  
 ადგილიც მახსოვს მისხლითა,  
 ხმალო, წამიძელ, გამოდექე,  
 გაუმადლარო სისხლითა.  
 აი, აქ შემხვდი პირსავსე  
 მკლავზე ნანოლი ლომისა,  
 გულ-მკერდი მთვარეს გიმსგავსე  
 ბადახშისა და ბროლისა.  
 ცოლ-ქმარი შემომეყარეთ  
 მავალნი შორი გზისასა,  
 მე შავ ჯოჯოხეთს შემეყარეთ,  
 ვაი, ბედს ყივჩალისასა.  
 რა მოხდა, თმა ჩაგიშალე,  
 ის კოცნაც რაღას გიზამდა;  
 ისეთი რა დაგიშავეთ,  
 ქმარმა რომ ხმალი მისართა?!  
 გამრიყეთ გაურიყავი,  
 ახსოვთ გზათა და მინდორთა,  
 მაშინ კაი ყმა ვიყავი,  
 თურქებს რომ ვჟღელტდი დიდგორთან?!  
 სისხლი ბობოქრობს ველური,  
 გული როდემდე მტკიოდეს,  
 სადა ხართ, დავითფერული  
 შენი ქმრის თავზე წიოდეს.  
 ათასი წლის წინ დაღვრილი  
 სისხლი გავლოკე ქვიშაზე,  
 მუხრანთან გიცდით დალლილი  
 ვარდის ფურცლობის ნიშანზე.

\* \* \*

ავ ბედს დამხსენი, უფალო,  
 არ ყოფნის ჟამი ჩქარობსა,  
 მივაფრენ უგზო-უკვალოდ  
 ბედაურს უავშაროსა.  
 გარს მეკვრის ჯავრის ღრუბელი,  
 მზე არ მინათებს აროსა,  
 განვრილდა გზა დამლუპველი  
 ჩემი დემონი ხარობსა.  
 სული ვაებით ვნებული

პოეზიითლა ხარობსა,  
 ხარბად ვარ დანაფებული  
 ლექსის ანკარა წყაროსა.  
 დღეს თუ სიმღერას ვერ ვრჩები,  
 ხვალ ვიტყვი საკართანოსა,  
 ნავალ და ხსოვნად შევერჩები  
 „ტურფასა საბაღნაროსა.“

\* \* \*

ლექსს მიწუნებდა ვილაც ახვარი –  
 რა გაქვსო კარგი და ღირებული?!  
 ლექსია ჩემი ხმალიც, ლახვარიც,  
 დუშმანის მკერდზე დაღირებული.  
 სულს პოეზიის გრიგალს ვატანდე  
 არ გაგიკვირდეს ჩემო მნახველო,  
 ლხინსაც ლექსებით გამოვხატავდე,  
 ჯავრიც ლექსებად ამოვახველო.  
 გული ლექსისთვის მუდამ ღიაა,  
 იგია ყველგან ჩემი მხლებელი,  
 რამეთუ მხოლოდ პოეზიაა  
 ჩემი მკვლელი და გამცოცხლებელი.

\* \* \*

ჯვალოდ ჯავრის ჯანღს ვიხვევდი,  
 ჯავრით აჯავრულ გულზედა,  
 აქედან სად წამიხვევდი,  
 ვის მიეყიდე ფულზედა;  
 ვის ჩაუშალე დალალი  
 მზეო, უტკბესო სულზედა,  
 სხვას ვიღას ვუთხრა ალალი  
 სიმღერა სიყვარულზედა?!

### სუფრასთან

„რა ვქნისა“ ციხე ახსენე,  
 სიბრძნის შაირი მითხარი,  
 სუფრაზეც არ მომასვენე,  
 ამაბუბუნე ვით ხარი.  
 მამ-პაპის სისხლი ამენთო  
 გულში მამულის მცველების,  
 მესროლე საალავერდო  
 მტრის ჯავრის არ შამჭმელების.  
 ვერც ლექსის ღვარი ვაგუბე,  
 ვერც წყალს ჩავყევი ტივითა,  
 ეხლა თუ გინდა დამბუგე  
 და დამწვი სანთელივითა.

### მიძვნა

შენი ტკივილიც თან დამაქვს  
 ჩემი ვაების ნაწილი,  
 გულს ეძებ? გული აქა მაქვს  
 ზვარაკად შემონანირი.  
 სულიც დაგიტმე, იავარ –  
 ნაგვემი და ნანუხარი,  
 ლექსებს მთხოვ? პოეზია ვარ  
 მესხად ცით დანაქუხარი.



კლუბი



ზაზა ბიბილაშვილი

ok

რომ სამყაროს აქანავებს ბოროტების ქართა ქარი – ვინ იკადრა – ვინ იცრუა, ვინ იხუმრა მწარედ ასე? – მაშინ, როცა ზუსტად ვიცი – ყველაფერი კარგად არი რომელიღაც გალაქტიკის რომელიმე პლანეტაზე.

ბარეორი გადამდგარა ამ საქმეზე გადამდგარი, ვისაც უნდა ავი ენით ავეგდე და დავეთარსე – რაკი ვიცი – ყველაფერი ზედმინევენით კარგად არი, მე რომ ვიცი, იმ შორეულ, იმ მშობლიურ პლანეტაზე.

სხვა რამეა – იმის მერე ბოდილით კარდაკარით თუ ვერავინ ვიმსგავსე და თუ ვერავის დავემსგავსე – მთავარია, ყველაფერი ნანატრივით კარგად არი ჩემგან ერთხელ შუა ცაში მიტოვებულ პლანეტაზე...

შენ კი, ასე ვინც აბუქებ შენი ჭიქის ქარაშოტებს, რაკი ველარ გამაოცებ, რომ დაეცი იმ დონემდეც – ნამოროშო – თითქოს ჩემი წარმოსახვა თამაშობდეს – თავისივე გამოგონილ ცრუპლანეტას იგონებდეს –

საბუთებიც ნამოგილე – სამუდამო ჯადოს ფარდი – აი მზერა, აი ლექსი, სხვა მრავალი აი დამლაც... და ესენიც რომ არ იყოს – ციდან თუ არ ჩამოვვარდი – ციდან ხომ არ ჩამოვვარდი – ხომ მოვედი საიდანღაც? ...

ვინ მოჭორა, ვინ იცრუა, ვინ იხუმრა მწარედ ასე – რომ სამყაროს აქანავებს ბოროტების ქართა ქარი? – რომელიღაც გალაქტიკის რომელიმე პლანეტაზე ყველაფერი კარგად არი. ყველაფერი კარგად არი.

აღუ

შენ თავს ახტები ყოველდამით, როცა იძინებ. შენს თავს ახტები ყოველდამით, ყოველშუადლით – როცა ჰადაჰამინრეტილი სიზმრის სიმწირეს ვერაფერს მატებს სინამდვილის ყუის ყუათი.

შენს თავს ახტები, როცა რისკავ, შეეპასუხო – კაკუნი თუა ან – ფიჭური ვიბროგანგაში; როცა კერპივით გატიკნილ და მშვიერ „ფეისბუქს“ მჭლე ზვარაკს ტენი რომელიმე ვინრო ხახაში.

შენს თავს ახტები, როცა სტრიქონს მიაჯახირებ – ჩიჩქნი ზედაპირს გატკეცილი ელექტროფურცლის; მით უფრო – როცა მისჩანჩალებ სოფლის ნახირებს და მოძმე პირუტყვს რამდენიმე სიტყვასაც უცვლი;

როცა გადაკვეთ იმ ცისა და მიწის ნაკვეთებს, სადაც თესავენ ქარს და მერე მკიან ქარიშხალს; ან როცა ამცნობ მოკართანე – მინიმარკეტელს – ლარი და ოცი ზედმეტი რომ გიანგარიშა;

როცა სიჩუმეს პულტიანი ხელი აფუჭებს და თვალი ასდევს – ველარასდევს ახსნილ ალვირებს; ან როცა ზემო მეზობელი თხილის ნაჭუჭებს შენი ფანჯრის წინ ახვავებს და არც კი აგინებ;

თუ მიაცილებ, ვისაც წერამ შემოუბალთა ტანზე სიცოცხლის არტახები ანდა რახტები (ჰო, თორემ გამო ქორნილთა და იუბილეთა, კარგა ხანია, საკუთარ თავს აღარ ახტები)...

იქნებ ხანდახან ჰოროსკოპის ცალფერ ბადეში არასახტომი დლეც გამონდეს, როგორც ორი გზა – გადააბიჯო საკუთარ თავს ზრდილი ბოდიშით ან ცდა უიღბლო განიცადოს ლაჯებშორისმა.

მაგრამ სულ მალე კამარების ნაკრები მარჯვე თავიქითეთის გადასავალს თავიდან შეგრთავს... ბოლოს გამოვა – ერთი – ორჯერ ან იქნებ სამჯერ მაინც ყოველდღე, საშუალოდ, ახტები შენს თავს.

ვინ იცის, ვფიქრობ: შეგჩენია ალე – მანია, სტომაქუძირო – ივსება და ველარ ივსება, – რაკი მგონია, რომ ნახტომიც არ გინანია, რომ არ იღლები, და საერთოდ, გეხალისება. –

მაშინ, როდესაც ამის მეტი არ არის ჩარა – სწორედ იმიტომ, რომ დაღლილმა ვერ შეიკავე და რომ სიცოცხლის (გზა სადღაა, მით უფრო – შარა) ყველა ბილიკზე გამოტილხარ შენ – შენი თავი;

კიდევ იმიტომ, რომ მომდგარი მრავალი წლის წინ თავს ანუ დიდი გასაყარის ბილინგვა – აბრას აქეთ – იქიდან ჩავლებული ხელებით ციმციმ გადმოგახტუნეს პირველად და ყველაზე მაგრად;

ხოლო მას შემდეგ აღარ დადგა შენი ხვალ თუ ზეგ, და ისე მაგრად გადახტომა ველარ გარისკე, თუნდაც ოთახში, რომელიმე მაღალ სართულზე, დაეუშვათ, ღია ფანჯარასთან, ღია ფანჯრისკენ.

ვითომ შანსონი

თუნდაც ცოტა მუქი ცა, მიწაც – ერთი მოკეცვა – მუქთად როცა მოგეცა – იცი – შანსი მოგეცა. ძირს ნარი და ხავსია, მაღლაც რალაც მსგავსია – ლამის ყველა შარზეა – მაგრამ მაინც შანსია!

ამიტომაც – იტყვი, არა უშავსო, გულში თუნდაც ურჯუკო და უხამსო – რაკი გემცნო – ლეგიონთა ლეგიონს

გულისნაცვალს ყოფნის ნატვრა უჭამსო –  
ვერ დაუძვრა ვინც მეტაჟე-გუშაგსო –  
ვერც აქამდე, აღარც პირი უჩანსო,  
და დარდიან დაუბადებლობაში  
ჩარჩენილა უსასოდ და უშანსოდ.

თუნდაც ცოტა მუქი ცა,  
მინაც – ერთი მოკეცვა –  
მუქთად როცა მოგეცა –  
იცი – შანსი მოგეცა. –  
რომ აკლიხარ ნავსიან  
უშანსოთა შავ სიას –  
უკვე ეგეც შანსია!  
თუმცა მაინც შანსია...

ის მითხარი: უქონელს და ოხერსა,  
შენც არყოფნის არაფერი რომ გეცვა,  
და უეცრად უკვდავების ფართლიდან  
მოგიზომეს ყოფნა – ერთი მოკეცვა,  
მოაყოლეს თხელი – არა ორკეცა –  
ცა და მინა, ეზო-კარი-ლობეცა –  
ანუ მაშინ, როცა შანსი მოგეცა,  
ის თუ იცი – რისი შანსი მოგეცა?

თუნდაც ცოტა მუქი ცა,  
მინაც – ერთი მოკეცვა –  
მუქთად როცა მოგეცა,  
მხოლოდ შანსი მოგეცა –  
არც ავსულის თავში ქვას,  
არც მომტვრევას ხელების –  
შანსი ნიშნავს: შანსი გაქვს  
შანსის გამოყენების.

მაგრამ კი არ დაუკარგავ ავში კარგს  
სააქაოს გველემშაპის შავ შიგანს, –  
შანსი რომ გაქვს და იცი, რომ შანსი გაქვს –  
აღიარებ – უფრო მეტი შანსი გაქვს.  
და ვინ იცის, მაგ ლაზერის მფლობელსა  
უბედობის ბოლო ბუდეც მოგენვა –  
მიგელნია, რისი შანსიც მოგეცა –  
რომ იცოდე, რისი შანსი მოგეცა.

თუნდაც ცოტა მუქი ცა,  
მინაც – ერთი მოკეცვა –  
მუქთად როცა მოგეცა,  
აკი შანსი მოგეცა. –  
მაშ, გაიძრობ ხან სიქას,  
ხან გაიცლი არაქათს –  
მაგრამ, რისი შანსი გაქვს,  
მიხვდე, შანსი არა გაქვს.

თუნდაც ცოტა მუქი ცა...  
მინაც – ერთი მოკეცვა,  
როცა მუქთად მოგეცა –

**წამიერხოველი**

უცებ ცხელ-ცხელ ამბავს წამიკიდებს გული:  
ეს წამია, დადგა წამი დიდებული!

აი, ზუსტად ამ წამს ხდება ყველაფერი:  
სენბერნარის ნაგრამს ბენვს უხილავს ბერი.

ყველაფერი ხდება აი, ზუსტად ამ წამს:  
ინგებორგი სარკეს უხამხამებს წამწამს.

ამ წამს, აი, ზუსტად, ყველაფერი ხდება:  
მოტვლეპილი კეფა ეფხანება სტეფანს.

ხდება ყველაფერი ამ წამს ზუსტად, აი:  
ტპილი ფლავის ლუკმას ყლაპავს მუსტაფაი.

აი, ამ წამს ხდება ყველაფერი ზუსტად:  
თეთრი ციდან ჩიტი ჩამოჰყურებს რუსთავს...

ხანძარივით წამი წამომინთე, გულო.  
წამომინთე გული, წამო, დიდებულო.

მაგრამ წამზე დიდხანს რას გაატან, წამო?  
წინა წამიც წივის: არ შეჩერდე! წამო!..

გაიბრწყინა წამით შენმა წვამ და ალვამ –  
გაგიტაცა დროის ელმა... წამმავალმა...

მაგრამ... ახალ ხანძარს რად მიკიდებს გული?  
– უცებ ისევ დადგა წამი დიდებული!

**ჰასი**

(ბანალური თამაშები)

ბრუნავს სიტყვა – აზარტული კევრი.  
რისი – ზღვარი, ალვირი და ხუნდი.  
თქმა არ უნდა – სათქმელია ბევრი:  
ერთი. ორი. სამი. ოთხი. ხუთი...

გაიხედავ – ა და ბე და ზეტი  
და ვინც კიდევ ამათ შორის არი –  
აქ არი და ერთი იტყვის: ერთი.  
ორი იტყვის მერე: ორი. სამი.

ჩაიხედავ – არ იცვლება თარგი –  
ილბალია – ქებით უნდა ამკო –  
გიკავია ერთმანეთზე კარგი –  
კრუპიესგან ჩანყობილი ბანქო.

გადაშლიდი – ახლებურად – დამებს,  
მოიქნევიდი – ძველებურად – კიკოს,  
მოგიწევდა – კარგს იტყოდი რამეს –  
ეგ ბანქო რომ ამ თამაშის იყოს.

ახლა კიდევ – კარგად იცი, რად ღირს  
გაშიფრული შულერობა ქოსის –  
მიუჩინენ ერთ უხერხულ ადგილს  
ამ თამაშში იმ თამაშის კოზირს...

მაგრამ როცა ა და ბე და ზეტი  
და ვინც კიდევ ამათ შორის არი,

კოჟობა

აქ არი და ერთი ამბობს – ერთი,  
ორი-სამი ამბობს – ორი, სამი –

არ გამოვა, იმდუმარო მარტომ –  
ფეხი ერთხელ აქ დაადგი რაკი,  
რაკი ერთხელ აქ ჩამოდე... პარდონ –  
ჩამოკიდე პალტო ანდა ფრაკი.

ამიტომაც – ამოიღე ხამად  
ბანი, კრინი, ტენორი თუ ბასი...  
და დალოცე ამ თამაშის მამა –  
ამ თამაშს რომ დააყოლა პასი.

პასი –  
იტყვი – თითქოს იტყვი არც კი –  
დუმილისაც ინახება ფასი;  
როცა – პასზე უკეთესი რაც თქვი –  
დაიკარგა, როგორც ცუდი პასი;

დაიკარგა ყველა კარგი პასი,  
მარგალიტის როგორც ყველა ფსონი...  
და სათქმელი, მარგალიტის მსგავსი –  
ამოსვლამდე იყლაპება, მგონი.

სულ ერთია – ყელს ეგ ვეღარ გატკენს,  
ამოსულმაც რალა უნდა გარგოს? –  
რა აზრი აქვს ჩაუყლაპავ სათქმელს –  
აბა ჰკითხე მოუძებნელ გამგონს...

ოღონდ შენც რომ არ ჩავარდე ყბაში –  
რა ხეირი – გინდ შეერგო შხამად –  
ამოუშვი ჯადოსნური პასი –  
კანტიკუნტად, იშვიათად, ხამად.

პასი –  
როცა არა დარად ფანთა  
ერთის, სამის, ხუთისა და ვისტის –  
სათქმელი გაქვს არაფერი, ანდა –  
ყველაფერი, მაგრამ – არავისთვის.

Banalagame

არ გახსოვს: ჟინი არ გქონია თუ გაგიტავდა;  
როდის შეხვედი ან მერე რამ დაგარჩინა...  
თამაშობ კია – დილით, შუადღით, ღამითა და,  
მგონი, რომ გძინავს (კინალამ ანდა), მაშინაც.

მართალი გვითხრა, დღემდე ვერაფრით გაინაფე,  
ბედოვლათი ხარ, რომ გვითხრა უფრო მართალი.  
ეცადე, მაგრამ, როცა ძალიან დაიძაბე,  
ყველაზე მწარედ მაშინ მოიღე ზღარათანი.

პრინცივსაგზა-კვალს იმდენი სდიე-უტრიალე,  
მოესწრებოდა მდინარის აღმა წამართვა –  
ყველა საბნის ქვეშ დაგხვდა ვიღაცა კუდიანი –  
ძალა წაგართვა ან მთლად სიცოცხლე წაგართვა.

ლამის დაეჭვდე – ეგ უბედური ბოლო გიყვარს –  
მისწრება – ბედის მუხანათობის სამხელად;  
როგორც იმაში – კეთილი ხარ თუ ბოროტი ხარ –  
არსება შენი გრძელი არის თუ რამხელა...  
მთავარი წესი ვინც ვერ ისწავლა, ღირსი კია –

ვისაც უყვლა მზაკვრულად, იმან უყვლა –  
ბოლშევიკური პრინციპის მსგავსი პრინციპია:  
ვინც შენ არა ხარ, შენი მტერია სუყველა.

და მუყაითობს შენადარმყოფთა მხედრიონი –  
ხან ტყვია დაგკრა, ხან გოგრათავი მოგჩხა.  
ეგ არის, ატყობ, სიცოცხლე დაგრჩა ერთი-ორი,  
მოგკლავენ ანუ მაქსიმუმ ერთი-ორჯერლა.

ჯან-ზე ინყებენ რასაც, წასულხარ იმ დაბაში,  
სხვებს მაინც თუკი რამე უყრიათ ამაში:  
ან რა მოიგო იმან, მოიგო ვინც თამაში?  
ან რა წააგო, ვისაც მოუგეს თამაში?

საუნდტრეკია – არაფრის მაცნე ჭიანური.  
არას გპირდება ანოტაცია-პითია.  
რამე რომ ჰკითხო და გიპასუხოს ჭკვიანური –  
ნახე, ეგეთი სკაიპშიც არვინ გინთია.

ჭორად თუ დადის: მანდ რომ წესია და რიგია,  
(გაოცდები და) იმ წესითა და იმ რიგით,  
თუკი მოიგე – ბოლოს გაიგებ, წაგიგია,  
მაშასადამე, თუკი წააგე – პირიქით;

და ვინც წაგებით მოიგებს გეიმუშველებელს,  
სამი, ოთხი თუ ხუთამდე განზომილების  
მაგარ ფენტეზი-ანიმაციას უჩვენებენ –  
ნალკოტებით და სულ დადებითი გმირებით.

მეტი მოგიყვებს, მოგებულიც არ მოინდომებს –  
ძმაცაცო იყოს, მეზობელი თუ ბებია.  
ან სადღა ნახავ – ალბათ, უსხედან მონიტორებს  
და იმ საპრიზო ანიმაციით ტკებებიან...

გაბეზრებულმა ზოგჯერ მოძებნე „ქუაითი“,  
თქვი: ამის დედაც. ჯანდაბას. არის, რაც არის.  
საძგერებლადაც მარჯვედ ასნიე შუა თითი,  
მაგრამ გაგინყდა გამბედაობის ბანარი.

(ახლა რომ ვითომ გვეახალპასაჟ-გვებანრები  
და გვახვევ (ყელზე) მაგ ვადაგასულ არშიას,  
გამოლემშვის და თოკის ვაჭართან შევაჭრების  
ძველი ამბავი აქ აბა რა შუაშია?)

ასე სცოდნია შეჩვევა, შერთვა, შეღვიძლება –  
თითქოს ფანდია გრძელკუდიანი მაცილის.  
თან მთელი ქსელის სინამდვილისაც, შეიძლება,  
ისევე გწამდეს, როგორც იმ ანიმაციის...

მაშ, ახალ ეკლებს შემოეხევი ხვალ დილიდან  
ხვალიდან კბილი სხვა გველებს უნდა უსინჯო...  
იქნებ გაიგო – უფრო შენა ხარ უნდილი თუ,  
ეგ თამაშია (ავტორს გულისხმობ) უნიჭო.

მერე რა, თუკი უკვე გულივით გებზარება –  
მაგ ჯადოსნური ეკრანიდან თუ სარკიდან  
გამოვარდნა ხომ დარჩენასავით გეზარება  
და დარჩენაზე ცოტათი მეტად არ გინდა. –

უნდა დაიწყო მერე პირველი ლეველიდან,  
ისევე შეება პირველ ქალსა და არაკაცს...  
მაგრამ კი იცი, არა გაქვს მაგის ნერვები და

ის უფრო იცი, მაგის თავი რომ არა გაქვს.

ანი ისტორია

ახალი აქარის არაფერი – მოვკვდე, თუ პირველი მე ვამბობდე: მიფრინავს ფრინველი გადამფრენი; ჩანასახს ამარცხებს მებაბორტე; საჯდომებს იზიდავს სავარძლები, დაფნები – დიდ თავებს, თავგასულებს... მაგრამ, მოდი, აღარ გავაგრძელებ, თორემ ვერასოდეს დავასრულებ. მით უფრო, ამბობენ – ცის ტოლია, ფენიქსზე მრავალჯერ ნახანძრალი...

და მაინც რა არის ისტორია – რომელიც ნამდვილად რალაც არის?

... ძველზე უძველესი კულისები, სცენა, ავანსცენა, მიზანსცენა ყოველდღე ისეთი გულისცემით და ისე პირნმინდად იძარცვება; დღეს – ვითომ ახალი დღე რომ არის – იმ კერპებს, იმ ქალებს, იმ მეომრებს ეს კერპი, ქალი თუ მეომარი ისეთი სიზუსტით იმეორებს; ანმყო ნამყოს ისე ერთმება, თარიღიანიც და უთარილოც; რომ – რაკი ორივე ვერ იქნება – ორიდან ერთ-ერთი უნდა იყოს:

ა) ეს მირაჟებიც პარადისის და თავის ქალების ბილიარდიც უამით – ლამის არის, მარადისი, რიცხვით – უთვალავჯერ მირიადი – ანუ განელილი მეტისმეტად, დაუსრულებლობის არმომთმენიც – რ ე პ ე ტ ი ც ი ა ა – როდისმე და სადმე წარსადგენი წარმოდგენის – იმ დიდი სეირის ფუნდამენტი, ერთხელაც ტაშში რომ დაინთქმება, ჯერ კი რომ დგამენ და სულ დგამენ და ის კიდევ არა და არ იდგმება.

ბ) დღე-ყვავილები ნექტარს ღვრიან, თუ ნალველს სამსალა შეერია – ჰე, როდის დადგმული ს პ ე ქ ტ ა კ ლ ი ა ! თან განა უბრალო – ფეერია! – ას... ათ-ას... უთვალავ-ას წელიწადს ყველა სალამოდან სალამოდის სცენაზე რომ არის და სცენიდან არა და არა და არ ჩამოდის.

... მეტი გასართობი მოცლილებმა ვერ მოიგონესო, გეგონება. საიდან – ამხელა მოთმინება,

რატომ არსაიდან – გემოვნება? რა ცა დაებერტყათ – პეშვისტოლა, რა მუზაუბადრუკს მსახურებენ – ვისაც ა გულისხმობს რეჟისორად, ვისშიც ბ გულისხმობს მაყურებელს? – რომ ერთი დილით ან სალამოთი ამ დასკვნას არავინ გამოიტანს:

ან – ა) არაფერიც არ გამოდის; ან – ბ) არაფერი გამოვიდა; მაშ, დროა, ყოველი შევაჯეროთ, ლოგიკას ვერდიქტი გამოვძალოთ: ა) რეპეტიცია შევაჩეროთ! ბ) მდარე სპექტაკლი გამოვცვალოთ!

... მგონი, აიგრიხა კუთხეც ტუჩის – სიმწრით დაიგრიხა ისე ენა. ენას დაკბენილსაც არა უჭირს – გვიანი არ იყოს თითზე კბენა: ესთეტის კაპრიზი მოქანდა რა, თავ-ქარმა შეიცნო ატამანად და აჰა – ეჭრება ტოტ-ქანდარა იმ თავს და დანარჩენ ადამიანთ!

თავო, მოინდომე რად, ითავო სიკვდილის დავთრების დალაგება? – ისედაც შეგვირგებს – სათითაოდ, წყვილებად, რაზმებად, ქალაქებად... აკი ჰაეროვნად იკოცნება, ვიდრე ინებებდეს მობნელებას. მაშ, რალა გეესთეტიკოსება, კერძოდ, რა გეთეატრმცოდნეება?! გაჩუმდი – ევამ კი შეგაჩვენოს! – შეირგე ჟანგბადი, სამონყალო! –

ემანდ, ა) მართლა არ შეაჩერონ. ვაითუ, ბ) მართლა გამოცვალონ.

... მაგრამ – გონების თვალს ჩაერულა, თუ დაღლის ბაღდადით შემებურა? – რალად ავიჭერი ფრაერულად, ანუ – სხვანაირად – ჩემებურად? რისი – შეცბუნების რეაქცია, მით უფრო – საშიში გართულება. ვინ იცის, ზურგებიც შემაქციონ ძველი შესაქცევით გართულებმა; ან დიად არჩევა-გარჩევაში როლების, გრიმების, პასაჟების, ჩემი ხმა ერთ ყურშიც არ შეუშვან, მეორე ყურიდან გასაშვებად...

ნეტაი, ყინვაში არ მცხელოდეს! ან – ხვატში სუსხი არ მაშეშებდეს! მეც ახლა პირველს არ დამცდენოდეს:

„ამაოება...“ და ასე შემდეგ.



ლევან ალავერდაშვილი

ყვავილების ერთავ – II

ჩემს შვილს იათამზე(ია) ალავერდაშვილს

ისე მღვრიე, მაგრამ  
კანდელანთებული,  
როცა წამწამებზე ნამი მოგესია,  
სიღრმით ჩაძინებულს,  
ღვთივდანათლებული,  
მოგეიავარდა მამის პოეზია...  
თუკი მიცვალების ხელებს გაუქარდი,  
ლიმილს ნუ მიუსჯი ურვას ნურავისას,  
ლოცვით მარიამთან,  
ნატვრად ნაჩუქარი,  
პირმშო ჩააშენე ციხეს სურამისას...  
ზეცაც შენეულობს, ნულარ გეშინია,  
ყორანს ფრთა მოეჭრა,  
მაცნეს დაბინდების...  
უნინ „მზე გარეთა“  
ეხლა „მზე შინაა“  
მამაც უკეთაა,  
ერთავ ყვავილების.

\* \* \*

თ – ს

მთები,  
ნისლები,  
ბურუსი,  
წვიმა,  
ისე კოცნიან ერთმანეთს ახლა,  
რომ გული მტკივა,  
რად ხარ ქალაქში  
და მეტირება, რად ჩემთან არ ხარ...  
მთები,  
თქეშები,  
ფერთა ოგვა,  
ამათთან ყოფნას იმიტომ ვბედავ,  
რომ თან წამომყვნიენ შენი თვალები  
და ამ ედემსაც მაგათით ვბედავ...  
მთები,  
ღრუბლები,  
ნისლები,  
წვიმა,  
წვეს ყვიციანი ტყეების ფარჩა,

მაგრამ გატყუებ, რომ გული მტკივა,  
ის ხომ მე შენთან, თბილისში, დამრჩა...

შელამენა

ლამდება, ისევე მარტო ვარ,  
ქარს მიაქ კალთები კარავის,  
რატომლაც არავის ვახსოვარ,  
ვუყვარვარ რატომლაც არავის.  
ყმუილით გადიარს მთა-გორებს,  
ცხოველი ავი და მზარავი,  
ძახილზე არავინ მაგონებს,  
ვედრებას არ ისმენს არავინ.  
რომ ძარღვებს სისხლისგან გასცლიან,  
მითხარით როდემდე ვშიშობდე,  
არც ადრე მოვსულვარ, არც გვიან,  
უბრალოდ პოეტად ვიშობე  
და გულსაც თავისი მიეზლო,  
ვით ქარით კიდევებს კარავის,  
მიშველე, უფალო იესო!  
შენს მეტი ვუყვარვარ არავის.

\* \* \*

ჩიბუხს ჩავუფენ მომწარო თუთუნს,  
კვამლს გავაყოლებ წარსულზე ტკივილს.  
ლამით მოვუსმენ მტრედების ლულუნს,  
გამთენიაზე მამლების ყივილს.  
ისე შევხვდები ცისკარს, ფატიანს,  
გულს არასოდეს ეტიროს თითქოს,  
მოვანუგეშებ ნაგვემ-ნატიალს  
და მივუნვები ბუხრის პირ სითბოს.  
მერმე შენც მოდი, მკითხე, რაფერ ხარ?  
გამომალვიძე! გინდაც მეძენოს  
და გულში ისე მაგრად ჩამეკარ,  
რომ ჩემს წარსულზე მეც გამეცინოს.

ათასერთი ღამის განცდა

თ – ს

ათასერთ ღამის გაგიფენ ლადარს,  
სად რომ ლალატიც „ლადანას“ იკმევს...  
შეათენდება შაჰარიზადას  
და ნებადართულს შეწყვეტავს სიტყვებს.  
ჩამოაცხრებათ ვნების ფაფარი  
დაუძღურების უიღბლო რტოებს  
და ათასერთი ბინდის ზღაპარი  
ერთურთს ზღაპრადვე შემოგვატოვებს....  
იელვებს თვალთა მომკვლელი დანა,  
არ დაგვინანებს დრო-ჟამი არცერთს....  
შენ რომ ტკივილი არ მოგეტანა,  
ვერ მომიტანდი სიყვარულს ასეთს.  
გაედევნები ღრუბელი ქარს და  
შერჩები ხსოვნას ღრუბლების ბრძოლად,  
იმ, ათასერთი, ჯვრისწერის განცდად,  
სადაც ვერცერთხელ გიმეტებ ცოლად  
და ათასერთჯერ მოგონილ ზღაპარს,  
როცა ცისკარი მკერდზე დაიკმევს,  
შუქი შეაკრთობს შეჰარიზადას  
და გაშიშვლებულს შეწყვეტავს სიტყვებს.

დედების დღე

როგორია დედების დღე, როდის დგება, რით ამოვ-  
იცნოთ? შემოდგომის ფერებს, მორთულ ნაძვს თუ ბზის  
ტოტებს იხდენს? იქნებ, ბუნიობისას დგება ან ნაბუნო-  
ბის შემდეგ თენდება? ბრონეული ხომ არ იძლევა ნიშანს  
მკვრივი ნითელი ყვავილებით, ან ლელვი - გალელულ  
ტოტებს რომ დაუმძიმებს მნიფე ნაყოფი?... კომპის სიყვი-  
თლენ ან სექტემბერას აყვავება არ გამოდგება პირობი-  
თად რომ ავარჩიოთ? ის დღე, ბაგაში მოგვებმა საჩუქრე-  
ბი რომ მიიტანეს თუ ჯვარცმოდან მესამეა უპრიანი და  
ვერსკვლავებით გამოვთვალთ ყოველწლიურად? ან  
სულაც... სამას სამოცდამეშვიდე დავამატოთ: დანარჩენ  
სამას სამოცდაექვსს გამოვთხოვოთ ნამები, ნუთები,  
საათები (რასაც დათმობენ), შევავინროვოთ, გადავარჩო-  
ჩოთ დღეები კალენდარზე — ახალი დღე შევაკონინოთ  
და დედების დავარქვათ. დათვალეთ და ანონ-დანონეთ...

ჩამი გადასათვლელი

ჯერ დედა გაჩნდა და ოცდაოთხი წელი იცხოვრა ჩემს  
გარეშე. ერთად ზუსტად ორმოცი წელი ვიყავით, ვინაი-  
დან სწორედ ჩემს დაბადების დღეზე მომინია მის პანაშ-  
ვიდზე სამძიმრების მიღბა. მეოთხე წელია მის გარეშე  
ცხოვრებას ვსწავლობ - ობლობას ვირგებ. ობლის  
ტანსაცმელი ბეჭებამოღებული კაბასავითაა - ზამთარ-  
შიც ისე უნდა მოვიხდინო, როგორც ცხელ დღეებში, ზურ-  
გის გათბობის იმედი არ მქონდეს. ობლის წყურვილს  
ჰიდრომელი მიკლავს: ერთ ჭიქა წყალში ნახევარ ლიმონს  
ჩავწურავ, ერთ კოვზ თაფლს დავუმატებ და ვირგებ -  
შიმშილს ატყუებს და ნახევარი დღის სამყოფი ენერგიით  
მავსებს. სახლში ბევრი ნივთია, უკანასკნელად დედამ  
რომ მიუჩინა ადგილი, მისი ჩანთაც ხელუხლებლად  
ჩალაგებული შევინახე, სანატრელი სურნელი რომ გამომ-  
ეზოგა. არ ვიცი რამდენი წელი ვიმყოფინებ... ან ჩემთვის  
რამდენია გამოყოფილი დედას გარეშე.

ღიბარაბურული ხალხანთა

- დედას ხელჩანთაზე დასანერად უანრს ვარჩევ. გეგ-  
მა მარტივი მაქვს:
- 1.) თვალის შავი ფანქარი - სიყვარულის ხაზგასმა  
გუგების ქვეშ, სქოლიოს ხაზი და მის ქვემოთ ცრემლე-  
ბად ჩამოტანილი განმარტებები;
- 2.) სარკე - ხან გულისწყვეტით, ხან მონონებით  
მრავალჯერ გახნილი და დაკეტილი. საჩვენებელი თითის  
ანაბეჭდები ისე ატყვია, თითქოს, ახლახანს ეჭირა ხელში.
- 3.) ცხვირსახოცი პომადის კვალით — აქ მეციინება,  
შელებილ ტუჩებს, როგორც წესი, გარეთ გასვლისთანავე  
ინმენდდა;
- 4.) პომადა N805 - ჩანთის დეკორი მხოლოდ და მხოლოდ;
- 5.) დასაკეცი სათვალე „ლექტორი“, თავისივე გლა-  
მურულ ყუთში - გამოსასვლელი, საგარეო;
- 6.) უბის ნიგნაკი - შავი, მოლაპლაპე ზეადაპირით,  
სოხუმში ყოფნის დროს შევიძინეთ, რვა წლის ვიყავი.  
ბოლო ფურცელზე დაკრულია მამას სურათი, ალაგ-ალაგ  
გადაქლეცილი - არადა მხოლოდ ორი წელი ეფერებოდა;
- 7.) თეთრი ყვავილებით მოქარგული ვერცხლისფერი  
ორგანზას თავშალი, სუნამოდაპკურებული, სალოცავად  
განკუთვნილი, ჩანთის კედელთან ჩაკეცილი — ყელზე  
მოვიხვევ ხოლმე მოსაფერებლად;
- 8.) ოქროსფერი ქისა ორი სანთლით — თან წაღებუ-

მანა  
ლდოაონანი



ლი, ვერ ანთებული სურვილები (ჩემი ვაჟის და ქალიშვი-  
ლის ქორნილისთვის ვინახავ ახლა);  
9.) ლოცვების ნიგნში ჩემი ფოტოსურათი, რომელზეც  
დედა ბებიას, თავის დედიკოს მამგვანებდა...

შავ-თეთრიდან ციფრულამდე

ჩვენი წინაპრების ფოტოებს, მედლიან-ორნამენ-  
ტიანი უკანა გვერდებით დრომ თავის ფასი დაადაო.  
დაბადებიდან გარდაცვალებამდე ზოგიერთი ადამი-  
ანის ამბავს მხოლოდ შავ-თეთრი ფოტოები  
მოგვითხრობს, ზოგს ფერადი ფოტო პირველად სიბერე-  
ში გადაუღეს. მხოლოდ რამდენიმე ციფრული ფოტო დამ-  
რჩა მამასი, დედასაც ჰქონდა — რამდენიმე. ერთი მობი-  
ლურითაც გადავუღე და დღემდე შემომრჩა.  
თუ შენი ქორნილის ფოტოები ციფრულია — ახალ-  
გაზრდა ხარ და სულ მთლად ნორჩი, თუ ბაღში ან სკოლა-  
ში წასვლის პირველი დღე ციფრული ხელსაწყოთი გაქვს  
აღბეჭდილი  
დედას და მამას სურათები დავასკანერე, ქრო-  
ნოლოგიურად დავალაგე და ფეისბუქზე ალბომი შევქმე-  
ნი, ყველასთვის ღია:

- 1.) 60-იანები – ქორნილის შავ-თეთრი ფოტოები  
(საქორნილო მოგზაურობიდან დაბრუნებულებს დაახვე-  
დრეს გამჟღავნებულ-დაბეჭდილი), სანაპიროზე, ქორ-  
ნილების სახლშია გადაღებული: დედა მინი კაბით, შუაზე  
გაყოფილი თმით, კეფაზე „შინინით.“ მამა გამხდარი,  
შარვალ-კოსტუმში, ვინრო ჰალსტუხით „ხოჭოსავით“;
- 2.) 70-იანები — მამა ჰიპური გრძელი, ხვეული თმი-  
თაა, შეზარხოშებულს ხელი გადაუხვევია დედასთვის.  
დედას ინგლისის დროშაანი ბენდენა ნაუკრავს თავზე;
- 3.) 80-იანები — ცვლილებები ყველგან: ინტერიერში,  
ჩაცმულობასა და ვარცხნილობაში... წონასა და ასაკშიც  
კი;
- 4.) 90-იანები — დედა და მამა ბებია და ბაბუად იქცა;
- 5.) 10-იანები — შესაძლოა მეჩვენება, მაგრამ  
ათიანების დასწყისში მათ თვალეში სევდას ვამჩნევ.  
ათიანების მიწურულს ფოტოები ქრება და ველარაფერს  
ვადარებ წარსულს...

მისამ დღე

ამბობენ, ადამიანი რომ გარდაიცვლება, მესამე  
დღეს იმ ადგილებს მოინახულებს, სადაც კეთილი საქმე  
ჩაუდენიაო. იმედი მომეცა - დედა სახლშიც უსათუოდ  
შემოვიღიდა.  
ავეჯიდან მტვერი გადავწმინდე, ყვავილები მოვრწ-  
ყე, ფარდები გადავწიე და ნოემბრის მზით ავავსე ოთახ-  
ები, როგორც უყვარდა. მერე ვარდისწყლიანი ტილოთი

კვლევა

მოვაშორე ხატებს თითების ანაბეჭდი, სანთლები ავანთე, ნახშირი გავაღვივე, საკმევლიდან ლიბანური თეთრი ავ- არჩიე.

მშობლების სურათთან გაეშალე საკურთხი: ნიგვზით და თაფლით შეზავებული კორკოტი, მარილით და კარა- ქით გადახვეული კოკრები და საფერავი. ეს დამრჩენია მათი გულების მოსაგებად, უფრო სწორად, სულის საოხ- ად. და კიდევ, ასმეთვრამეტეს გულისყურით ნაკითხვა და სამ დიდებაში მოხსენიება.

მთელი დღე უსიტყვოდ ველოდი ნიშნებს, დავეძებ- დე და ვიმეორებდი: „ჭიავ, ჭიავ, მაპოვნინე...“

სალამოს სარკესთან შევათვალე რე ახლადნაყიდი შავი კაბა, რამდენიმე ჭალარა თმის ღერი საფეთქელთან, შეუღებავი თვალები და როგორც იქნა, დავინახე მისი მობრუნების უტყუარი ადგილი - მისი სიკეთის ორი უტყვი მოწმე.

აქ იყო დედა...

დადას დეა (ნინო)

დღეს დედას დღე მაქვს - რაც დავოჯახდი, პირვე- ლად უნდა ვესტუმრო. ვჩქარობ, ყველა სიტყვა, ყველა განცდა და ყველა შეკითხვა სრულად რომ მივიტანო. ტახტზე წამოვწვებით, ვიცი, განცდებს გავანდობ. ჩემი თვალები უნდა ნახოს, ეჭვი და უნდობლობა რომ გაიქარ- ნყლოს. მერე აივანზე დავსხდებით და მამას დაველო- დებით.

უბის წიგნაკი მიმაქვს: რეცეპტები ზუსტად, გრამებ- ში უნდა ჩავწერო, ყოველ წუთას ტელეფონზე ხომ არ ვარკვიო რას ნიშნავს „მარილი თვალით“, „შაქარი გე- მოვნებით“, „ფქვილი — რასაც შეიზელს“, როგორ გავიგო მოიხარმა თუ არა კერძი ან საკმარისად ნელია ცეცხლი? მონაღვაც კარგად უნდა ამიხსნას რას გულისხმობს და მწვანელებსაც რა განასხვავებს? ან როგორ ავრწყა მისი „ფინჩი“, „კოვზის წვერი“, „პინკალი“, „ხვინჯი?!“

დედა, შენსავით მხოლოდ ხელს თუ დავინვაავ, ან ტაფის თავსახურს დავახეთქებ იატაკზე საზარელი ხმით, სხვა არაფერი არ გამომდის!!!



მარიანა ნანოაშვილი

მთვარის მესხთე ფაზა

საბაბი მინდა მოთხრობის დაწერის.

ვისთან მჭირდება საბაბი და, საკუთარ თავთან. კო- მპიუტერული პროგრამის სუფთა ფურცელთან, რომელ- იც ასჯერ მაინც მაქვს გადმოშლილი და დახურული... გად- მოშლილი იმიტომ, რომ წერა მინდა. დახურული იმიტომ, რომ მაშინებს ეს ფურცელი თავის სისუფთავით და სიცა-

- დე-ე, გამიღე, მე ვარ!

დადას დეა (ახლა)

ახლა მე შენ ვარ, შენსავით ვრწყავ, თვალით ვზომავ და ვერავის ვერ ვანერინებ მოწონებული კერძის ზუსტ რეცეპტს. მე შენ გავხდდი ხმის ტემბრითა და საუბრით, ქცევითა და მიხვრა-მოხვრით. როცა მარტო ვარ და საკ- უთარ თავს გამოვიჭერ შენს მსგავსებაში, წამებს ვაჩერებ და ვხვდები, როგორი უნდა იყოს დედების ნამდვილი დღე...

სხვა დღე

არსებობს კიდევ ჩვენი შეხვედრის ადგილი ან დღე. სასაფლაოზე იმედით მიმავალი, ხელმოცარული ვბრუნ- დები მუდამ, ყურადღებით ვუსმენ, ვაკვრდები დანარჩე- ნებს, იქნებ, მათ იგრძნეს ან შენიშნეს, რაც მე გამომრჩა.

და იქ რომ მოვალ, როგორ იქნება? ასაკს აქვს ზღ- ვარი? იქნებ ვერც მიცნო? დაგიკაკუნებ, გეტყვი: „მე ვარ!“ გააღებ და შენი ტოლი ან მოხუცებული დედაკაცი დავხვდება კართან!

დაბრუნება

პედრო ალმა დოვარის „დაბრუნება“ ერთად რომ ვნახ- ეთ, შენ მომეფერე და მთხოვე, არ იჯავრო, როცა ნავალ, მძიმე დღეები ღირსეულად გადაიტანეო.

პედრო ალმადოვარის „დაბრუნება“ ერთად რომ ვნახ- ეთ, რამდენიმე თვეში მივხვდი, რომ ობოლი სულაც არ ნიშნავს პატარა ბავშვს ან ზღაპრის გმირს. რას ვიფიქრებ- დი, ორმოცი წლის ქალსაც თუ ეთქმოდა ობოლი!

პედრო ალმადოვარის „დაბრუნება“ ერთ წელიწადში უშენოდ ვნახე. მხოლოდ მაშინ ვიგრძენი დაბრუნების ნამდვილი გემო და ყველაფერი დედაჩემის შესახებ თვალწინ დამიდგა – სრული მეტრაჟით.

დედის გარდაცვალების ფარსი — ყველაზე სანატრელი სიუჟეტი, რასაც უზომოდ მოსიყვარულე შვილი თუ შექმნის.

მსურს, მოვიგონო დაბრუნების მსგავსი, თუნდაც დედის დღე - ანუ ყოველდღე.

რიელით. იმ სიტყვებით, რომელიც შეიძლება ზედ არას- ნორად, საცოდავად დაეგოს და გამოუსწორებლად გააფუჭოს ის, რაც მინდა, დავწერო, მაგრამ არ მინდა, დავასახიჩრო.

დიდი ხანია, ბუნდოვნად ვგრძნობ, რაღაც ჩემი უნდა ვაკეთო... რაღაცისთვის ვარ, ხომ, გაჩენილი... ვერ მომის- ვენია, ვფორიაქობ, ვასკდები თავს და ვერ დავცილივარ... ...იქნებ, უნდა ვწერო?!

...ესეც სუფთა ფურცელი. ცარიელი. დამცინავი მოლო- დინით შემომყურებს მონიტორიდან. არ იცის ჯერ, რომ დავძლევ აუცილებლად.

ამ შემთხვევაში მხოლოდ ჩემს არჩევანზე არაა საქმე. სხვა რაღაც-რაღაცეებიცაა გასათვალისწინებელი. თუნ- დაც ის, რომელი თემაა უფრო მომგებიანი კონკრეტული სიტუაციისთვის. კონკურსისთვის. ჟიურისთვის. მკითხ- ველისთვის.

არადა, იმდენი რამ მაქვს დანახული... იმდენი რამ მინდა სხვას დავანახო... შეიძლება ახალი არაფერი... რაღაც გაჩერებული კადრი... მაგარი კადრი...

ამასწინათ... რაღა ამასწინათ, ბზობა იყო... ბზას მი- ჰქონდა თბილისი და თბილისს მიჰქონდა ბზა. დგებოდა თბილისი ეკლესიებში უზარმაზარ რიგებად, საათობით

უსმენდა წირვას და კიდევ საათობით უცდიდა, როდის აპკურებდა ღვთისმსახური უამრავ ხელში ჩაბღუჯულ ტოტებს ნაკურთხ წყალს, რომ რუდუნებით გაენანილებინა ისინი სახლებში, ბინებში, ოჯახებში, რომ თილისმასავით, რალაც ცუდისგან დასაცავად დაესვენებინა ხატების კუთხეებში, ლარნაკებში, მანქანის სარკეებთან. მთელი წელი უნდა აეკრიფა ამ მწვანე ტოტებს ლოცვები, ჩხუბი, ყოფა, ჭუჭყი, მტვერი, სიგარეტის ბოლი და სიყვითლე. ერთი სიტყვით, მიჰქონდა თბილისს ბზა, – სასოებით, მთელ ბზობა დღეს.

მეორე დილაა და, სამსახურში მივდივარ. ვხედავ, თბილისის ქუჩები გაუყიდავი ბზითაა სავსე... იქვე დაუყრიათ, სადაც ვერ გაუსალღებიათ, დადის ნაგვის მანქანა, აგროვებს და ყრის მყრალ ძარაზე...

რა ვიცი, ღირს ნეტა წერა ღირებულებათა სიმყიფეზე? რალაც ისეთი საკითხია, საფრთხილო...

...მეგობრობაზე შეიძლება, ან ნოსტალგიაზე... დავითაზე თუ დავნერ, ორივე ერთად გამოვა...

რას დავნერ და, მაგარი ჯიგარი თბილისელი ბიჭი რომ იყო. კაცი. აქედან წასვლას რომ სიკვდილი ერჩია, მაგრამ მაინც წავიდა. ვილაცყებს ვერ გაუძლო რა. არ გაუძლო. სამსახურიდან დაითხოვეს. მეზობლები უბღვერდნენ, ნაცნობები. მთანმინდაზე რომ ბოლოს ავედით, რა თქვა? აქედან სულ სხვანაირი ჩანსო ქალაქი, პატარა, თბილი, თითქოს ცა მინაზე დაშვებულაო, ვარსკვლავების ნაცვლად ფანჯრებს აციმციმებს... ამ გაჩახახახებული ფანჯრების უკან აქ ძალიან ბევრგან ვუყვარვარ და ბევრგან უხარიათო ჩემი არსებობა... და მეც მიხარია მათი არსებობა... ამ გაჩახახახებული ფანჯრებით მიყვარსო თბილისი პირველ რიგში... გადარეული იყო მაშინ ქალაქი, მშვირი და აღტკინებული. „მოლალატებო... გადამთიელებო... ნაეთრიეთ, საიდანაც მოსულხართ... თქვენი ჯიში...“ ეეი, დავით, აზრზე მოდი, ნუ ვარდები-თქო, ძმაკაცები ვგიჟდებოდით, თამარ მეფეს დედა რომ ჰყავდა ოსი, მაგენი ყველანი შეედარონ-თქო... მაინც ავარდა. ადგა და წავიდა. მერე ვლადიკავკაზში ვიყავით ბიჭები ჩასულეები, დავითასთან. სალამოს აქედან წასული სხვა ბიჭებიც შეიყარნენ, დავლიეთ. ისე დავლიეთ, ვიმღერეთ... მგონი, „ფანჯარაში მტრედიია“... მერე ვიტყვით. ვლადიკავკაზში ქუჩაში რომ გადიხარ, ნახევრად სულ ქართული, თბილისური ლაპარაკი ისმის... დავითამ თქვა, აქედან ჩასულ ოსებს შორიდან სიარულზე გვცნობენ, როგორღაც მოხრილები და მობუზულები დადიხართო, ამბობენ... თითქოს ქვას გესვრიანო... ან ლოდი გადევთო გულზე...

...იმ ფუფალა მწერალზე რომ დავნერო, ჩვენს ქუჩაზე რომ დადის ზამთარ-ზაფხულ? რითია განსხვავებული სხვა პომადგადღაბნილი ტუმნასმული ბებერი საფრთხობელებისგან და რალაცას ეძებს და ვერ უპოვია. თავიდან გავბრიყვდი და დახმარება შევთავაზე, რა დაკარგეთ-მეთქი. შემომხედა ამღვრეული უაზრო თვლებით, მიყურა. მაშინ არ ვიცოდი, რომ ადრე ნომენკლატურული წვრილფეხა მწერალი იყო, კომუნისტების დროს, არც ის, ომიანობისას რომ „ბიზნესით“ იყო დაკავებული – ძვირფასი ნივთების სანაცვლოდ პურს და კარტოფილს ცვლიდა. ჰოდა, მიყურა და, უცებ, „სიუჟეტი დაკარგე და ვერ მიპოვიაო“, – საცოდავი ხმით წაილულულა.

...თუ ისევ სიყვარულზე სჯობს... მომგებიანი თემაა, ყველას გულზე ხვდება. თუმცა დიდი გამოცდილება არა მაქვს... სულ ცალმხრივი, თანაც სხვისი მხრიდან... უკვე

კბილებს მჭრის ეს სიტყვა... შეიძლება, მეზარება დამნიფებას ველოდო და სულ მკვახეს ვკრეფ. უფრო სწორად, თვითონ კრეფის მომენტი მიყვარს სიყვარულში... შეიძლება, რალაც დამცავი ბარიერივით შემოვირტყი, სკაფანდრივით, იმიტომ რომ შიშველი ნერვები მაქვს და ტკივილის მეშინია... შემდგომი ვაკუუმის, მუჭში რომ შეუძლია ჩაგსრისოს. თანაც რა გინდა დანერო ახალი? ან ცოტა უცნაური? მეზობელ დაუნზე შეიძლება, მე რომ დამდეგვს. დავნერ, როგორ უემშაკოდ, არაქალურად მიყურებს ხოლმე, სანამ ჩავუვლი. ლიფტთან რომ მელოდება დილაობით... კანფეტებს რომ მჩუქნის, დედამისი რასაც აძლევს. ერთხელ საშინელ წვიმაში, განუწულმა, მუჭებით თუთა რომ მომიტანა უბნის მეორე ბოლოდან... ამკარად, ადამიანი უფორმო გრძნობათა მარაგით იბადება, მერე სველი თაბაშირივით ძერწავს მას ვილაც კონკრეტულის რელიეფზე... რომელიც გამყარებისას ისე შეეზრდება ობიექტს, განცალკევების შანსი აღარ არსებობს... განცალკევების ერთადერთი შედეგი – მსხვრევაა... ამ დაუნს რომ ვუყურებ, უფრო ვრწმუნდები ამაში... ყველა ასე არაა?! ვიბადებით ზოგი მეტი, ზოგი ნაკლები სიყვარულის უნარით, მერე დაგეშილი მეძებარივით ვეძებთ ობიექტს, – გამოსაძერწად, და მერე, თუ ასე უნერია, დაიმსხვრეს, ყველაფერს ჯანდაბამდეც გზა ჰქონია...

მაგრამ, ვის აინტერესებს ახლა დაუნის სიყვარული და მალალი მატერიები? ახლა ფიზიოლოგიაა მოდაში. სექსი... ეროტიკა... ის რომ დავნერო, ერთხელ მოულოდნელად ხელი რომ ჩამავლო ასოში და გულუბრყვილო მშვიდი სახით მანახეო, მთხოვა? შეიძლება, ვთქვათ, დანერა, როგორაა დაკავებული ონანიზმით, მერე კი კაბაზე ინმენდს დასვრილ ხელს...

გამოშიგნული სიყვარული... ლიტერატურაც რომ ახლა ხშირადაა გამოშიგნული? შიგთავსს იკვლევენ. პულსის მოსინჯვა აღარ კმარა, გული რომ ფეთქავს, ლორწოვანი წითელი პარკუჭები თვალწინ უნდა თრთოდეს. ოხვრა კი არა, ფილტვების ბუმბულაკების შეკუმშვა-გაფართობაა საინტერესო. სასურველია, სიგარეტის კუპრით შეჭმულის... და როცა ნარჩენებზე წერ, ისეთი გამჭვირვალე უნდა იყოს ნაწლავები, თითქმის ჩანდეს, რაც შიგ ბუყბუყებს და მოძრაობს... რა ვიცი, ზოგს იქნებ ლიტერატურაც გამოშიგნული უფრო აინტერესებს... რას გრძნობენ, როცა ვილაცას მკლავებს აჭრიან... როცა ორგაზმს განიცდიან... როცა კუჭი აქვთ აშლილი, ან...

...რა ვიცი, კაცი რომ ლპება, ჯერ შიგნეულობით იწყებს მინად ქცევას. შიგნეულობით უფრო ახლოს ხარ მინასთან... მინა კი ბევრს იტანსო. არა, მინასთან ახლოს კი უნდა იყო, აბა, ღრუბლებში ალბატროსი დაფრინავს სულ. თან რას დაფრინავს, – თვეები შეუძლია არ დაჯდეს... გაშლის აეროპლანივით ფრთებს და მიდის... მისია ცა... მინაზე კი სასაცილოდ დაბაჯბაჯებს, მიუჩრეველია, ძლივს დადის. კომიკური და საცოდავი შესახედაა ცის ბინადარი მინაზე... ისევე, როგორც პირიქით...

...ლამე ცაზე ფიქრი ძილში გამყვა, ეტყობა...

...ასე რომ, კოსმონავტი ვარ და კოსმოსში მივფრინავ...

ლოკოკინა მყავს მენყვილე. იმას რაში ენაღვლება, სულ სახლშია, შეძვრება თავის ნიჟარაში და ისე იბზრიალებს მიზიდულობის კანონის ხუმტურზე.

მე ვიკითხო, სადღაც მოძრავ მრავალწერტილად ვარ



კლეზა

გამოკიდებული სივრცესა და დროში.

აბა, წერტილი ჩემი მტერი იყო.

სადღაც დედამინიდან ნიშნისგებით მიყოფს ენას აინშტაინი.

ღია ორბიტაზე მივცურავ, ხომალდიდან ლოკოკინა მიკეთებს დაზღვევას.

მზეს გავხედე რატომღაც. რას არ გახედავ, მზეა. უცებ ვაკვირდები, შიგ შუაგულ სფეროში ტანჯული სახე დამწვარ ფრთებს აცახცახებს ცეცხლში. იწვის, ლამაზ ბუმბულებს უჭამს ალი. ალბატროსი თუა-მეთქი, ნამეტ-ანი ზემოთ ამოფრენილა, და არა, ფენიქსი იყო. სახე კი იმანჭება, ტანჯვა თვალებს ულულავს. როგორ გიშველო მეთქი, დაუწყვირე, მაგრამ კოსმონავტები სკაფანდრში ვძვრებით, სიცარიელემ, ვაკუუმს რომ უწოდებენ, მუჭში რომ არ ჩავგვსრისოს. გული უნდა კარგი კოსმონავტს და სკაფანდრი თავზე. ხუფივით. მით უმეტეს, თუ შიშველი ნერვები გაქვს. მაგრამ ამ სკაფანდრში ხმაც შიგვე რჩება, ეგაა ცუდი, ფენიქსმა ვერ გაიგო, შველას რომ ვთავაზობდი. დამწვარი ფრთები სახეზე აიფარა და, ეკლებით ვარსკვლავების კენო, წამოიკვნესა. ოკეი, მეთქი, ვუთხარი და მიზიდულობის დინებაში ცურვა განვაგრძე, თან მეფიქრება, რამდენჯერ შეიძლება აღდგეს ფერფლისგან ფენიქსი და რატომ ვერ აღვდექი მე, რამდენჯერაც დავინვი. რითია-მეთქი უფრო მეტი, რა აქვს, რაც მე არ გამაჩნია და უცებ ვხვდები, რომ ფრთები.

„Festina lente!.. იჩქარე ნელა!“ – ხომალდიდან ჭკუას მარიგებს ლოკოკინა.

ვჩქარობ, და ვხედავ, ცოცხზე დასკუბებული კუდიანი მოფრინავს ვენერიდან. თან რა კუდიანი! გრძელი თმა შიშველ სხეულს უფარავს, ქალწულივით პატარა ძუძუები მოუჩანს ოდნავ, უზარმაზარ თვალებს წარბებამდე აპრეხილი წამწამები უჩრდილავს. მუჭში თუთა აქვს ჩაბლუჯული. „Hi“ – მეუბნება, – „როგორ ხარ?“ ვიცი, რომ არ უნდა ავყვე, არ უნდა ამიტაცოს, იმიტომ რომ გრძელ წამწამებში კუდიანის მეტყველი თვალები აკვესებს... „ფართო დიაპაზონის გაქანება გაქვს, ნაძირლობიდან რაინდობამდე“, – მეუბნება ჩურჩულით, – „რატომ?“.. ადამიანი ადამიანისთვის მგელია და მომზადებული ვცხოვრობ-მეთქი, ვფიქრობ და ხარხარებს კუდიანი, თეთრი კბილები უელავს. მეც ადამიანი ვარ და არაფერი ადამიანური არ მეუცხოვებაო, ამბობს. სკაფანდრში გამჭოლ ხელს აცურებს და თმაზე მეფერება. მზურძგლავს, თუმცა ძუძუები აქვს პატარა, თუ გაშლილ თმაში ჩანს ასე. „მითხარი, მარსიდან ხარ?... მეცინება. „არა, ყველაზე დედამინური დედამინიდან“, – ვეუბნები, მაგრამ კუდიანი ცოცხს ატრიალებს და მცილდება. გული მწყდება, როგორღაც მოვიწყინე, ხედავს ამას, კუდიანია. ცერად მიყურებს. „რაც „იყო“, ყოველთვის უფრო მტკივნეულია იმაზე, რაც „არ იყო“... ორივე სინანულითაა აღსავსე, „არ იყო“ არის გულნაკლული სუფთა ამაოება, „იყო“ – ამაოება გულასუყებული და დასვრილი. მე მირჩევნია „არ ვიყო“... შენ?“ კუდიანმა წკრილა ხმით ერთი ცემომცი-ნა და მთვარისკენ გაფრინდა. იცის, რომ მე „ვიყო“ მირჩევნია, და ამაოებაც – გულასუყებული და დასვრილი. მეზარება გავეკიდო. მაინც ცოცხზეა და საითაც უნდა, იქით გამიფრინდება. ერთხელ შემხვდა, ისიც სიზმარში, მაგრამ გაკიდება დამეზარა – სკაფანდრი მაცვია და მიჭირს მოძრაობა. ერთფეროვნებამ ჩათრევა იცის. იყოს ისევ მინიერი ქალები დიდი ძუძუებით. მთვარეს გავყურებ ზარმაცი შურით...

აქ მთვარე სულ სავსეა, არა აქვს ნამგალი, ნახევარი... ფაზები არა აქვს. ახლა დედამინაზე ის ერთი ფაზებ-სშორისი ბნელი ღამეა, როცა მთვარე სულ არ ჩანს. აქ კი სავსეა.

უზარმაზარი მეტეორი მოფრინავს ჩემსკენ. „Festina lente“, – გულს მინუხებს ლოკოკინა. – „სიზი-იფეს ისევ დაუფორდა ქვა. ახლა მაგასაც არ გაუბა ლაილ-აი, შენი ქვებიც გეყოფა საზიდად შენს მთებზე“.

„დაიცარა, რა სიზიფე, ჩვენი დავითაა-მეთქი, მაცადე! რა შენი საქმეა, ვის ავაზიდინებ ლოდებს მთაზე...“. დავითას თვალს ვუკრავ, მაგრამ სკაფანდრში არ ჩანს. თავის უარყოფითიცა აქვს სკაფანდრს... მაგრამ დადებითიც – აგერ, მედუზა გორგონა უკვე კაი ხანია, თვალს არ მაც-ილებს, მაგრამ არა და არ ვიქეცი ქვად, სულ გადაირია. თმის მაგივრად მოფრიალე გველებს ყველა მხარეს ასავსავებს და ბოლმით სკდება. ტურების კონტურზე გვარიანად გადასული წითელი პომდა ლაქსავით ადევს, თვალებზე ტუში აქვს გადაბნული. დაბნეული დაეხეტე-ბა ვაკუუმში. რაღაცას ეძებს. დახმარება შევთავაზე, რა დაკარგეთ-მეთქი და, – „სიუჟეტი დაკარგეო და ვერ მი-პოვია... ჩემი ცხოვრების სიუჟეტი“...

შენ უქციე-მეთქი დავითას ოცნებები ქვებად?.. თვალში მომხვდა და რა მექნაო...

„O tempora, o mores!“ – ოხრავს ჩემს გასაგონად ლოკოკინა.

დიდ გულზეა. სახლშია, რა ენალვლება.

მინდა იქ, დედამინაზე – ჩემს ნიჟარაში, – ჩავრგო თავი და არ დავინახო, როგორ მითრევს ვარსკვლავების ორომტრიალში მიზიდულობის მძლავრი დინება. ვითომ არ ვინძრევი. ვითომ მარად ვიცოცხლებ. გავერთობი ჭორებით, სამსახურით და პოლიტიკით. ვიზოზინებ. ვიტ-რიალებ წლების გიჟურ სისწრაფეში დანიშნულების პუნ-ქტიდან პუნქტამდე, ზაფხული-ზამთარი. ვეყვარები სან-ყალ დაუნს და არ მეყვარება არავინ. ჩემს დიაპაზონზე თურმე აკორდები გადაირეოდა, მაგრამ ვირტუოზი მჭირდება...

„არ დაკარგო შენი ცხოვრების სიუჟეტი“, – საცოდავი ხმით წაილულულა ფუფალა გორგონამ...

...ოლონდაც მივხვდე, რა ტიპის ინსტრუმენტი ვარ, ოლონდ მინიშნება მომცეს კოსმოსმა, რისთვის ვარ... რა ბედნიერია, ვინც ეს იცის. ალბათ, როგორი თავმომწონე და ამყია, საკუთარ თავში გარკვეული... ხალხი ფეხქვეშ უგებს აღფრთოვანებას...

დედამინას გავყურებ ნალვლიანად. უცებ ვხედავ, იერუსალიმში კარიბჭეა ღია, მინა – ბზისა და ზეთისხილ-ის რტოებით მოფენილი. ხალხი გნისასობს, უზარია. ერთ პატარა მონაცრისფრო ვირზე ვილაც ისეთი მბრწყინავი ზის, აქედანაც თვალს მჭრის. ხალხი რტოებს უგებს ფეხ-ქვეშ, რომლებსაც თავის ფიქრებში ჩაფლული ვირი ჩლიქებით ამყად თელავს, დარწმუნებული იმაში, რომ პატივით იღებენ... ფეხქვეშ უგებენ აღფრთოვანებას... საერთოდ აღარ ახსოვს ვილაც მბრწყინავი ზურგსუკან...

...გამოუძინებელი ავდექი. დავდივარ გაბრუებული მთელი დღე. ვატარებ რაღაც იდეებს, დავწერო მინდა. არ ვიცი, რაზე და როგორ, მაგრამ „მთვარის მეხუთე ფაზა“ ერქმევა...



**ნინო  
მოდრავილაძე**

**ჩირუხის კესანები**

კესანებს, ცისფერკოფთიანებს,  
ჩირუხის პირას,  
ჩვენს სიყვარულზე ლოცვასავით  
ვუკითხავ ლექსებს,  
ვისხენებ შორი წარსულივით,  
გუშინდელ სიზმარს,  
ვაგონებს, ხეებს, ხიდებსა და  
რკინიგზის რელსებს.

მთრთოლვარე მხრებზე ჩამომადნა  
დაღლილი ღრუბლის  
ციდა ნაგლეჯი, სევდასავით  
უტყვი და მუნჯი,  
სისხამი დილა, წყალობაა,  
ნამდვილად, უფლის,  
ღმერთისთვალემა კესანები,  
ზღვასავით ლურჯი.

დღეს ავადმყოფი დედამინა  
ჩემი გულია,  
ხვალ რა იქნება, დობილებო,  
იქნება, მითხრათ,  
ჩირუხისპირის სამოთხეში  
და კარგული ვარ  
და რელსებიდან გადავყავარ  
ცხოვრების სიზმარს.

**მზის სათნოება**

/ წმინდა ნინოს /

მზემ იყვავილა ზედაზენზე,  
გვირილის ფერად,  
შეხსნა გვიანი სტუმარივით  
სამთავროს კარი,  
უფალო, ჩემო,  
ნინოს დრომდე ვინ იფიქრებდა,  
დასრულდებოდა  
ქარიშხლებით გაცი და გაიმ.  
ალიგვებოდა  
უძლეველი კერპთა დროება,  
ცისარტყელა და შვიდი ფერი  
მორთავდა მცხეთას,  
რომ არა „ძალა ლომისა“ და  
„მზის სათნოება“,

ვინ მოუვლენდა კვართის მიწას  
ძის გულისფეთქვას...  
„ხეთა კეთილთა ნაყოფმა“ შვა  
რწმენა გულებში,  
ფარავნის ტბასთან, მწყემსებისთვის  
ჩიტი - მზენვია,  
ვით მთის ნაჟურის - წყაროს წყალთან  
შებმა უღელში  
აჭიკჭიკდა და...  
წმინდა ნინოს ჯვარი გვენია.  
უფალო, ჩემო,  
ანდრიას და მატათას კვალზე,  
ასკილის ველურ სიტურფიდან -  
სვეტამდე ნათლის...  
ნინომ ხელები შეაშველა,  
ვით ქრისტეს, ჯვარზე...  
და ჩამორეცხა, ნათლისღებით,  
ცოდვები ქართლის...

**მრავალწერტილი...**

ტალახს ნუ შეაყრი ანგელოზს, ციციკორე,  
ყველას ხელები გვაქვს ცოდვიანი,  
ბედი ცაში წყდება, ბედი, თორემ...  
უცოლოც კაცია და ცოლიანიც...  
ფუფალა თუ მოარღვევს ოღრო — ჩოღროს,  
წუმპეს აიტაცებს კაბის კალთა,  
შოლა... ყველასია, ყველა გოგოს  
უნდა კაცი სწორედ მაგისტანა.  
გთხოვ, ნუ შეაფურთხებ, ანგელოზს, ციციკორე,  
შენც ხომ ხელები გაქვს ცოდვიანი,  
ბედი ცაში წყდება, ბედი, თორემ...  
უცოლოს ერქმეოდა ცოლიანი...  
ლოდებთან დაჩოქილს, ნანგრევთან სიკვდილი,  
ჩაქოლილ ანგელოზს დასცქერის ქვის ყორე,  
ერთადერთს, ერთადერთს, დაკარგულს მივტირი,  
სული, ტალახისთვის ცოდვაა, ციციკორე...

**სიჯოხის ექო**

ლურჯი მთები, გვირგვინოსანს,  
ეკრძალვიან მყინვარს - მეფეს,  
მდინარენი, ქვირიითივით  
თეთრ ლოდებზე ყრიან შხეფებს.  
მზენვები, მოსანვევებს  
უგზავნიან ცაცხვებს მზიდან,  
ბილიკები ყირამალა  
გადადიან შარა-გზიდან.  
თავთუხისფერ ნაზვარევეში  
მწყრები კვერცხებს ათბუნებენ,  
და დედები არსობისა, პურით,  
შვილებს აპურებენ.  
ბებიები ზღაპრისპირა სოფლებიდან  
ფერად-ფერად  
ძაფს ართავენ, სიყვარული  
რომ მოჩითონ მინდორ-ველად.  
ოკეანის ხომალდივით გაუშლიათ  
მამებს მხრები,  
დიდ არს უფლის განგებაო, -

კლუბი

ჩურჩულებენ ტაძრის ქვები.  
იაკობის „დედა ენას“  
გულში იკრავს „ჩვენებური“,  
„გურჯი“ ვარო, – ისე ამბობს,  
ამოვარდეს ლამის გული.  
რუხმელაზე გულნასული  
დოლაბის ხმა წისქვილს აკრთობს,

ხიდი, ლამის დარაჯვით,  
ჩამომდგარა მარტოდმარტო.  
ჭრიჭინების მწყემსი მთვარე,  
ღრუბლის ნაქსოვ ჰამაკს ვერ თმობს,  
ეს სიცოცხლის ხალისია, –  
გამოსცემენ კლდენი ექოს!



ნუნუ  
ქაშაიაშვილი

ნუთი-ნუთამდე

ამ დილამ – როგორ გამანებვირა,  
მზედ აასხივა ფიქრი, – რამდენი...  
რალასა ვჩივი სევდიან დღეებს?  
ანდა, გულიდან, ცრემლებს, – დადენილს.  
მე სიყვარულით, სავსე მატქს გული,  
ამ ხიბლს რამდენი წელი ვუცადე...  
მსურს: ჩიტებს ვანდო – დილის საარი,  
შენ კი გელოდო – ნუთი-ნუთამდე.

ფიქრიანი ტირიფი

ტირიფმა ფიქრი მაჩუქა,  
და მეც ვერ ვუთხარ უარი,  
ტირიფო, გული გაიხსენ,  
ხან, ოცნებების დრო არი...  
გრძნობაა შენი საგზალი,  
სათუთი ხარ და ალალი,  
მზეს უნდა მოგეფეროს და  
დაგინას ოქროს დალალი.

\* \* \*

მე გაღმერთებ და მგონია, –  
რომ შენ მოგყავს გაზაფხული,  
შენს გულამდე სხივებს მოვყევ  
და სათუთად იმედს ვუვლი...  
უკვდავების ბილიკს მისდევე, –  
ანკარა და წმინდა წყარო,  
თვალი სხვასაც რომ არ მოსჭრა,  
ჩემი იყო, მიტომ ვჩქარობ...  
როცა გვალხენს ზენაარი,  
ხან, სევდასაც გვაპატიებს,  
სიყვარულით გიძღვნი ამბორს  
და გულს ვატან – ია-იებს.

ისე, უნებ...

ისე, უცებ, შემოხვედი შენ ჩემს გულში,  
წამს, ვიგრძენი, ფიფქიც თბილი არის,  
ერთი მითხარ, რას დაგვაკლებს ჭორიანი,  
რომ ირჯება, ასე ნიავე-ქარი.  
ისე, უცებ, მოვიყვანეთ გაზაფხული,  
დაგვაინწყდა, ხან, მკაცრია მარტი,  
ისე, უცებ, დავისაგზლეთ სიხარული,  
ისე, უცებ, გახდი ჩემი ხატი.  
თუ, არ გჯერა, ერთი ჰკითხე ენძელასაც,  
სიყვარულით გული როგორ უცემს,  
მიამიტად გაიოცა, რა მოხდაო?  
ასე, უცებ, ასე, უცებ, ასე, უცებ...

სიყვარულის ზარათი

როგორც შენი ჩუმი ჩრდილი,  
მეც დაგყვები ისე...  
დაისზე თუ ცისკრობისას,  
ოცნების ჯვარს ვისევ...  
მიხარია მზის ამოსვლა,  
სხივად გზავნის ლილეს,  
დააკერებს მწვანე კორდებს  
გვირილების ლილეს.  
როგორც ჩვენი სიყვარულის  
უტყვი თანამგზავრი,  
დაგყვები და სიხარულის  
ბარათს მზესთან ვგზავნი.

სურათი

გუშინ მაჩუქე სურათი, – ერთი,  
მან გამახსენა სიბერე რომ არს...  
უკრავს გიტარას მოხუცი კაცი  
და... განცდით მღერის ძველებურ რომანსს...  
აივანზე კი, განმარტოებით,  
უსმენს და დნება მოხუცი ქალი...  
კადრები აკორდს მიჰყვება ნელა  
და გულს ედება ის, ძველი ალი...  
გულს საგულეში ველარ აჩერებს  
და გიტარასთან გაფრენას ლამობს,  
მაშინაც, ასე, უმღერდა ბიჭი,  
იქნებ, შეჩერდე, ლამაზო წამო.  
გუშინ მაჩუქე სურათი ერთი  
და, უკვე, ვნახე სიბერე ჩვენი;  
მომავალ კადრებს გავყურებ, უკვე,  
ნელთა ბურუსში, – კაემნის ჩენით.



ქეთევან ნათელაძე

მშვიდობით ჰოლდენ...

არ დაიჯერო, ასეთ ამბებს ბოლო რომ უჩანს,
იცოდე მე ვარ, შენს ქალაქში როდესაც თოვდეს,

\* \* \*

ზოგჯერ ოცნებებიც ლექსებით
უკვე გადაშლილი გვერდებია,
სადაც იმპერიებს აოხრებენ,

\* \* \*

ზოგჯერ მოგონილი არაკები,
ზოგი სიყვარული ნამდვილია,

გულს სიცივედ და დარჩა ეჭვად,
დღეები შორით გადამფრენი,

დავიხატავდი...

ცხოვრების ყველა საიდუმლოს ფარდა ახადა
დრომ და რა გითხრა... ეს ლექსია, სადაც დავმთავრდი...

\* \* \*

სევდად შემოდგომას შევემატე,
როცა ვმარტობდი, შენ მარტობდი,

კოლეჯი



ნანა  
ქალეხიძე

ინსტრუქტორია წოწხლად  
დარჩენილთათვის

გითხრან:  
იცხოვრე.  
შენი ცხოვრება ახლა მხოლოდ შეგრძნებებია -  
როცა მხოლოდ მზერით ეხები  
და მხოლოდ გახსოვს.  
მკლავზე, როგორც სუსტ ტალღაზე,  
ჩამოაყრდნე საკუთარი ამღვრეულობა  
და უყურე ბალახებზე წამოწოლილმა,  
შენი სხეულის ჩვეულ სამყოფელს.  
ტანსაცმელი სველი ქვიშა  
თუ გაგახსენებს უცნაური ნვით,  
რომ რა ხანია,  
უსისტემოდ მიედინები.

\* \* \*

ადამიანში,  
როგორც წყალში უნდა შეხვიდე.  
ოღონდ მუხლამდე.  
ოღონდ უსაფრთხოდ.  
მერე, იდგე და მშვიდად ელოდო:  
თუ დაგიშრება.  
თუ გულამდე უცებ მოგწვდება.  
ადამიანში,  
როგორც წყალში უნდა გაჩერდე.  
ოღონდ ნაპირთან.  
ოღონდ მოთმენით -  
მეტად ნაბიჯი არ გადადგა.  
მეტის ცდუნებამ აღარ გძლიოს.  
თუ იგრძნობს,  
როგორ გაყრის ხორკლი გაყინულ კანზე -  
ადიდდება და თავად დაგფარავს.  
შენ მხოლოდ მასში ოდნავ შეტოპე -  
დახრჩობა მერე თავად მოგძებნის...

\* \* \*

როგორიც მიწიდან ამოდის,  
ცხოვრება ისეთი უნდა დალიო -  
შაქრისა და თაფლიანი კვერების გარეშე,  
შეთბობის დატკობის გარეშე.  
ყინულივით კბილის მომჭრელი.  
ჩამუხლულმა, პეშვთან დახრილმა.  
ზოგჯერ ძირსაც ჩამოგელვრება,  
ზოგჯერ თითებში გაგექცევა,  
სანამ წყურვილის მოკვლას მოასწრებ.  
ყელშიც ბევრჯერ გადაგცდება მოულოდნელად.  
შეგაშინებს,  
ცისკენ ყურებას დაგანყებინებს.  
რამდენის მიტანას გულამდე მოასწრებ,  
ცხოვრება იმდენი უნდა დალიო.  
ხშირად ტუჩსაც ვერ გაისველებ.  
ერთხელ სწორედ ის წვეთი მოგკლავს,  
მინაზე რომ არ დაიღვარა,  
სასულეში გადაცდენილი.

\* \* \*

რომ იყო მდინარე  
და ამოგიღონ საკუთარი კალაპოტიდან.  
ნაპირზე დაგდონ.

მე ვამყნობდი ადამიანებს,  
მათგან ყინვაგამძლე ჯიშის გამოსაყვანად.  
ვუჭრიდი კანს ყელთან ახლოს  
და მერე, ხარბად,  
სისხლს გამშრალი ენით ვლოკავდი.  
მე ვამყნობდი ადამიანებს,  
მე ვამყნობდი ცოცხლად დარჩენილთ,  
მათგან სიკვდილგამძლე ჯიშის გამოსაყვანად,  
ვაზავებდი ჩემს მკვდარ გულთან მათ მოლოდინს,  
მათ ცოცხალ ინსტიქტს გადარჩენისას  
და იმედით შევყურებდი ყლორტის ამოყრას.  
მინასაც კი ვუფხვიერებდი,  
რაც ყოველთვის უნდა გვახსოვდეს.  
ქარდამცავ ზოლს ვუშენებდი მილიონი ჩემი ტანისგან.  
თან ველოდი გულში, ჩუმად,  
სიმღერასავით,  
რომ როცა მზე საფეთქლებთან მარწუხს მომიჭერს,  
შევალ ბაღში,  
მშობლიურ ხეს ამოვიცნობ დაღლილი ზურგით  
და სხვა ჩრდილზე აღარ ვიფიქრებ.  
ხომ ძალიან ადვილია  
კანზე ბასრი ფრჩხილის გადასმა?  
ხომ ძალიან ადვილია  
ადამიანს ჩაეზარდო მოთმენასავით?  
ხომ ძალიან ადვილია არ გიყვარდეს?  
ან უფრო მეტად - არ გიყვარდეს,  
ვიდრე გიყვარდეს?

\* \* \*

წელს ძალიან მღვრიე მოდის არაგვი.  
თევზები კი არა, ადამიანებიც ვერ გამოჩნდებიან.  
შეგიძლია მშვიდად ჩანვე და თვალეები დახუჭო.  
თქვა, გადარჩენისთვის ათასჯერ მაინც უნდა გაზომო.  
და არტერია  
და ის ერთი, ზუსტი გადაჭრა,  
უნდა იყოს შიშველი ზურგი.  
ოდნავ მარცხნივ, მთების აქეთ, არც ისე გვიან,  
სანამ ვილაღ ნავით  
შეცურავს ჩამავალ მზეში.  
შენ სიღრმეები უნდა გაზომო და პირქვე ჩანვე.  
და არ იდარდო -  
ისე მღვრიეა წელს არაგვი,  
შენს ზურგს კი არა,  
თევზებსაც ვერ დაინახვენ.

„ორყანა“ ახუ ზე და ქვეყანა

ახალი წელი 1.01.2008. დღის 13.00 დან 13.30-მდე თვალებიც ვერ დაუხუჭავთ საწყლისთვის ბოლომდე. ბერავი იყო გენა ახალი წლის შვადღეს.

გვსაყვედურობდა – რა არის ვასილისებო ბინამდეც ვერ მიმიყვანეთო.

არადა ჩანყდნენენ. მძიმე იყო .

მთაში ვყოფილიყავთ, გადავისროდით ხევშიო. ჩაიბურტყუნა რომელიღაცამ.

„მკვდარია შე კეთილმიზნობრივად“ შეახსენა სინდისმა თუ ჯუზემ იმ ქვეყნიდან(ამაოება ამაოებათა თუ მუტანტის მუტანტური... აუ რა ასოთანყობაა ჩემი...).

ეეჰ, ამისთანა ახალი წლის დედაც- ამოიხვნეშა გიომ და კუბოს დაეჯაჯგურა.

„მთვარე მაკოცე ტრაკზე“ – ჩვენთანმა თქვა (მამუკა პირაძალღებულმა).

მერე ეგრე არაა თუ რა – ირაკლი ადგათ თავზე ჯოხდაზენილი და უტყვი წვეროსანი მუშია...

მეოცე წელია მგონი პოდაგრიანი პოლიტაგიტატორი გეორგევენა დედაკაცები დასტირიან ქართლის ბედს:

„ჩემი გმირი გინოდე , სულ არ მოგცემ იცოდე“ – ტაში ლეჩაქთა და მანდილთა ისტორიაში ნიაღვრები, გეო-პოლიტიკა და ტყლეციბაძეობა.

ავტობუსის ხაზი გახსნეს ქოსებმა. ჭრელი ქუდები თავზე ბებერ დიაცებს და დროშები მხრებზე კიდო.

მხარზე გავიდოთ ძმებო.

მხარზე კი არადა საერთოდ ვერა ვძრავთ.

ახალი წლის არ დაგიღვეია?

სახლში კი , აქ არა.

ბიჭო მუცელში არაფერი აქვს და რამ დაამძიმა ერთი? ვთამაშობთ ჩემი?

არა დავიბრიდეთ.

ახალი წელია და წარდგა მონაი ღვთისა...

„მთვარე მაკოცე ...“

გიჟია მაგის დამწერი.

გიჟია, მაგრამ კაი ბიჭია

კაი ბიჭები.

კაი ბიჭია პირველი , მეორე, მესამე გახოკილების მეოთხე და ოცდამეშვიდეც.

მე რომ მკითხოთ „ხადეეს ხაესესის“ ლურჯთვალეობა მაგდანა ყველას სჯობია.

მახლას სჯობია- აწყობილი ნაშაა, მაგრამ უჭირს.

რა უჭირს? გენამ იკითხოს .

კიბის მეორე უჯრედის მოსახვევი და ... ამ სახლის პროექტის ავტორის დედამ აკოცოს ...

მოვწიოთ?

ჩუმად არის ხელჯოხსდაყრდნობილი, არამწვეელი მუშია და ჰგლოვობს ალბათ მკვდარს...

არა. კუბოს ამწვე მწველებს.

მამუკამ თუ იცის?

იცის, მაგრამ ჰკივია.

ვინ ჰკივია, ეს უბედური?

ყველა ჰკივია.

კაი ბიჭია, აირჩიეთ – ჰკივის თმაგადაგლესილი ბიჭუნა,ვისი ბიჭია ნეტავი? მამამისი კარგად ცეკვავდა ერთ დროს.

რას ითხოვს?



გია აბაზაძე

დედიმისისას. რაო მთვარემ რომ იქ აკოცა? მთვარემ იცის ვის,სად და როდის აკოცოს! მშვიდია ლომა მუშია.

„ნაძალადევის რ-ნის 27/5 უბანზე გავეშებულმა საარჩევნო კომისიის წევრმა (პოზიციიდან) უღმერთოდ დასჭრა დამკვირვებელი მუშათა პარტიიდან ბატონი გარსევან ყირბულახის ძე ამირაჯიბი.

კაი ბიჭი იყო ჯექსონა (გია ნადირაშვილი) ტამიშთან მოკლეს. მთელმა მთანმინდამ კაზარიანცის სახლამდე ატარა საწყალი. ციხიდან გამოსული სულ ფუნეიკოლორის ვაგონეტებს ხატავდა .

ჩემი ნახატიაო – დაიბრალა ერთხელ ვიღაცამ.

-ბიჭო პიკასოს ხაზებიო შე უნამუსო.

-ვინ გითხრაო?

-თარხუჯმა.

-ჰოო, მამ ავწიოთ!

კაი. ავწიეთ!

თავისთვის ჰგლოვობდა ცოლშვილიანი მუშია.

ამ წელს მაინც შეხვედროდა საწყალი.

ჩამოსტირა მეზობელმა.

ქალბატონო ხომ ვერ გვეტყვიო რომელ სართულზე ვართ?

მესამეზე ამოდიხართ ახლა.

-აუჰ მოვწიოთ.

-შევისვენოთ ... და ახლა არ მოსწიე შეჩემისა?

-ახალი წელია.

-მერე რა შუაშია?

-თავშია შე...

-მძიმე ღამე გქონდა?

თორმეტს ათი აკლდა , როცა მითხრეს.

-ავწიოთ?

ავწიეთ.

ერთი კაი ბიჭიც იყო, მოხევე – ბესო, ვიღაცეები შეხვდნენ თურმე რუსთაველზე(თუ არ ვცდები ეროვნული უმცირესოსის წარმომადგენლები, მარა დემოკრატია გვაქ ხო იცი), – კურტკა გაიხადეო... კიდევ რა გავიხადეო... მერე მორჩა ბაზარი მთვარესავით აკოცეს საკოცნელში აპაა...

– მძიმე გლოვა იციან მთაში – გვიან ღამით იკრიბებიან გარდაცვლილის ეზოში მამაკაცები, მამრე ჭირისუფალთაგან ვინმე გამოვა და სახლში ეპატიჟება დამსწრეთ.

სუდარაგადახდილი მიცვალებული და ღამის მთევლების ალაპი....

მთვარევე მაკოცე იქ...

(P.S. special thanks to amuka Lekiasvili)

კვლევა

გეორგევენები, ბევრნი და ბრევლნი, შარვლებით, პო-  
დაგრიტ, კბილებზე გადასული პომადით და შეძახ-  
ილებით... შეენ, მხოლოდ შეენ...

-მაგათ მაგასთან მაგი უნდათ, ხომ იცი შენ?  
-რას ამბობ? შვილად ეკუთვნის.  
-შვილად არა შვილიშვილად.  
არა და აქეთ – გეორგევენები, პოდაგრიტ...  
ვიხსნათ საქართველო!  
-ქალო შენ მთვრალ ქმარს ვერ უხსნი და რისი მხსნე-  
ლი ხარ შენი...

-უიმე, დღეს ლოცვაზე არ მოდიხარ?  
ერთიც ვცადოთ და ასულები ვართ.  
რა ახალი წელია, ამის დედაც...  
ჩუმად ხალხს სძინავს.  
დღის პირველი საათია და გაიღვიძონ.  
ავნიეთ და მთლად დამძიმდა.  
-არ შეიძლებოდა საკაცით აგვესვენებინა და მერე  
გვეჩალიჩა?

-ეეჰ, ატრაკებთ- ჩანთილებული თვალები დააბრია-  
ლა იაგორამ.  
-თუ ვატრაკებთ და მოკიდე ხელი შე...  
-მთელი ახალი წლის ღამე არამიანცში გაატარა,  
არაფერი უთხრათ ძმაო..  
-რა უნდა ვუთხრა?  
-რა ვიცი?  
-გიჟი ხარ? მე თვითონ დაძინებამდე ვბლაოდი ბავშ-  
ვივით.

-მერე არ გებლავლა არ დაგეძინა წასულიყავი არამი-  
ანცში და იაგორასთან ერთად გებლავლა არ  
სჯობდა?  
-ბავშვი ჩემს გარეშე ხომ იცი?  
-რა, არ იძინებს?  
-ჰო, ეგრეა  
-იაგორას არა ჰყავს ბავშვები?  
-შეიძლება ჰყავს, მაგრამ ჩემები პატარებია  
-იაგორასი რა? დიდებია?  
-არ ვიცი  
-ჰა მოგაქვთ თუ, არა?  
-უნდა გეთქვათ მოასვენებთ, ალბათ?  
-ფილოლოგის დიპლომი სკოლაში გამოიყენე ძმაო..  
-ფინანსისტი ხომ მაგრად გამოგადგა. მიშას გაფი-

ცებ შე...  
მთვარე გვაკოცე რა? თუ შეიძლება ფლიის...  
შეგენაცვლებით – მუმიას ხელჯოხი მიუყუდებია  
კედელზე  
აბარ-დაბარ- ავნიეთ და სართულზეც ამოვედით.  
ნუქურასნაირი ბუნჩულა ქისტის ბუნებაში არ არსე-  
ბობს.

ნუ გაგავიყალბებთ! მოვდივართ!  
ჩვენა ვართ... ამათთანაც დედაამთვრალეზულნი  
(გაგვიყიდეს წყალი, მინა, ნაკადული და ა.შ).  
მთვარე დაგვიტოვებს?  
კიე, ბატონო.  
-მთვარე აკოცე...  
კაი ბიჭები:  
კაი ბიჭი იყო ზაზა... 20 ლიტრიანი ბოცით ღვინო

მოიტანა გურამამ – გიოს საცოლე მოდისო, ვის რად უნ-  
დოდა ის ბოცა ..., მთვრალეზმა დავიძინეთ სუფრასთან.  
მთვარესაკოცნელი მამუკა ხარხარებდა სხვამ გააცილ-  
ოს, არა უჭირს, ღვინო ბლომად გვაქვსო.

ზაზამ მოჰყვა – ბიჭობაში რამოდენიმეზე ამბობდ-  
ნენ ჩემი საძმოდან კაი ჩხუბი იცისო-  
იკამ, ზაზამ და ნუგზარმამ  
შენა – თქო ბიჭო?

მე რა, ყველაზე დიდ ვიტრინას ჩავამტვრევი წიხ-  
ლით პეკინზე და სახლში მირბენას ვასწრებდიო.

-რა პონტია-თქო ბიჭო?  
-აი, ეგეთი პონტია მაგათი ესესერი დედაცო.  
-მშვიდად მოკვდაო . უტიფრად განაცხადა დე-  
პორტირებულმა (ჭყონიამ)  
-ბიჭები სად არიან? – საკუთარ თავს ჰკითხა ვითომ  
ნუქურამ.

არჩევნებზე ჯანიანი ჯელები მოიყვანეთო- მოითხ-  
ოვა ქოსამ – გამარჯვებას ვზეიმობთ სალამოს  
19:30 ეო! ჯერ დილა იყო 11:00.

მთვარე არ დაგვეკარგო, კიდევ გვჭირდები შე ძვე-  
ლო...

-კარებში ვერ შეეტევა – ჩაიდუღუნა ნუქურამ  
-კუბო ფეხზე დავაყენოთ და ისე შევიყვანოთო  
მუმიამ ცივად დაიბრუნა ხელჯოხი...  
მხარბეჭიანი იყო გენა, კუბოც ფართო  
გაეკეთებინათ, მაგრამ მაინც ვერ ეტეოდა  
საწყალი. ფეხზე დაყენება კი...

-რა დიდი ყოფილა  
-ვერ ხედავ რა მობუზული წევს, უბრალოდ რაც სტან-  
დარტი ჰქონდათ იმაში ჩაანვინეს – ხმა აღარ მოსდევს  
იაგორას.

-შენა მომისმინე – ერთი დუქანი იყო თურმე  
ოცდაათი/ორმოცი წლის წინ თბილისში, ორთაჭალაში და...  
-რა გვედუქნება, ავნიოთ.  
-მოიცადე, წელში გავწყდით, ამ უბედურს სახლშიც  
აღარ უცდიან ალბათ და მიდი მოჰყევი  
-იქნებ აჯობებდა, რომ – შეგვესვენებინა შესწუხდა  
მუმიამ.

-ძმაო, მეუფესთან დარეკილია, მოიხსენიებს და  
გეტყვი ამბავს  
-კეთილი.  
-დუქანი იყო ერთი ორთაჭალა- კრწანისში სადღაც.  
ბანძი დარაჯი ჰყავდათ ერთი, სახელად სტენკო, დიდი  
ჰქონდა, თავის ჯანისა საოხრო და ...

-მერე რა?  
-მერე ისა რომ მაშინდელი კაი ტიპები რომ მოითხ-  
ოდნენ „ასორტიო“ ლანგარზე ხილთან  
ერთად დადებული მოჰქონდა თურმე .  
-ფუჰ, შენი!  
-ჩემი რა მაგათი. ამ გეორგევენების ოჯახის კაცები  
იხდიდნენ თურმე მოსანახულებელს აბაა..

მთვარე! დროზე დროზე გვიშველე!  
ერთიც ავნიეთ და შეგვაქვს.. გვეგებება ახალი ქვრივი  
(თუ ახლად დაქვრივებული ახალ წელს)  
-ელისო.  
საძმო ერთად ვულოცავთ ახალ 2008 წელს!



მარია  
კობანიშვილი

\* \* \*

მალე აპრილის მზე აგიტკრეცავს ლანვებს,  
ატმის ნაზ ყვავილებს ქარში გადაარწევს...  
მალე მწვანე მოლის, ფეხქვეშ იგრძნობ ხაოს,  
მოგინდება ზეცამ მკლავზე განანაოს.  
მალე იასამნის გაგაბრუებს სუნი,  
გაგიღვიძებს სულში სიყვარულის სურვილს...  
ჩამოიშლი მხრებზე თავთუხისფერ თმებს და  
გაუყვები ფეხით ამღერებულ გზებს და ....  
მალე ჩიტების ხმა ისევ გაგახარებს,  
მალე გაზაფხული შემოგიმტვრევს კარებს!

უთხარი ზამთარს

უთხარი ზამთარს – გადარეკოს ღრუბლების რემა,  
თოვლით დატვირთულ ფორნებს ზურგის უსურვოს ქარი.  
უთხარი ზამთარს, რომ მობეზრდა სულს ცდა და თვლემა,  
რომ ჰაერივით მენატრება მზიანი დარი.  
უთხარი ზამთარს, ველარ ვუძღვებ სიჩუმის სენთა,  
გეძებ სიზმრებში... თვალს ვახელ და ისევ არა ხარ...  
უთხარი ზამთარს – მოგიყვანოს ძვირფასო ჩემთან,  
სანამ ამ რძისფერ სითეთრეში ცოცხლად დამმარხავს.

\* \* \*

ვთხოვ დეკემბრის ქარებს, –  
ნუ მიმტვრევენ კარებს...  
ნამიყვანონ სადმე,  
საოცნებო მხარეს...  
ამომივსონ მზერა  
ცის ხასხასა ფერით,  
მომატარონ ლურჯი  
ყვავილების ტევრი...  
მზით გამითბონ პეშვი,  
მზით გამითბონ კალთა,  
შემასწავლონ ენა  
ბალახთა და ქვათა...  
ამარიდონ ილბალს,  
უსახურს და მწარეს...  
ვთხოვ დეკემბრის ქარებს,  
ვთხოვ დეკემბრის ქარებს.

\* \* \*

როცა ჩიტების ჩუმდება ქორო,  
მზე იცმევს როცა ნისლის ფაჩურებს,  
დაიგებს გული დუმილის ფარდაგს,  
თვალს დახუჭავს და დარდს გააყურებს.  
შორს, სადღაც ტოლი დაეძებს ტოლს და  
ვიღაც ჩუმ ხმაზე უკრავს ჭიანურს...

ვინ აუკრძალავს ფრენას ჩიტს ცაში,  
ანდა მიჯნურებს ერთად სიარულს.  
დრომ ამოივსო თვალები ღრუბლით,  
მიდის და უკან არ იხედება...  
დაცხრება ყველა ჯანყი და ვნება,  
ყველა ტკივილი გაიხედნება.  
არაფერია ცის ქვეშ მუდმივი,  
ლამეს დღე სცვლის და ზაფხული – ზამთარს...  
თმენის ფარდაგზე ფიქრების გორგალს  
გული იმედის ფთილვებად ართავს.

\* \* \*

ლიმილის მარმაპით მალავდი ტკივილებს,  
თვალებით მოგქონდა წარსულის კირთები  
და დღესაც, როს სული ნვიმებით გევესება,  
ყველაზე ლამაზი სამოსით ირთვები...  
გადიხარ ქუჩაში „ლალი“ და „ამაყი“  
და გინდა შენს კვალზე მღეროდნენ იები...  
ზუზუნებს სამყარო ... ქალები, კაცები  
ქვეყანას იკლებენ წყევლით და გინებით...  
მერე კვლავ სალამო... კვლავ ზრუნვა ოჯახზე...  
გწყინს, ჟამი ნაცრისფრად რომ უნდა გალიო...  
...დეკემბრის ბნელი და უმთვარო ღამეა...  
ბავშვები ხმამაღლა გალობენ „ალილოს“.

ჩუმად

ჩუმად არაკუნე დარდის სარეკელა,  
ჩუმად ინვიმე და ჩუმად იავდარე...  
მთვარეს მიაბარე, მთვარე შეგინახავს  
გრძნობის სინრფელეს და სულის სიანკარეს.  
ქარს ნუ მიენდობი, ქარი ოხერია,  
ნავა, დაარიგებს ჭორებს მინდორ-მინდორ...  
მხრებზე შემოიდგი ფიქრის კიდობნები,  
ბოლო სამყოფელთან ჩუმად გადაზიდო.  
ჩუმად ჩამოჰკარი სევდის ზანზალაკებს,  
ჩუმად გადალახე ყველა ბარიერი...  
ჩუმად იგალობე უფლის სადიდებლად,  
ჩუმად ილილინე „მრავალჟამიერი“.

დრო

დრო ისევ მიდის უსასრულოდ  
და მოთმინებით  
დღეთა ჭრელ მაქმანს სეზონების  
მიხედვით ლამბავს...  
დრო მაინც მიდის, როცა დარდის  
ბებერ ჭიანურს  
დაუსრულებელ ჭირებისას  
ვუყვები ამბავს.  
იღინე დროო, წყაროსავით  
მხნედ და მარტივად,  
ნუ შეჩერდები, ნურც ჩემს ზუზუნს  
ჩააგდებ რადმე...  
გაზაფხულების მოიტანე  
თავბრუდამხვევი  
სუნი და ატმის ყვავილები  
ჩემს კართან დადე.  
იღინე დროო, გაამრავლე  
მზე და ლიმილი,  
შეყვარებულთა ნატერფალზე  
ყვაოდეს ვარდი...  
გუმინ თებერვლის ზეცა იყო  
ისე კრიალა,  
მის ლურჯ სარკეში გოგოსავით  
ლამაზი ვჩანდი.





ზიზო ბურდული

მთვარის სტუმრობა

დაიდგამს გვირგვინს, გაიხურავს ვარსკვლავთა კარებს, წავა, მოივლის მთელ ქვეყანას, მოჰკრეფს არაკებს, მერე ჩემს სანოლს მოადგება დაღლილი მთვარე, და ტყუილ-მართალს თენებამდე ვილაპარაკებთ.

ვიტყვით ამ მთისას, იმ ბარისას, დრო არც გვეყოფა, ვიტყვით საყვედურს მიმქროლავი დრო-ჟამის მთიბლის, მერე წავა და თან წაჰყვება ციურ დედოფალს, თეთრად გატეხილ ღამეების ველური ხიბლი.

ეს იყო ადრე

ეს იყო ადრე, მე რომ ვსტუმრობდი არხოტს, ტრფიალისფერი ქროდა გრიგალი-ქარი, ახლა მანდ ჩემთვის დიდი ტკივილი სახლობს, და აღარ მინდა ნახვა ზღაპრული მხარის.

და აღარ მინდა, კვლავ მოლოდინად ვთოვდე, არხოტი ჩემთვის დარდად მკვდარ ჩავლილს შლიდეს, ეს მერამდენედ, ცარიელ ბილიკს მოვდევე, წამოსხმული მაქვს მუქბინდისფერი რიდე.

ძვირფასი თორელ... ჩემს და ხევსურეთს მიღმა, გადაქრა სადღაც მატყუარად და ფლიდად, და მზის ღიმილით მინაზებული ჭიშკა, ჩემს მსუბუქ ნაბიჯს თბილ ხელისგულზე თვლიდა.

ეს იყო ადრე... დღეს აღარ ვსტუმრობ არხოტს, ტრფიალისფერიც ჩადგა გრიგალი-ქარი, არხოტში ჩემთვის დიდი ტკივილი სახლობს, და აღარ მინდა ნახვა ზღაპრული მხარის.

ძველ მოგონებებს

შეველებ კარებს მონატრებულ ბავშვობას ჩემსას, არ ვიცი, ახლა აქეთ რატომ გამწია გულმა, ვათვალიერებ, ჩამოსაჯდომს ვერ ვხედავ ვერსად, არავინ მელის აქ ისე, ვით სასურველ სტუმარს.

არც ვის ვახსოვარ, მეც ბუნდოვნად ვიხსენებ ახლა, „რეზინობანას“, „ნიშხა-ნიშხას“, „წრეში ბურთს“, რა ვი... შეფარება ყველაფერი ერთ მცირე სახლაკს, გულს დასწოლია მტკივნეულად ფიქრების ზვავი.

ჭერში გაბმული აბლაბუდა სიძველის ელფერს, ამძაფრებს ისე, რომ ტირილი გინდება მხოლოდ, ძველ მოგონებებს გახუნებულ კედლებზე შეჰფენს, შემოქნეული ზღაპრებიდან ფასკუნჯის ბოლო.

თბილ, ტკბილ საუბარს შევეცდები, ბალღობას ჩემსას მივეფერები, საერთოც რამ ვნახოთ იქნება, მაგრამ ამოდ... გაიყოლებს ცხრათვალა მზესაც, და ასკინკილით სამუდამოდ გადამიქრება.

ჯავრისა

ეს მერამდენედ ჩამოთეთრთოვლდა იანვარი, ეს მერამდენედ აათეთრფიფქა ეზო-ყურე... ვმზერ დანანებით გრძნობას, უგულოდ იავარქმნილს, მმზერს ბედისწერა, რალაც უცნაურ შემომყურებს.

ოცნების კოშკებს გამოცლილი აქვთ საძირკველი, მოლოდინების გოდოლები დაქცეულა, მე რომ უშენოდ დავრჩი, ეს არის საკვირველი, ფიქრი ჩემი კი, კვლავ ქისტეთისკენ გაქცეულა.

ფიქრი ჩემი კი, კვლავ ქისტეთის გზებს დასტრიალებს, იქნებ თეთრ ბილიკს თეთრ სიხარულად გამოუყვე, ძველ მოგონებებს გაყინულ ხელში ვატრიალებ, არ ჩანხარ არსად, ფანტელებს შენზე რა მოვუყვე.

და ვბრაზობ, თორელ, უეჭველია გაგინყრები, ვერ გაპატიებ, ჩემთვის დარშიც რომ ავდრიანობს, მე დამავინყდა დავინყება ჩავლილ წლებს, და ამის გამო მთელი ცხოვრება ვდარდიანობ.

სადღევრძელო

გაივლის წლები, ჩვენს სავალ გზანვრილს, ჩავათავებთ და ჩვენი დროც მოვა, ჩვენს საფლავებზეც ნუხილით დასწვიმს, მიხაკების და ვარდების გროვა.

ჩვენს საფლავებზეც იქროლებს ქარი, მერე დაღლილი მინვება სადმე, მერე დაათოვს სინაზე მთვარის, შუალამისას წამომდგარ ღანდებს.

მერე ინათებს... დილა და ღამე, დარი, ავდარი, თოვლი და წვიმა, ერთმანეთს შეცვლის რამდენი რამე, რამდენი ვინმე გვისიზმრებს მღიმარს.

გაივლის წლები, ჯერ კი, ჯერ სანამ, სულში ფიქრები ისევე მზეობენ, ეს გაუმარჯოს სამშობლოს ცვარ-ნამს, ეს გაუმარჯოს მის მთა-ხეობებს.

ეს გაუმარჯოს დღე-ღამის ცრიატს, მზეს, ვარსკვლავებში მთვარის დენდობას, ეს გაუმარჯოს იმ ადამიანს, ვინაც პირველი გვეტყვის შენდობას.

### ეგ ორლესული ფამკარ ვადამდის!


გულს ცხრა ლახვარი,  
 წმინდა გიორგის,  
 სისხლშეუშრობმა დამკრა კრწანისმა,  
 წყალმა წამართვა ნაშანთი დედა,  
 დიდგორიც სევდამ გაითავისა!  
 არაგველების მმედგრავს კიჟინა,  
 ჩაქოლილი ვარ ციხის ნაშალით,  
 სად გაიყიდა პაპის ფარ-შუბი,  
 სად მიიშლამა დედის თავშალი?  
 ეგ ორლესული დამკარ ვადამდის,  
 გული დასალვრელ სისხლით მევესება,  
 ყურში ჩამტირის ბებერი ლომის  
 უკანასკნელი ამოკვნესება!  
 ხან ძირს გართხმული

დაგტირი მწარედ  
 გულგასენილი შენი ვაებით,  
 ხან დედის ძუძუს ჩაფრენილ ბალღის  
 ნეტარლულუნით გეთამამებ!

### ფანფურო...

რა ლეგენდებზე ჟღერტულეებ,  
 ჩემო ჰანგო და ფანდურო,  
 ლამის მეხრეო, ფხიზელო,  
 ცისკრით თვალამობანგულო?  
 გალობ და უფლის ჩიტივით  
 გულთან მიკენკავ ტკივილებს,  
 ხან ცრემლით იბან ფრთა-ნისკარტს,  
 ხან ლაჟვარდებში ლივლივებ!  
 ხან მინას ებმი სახნისად,  
 მიუთხრობ ერქვან-ჭაპანთა:  
 რა ტკივილები იარგნეს  
 იმქვეყნად მამა-პაპათა!  
 ახლა ჩემი ვთქვათ სათქმელი,  
 ბედო, ლოდინით ნაბურო!  
 ხან შვებას ვექცეთ ტკივილად,  
 ხან ტკივილს მივესალბუნოთ!  
 ერთი ხარ, ჩემო უფალო,  
 ჩემო შვებავ და ტკივილო,  
 თუ ატირებულს გიხილავ,  
 მე როგორ ვიპირღიმოლო?  
 მე შენი ბერიზვარა ვარ,  
 პატარა ხბო ვარ, სახარე,  
 შენი - ჩემი წმინდა საყდარი,  
 ჩემი ხატი და საზარე.  
 დედას ამსხლიტეს ძუძუდან,  
 ცრემლი იმედით ვაქარვე,  
 ყელს საკადრისი შემაბეს,  
 შენს კალთას შემომოფარეს,  
 ქედმოდრეკილი გეხეღ,  
 ჩემო ლოცვავე და არაკო,  
 გულის ლუსკუმა გამიპე,  
 რომ სისხლი შემოგ ზვარაკო!  
 გადმოსკდი გულის ბარძიმით,  
 სისხლო, ჯვარ-ვაზის ბჭიანო,  
 რომ მამა-პაპის ფერფლისკენ  
 სიცოცხლედ გაიმზიანო!

### ელდარ ჰიჯიაშვილი



წინ დამიფინე ნათელი,  
 უფლის ბილიკო, ბზიანო,  
 რომ მერე პურ-ღვინის მადლში,  
 ქრისტეს სისხლს შევეზიარო!  
 ან მზარდე შვინდა ხარივით,  
 მიმზადე გუთან-სათარი,  
 ქედზე უღელი დამადგი,  
 მუხის გულისა ნათალი!  
 შენი ტკივილი ვლოღნო და  
 ცრემლის გილოკო მარილი,  
 მთას ვზიდო ლოდი სატაძრე,  
 ვაბრწყინო შენი არილი!  
 კარგ ყმას ვეცალო უღელში,  
 ჯვარცმით ავლიო გოლგოთა,  
 რომ სასოებად ვესაგზლო  
 სოფლის ქვრივ-ოხერ-ობოლთა!  
 მერე კი... მერე სიცოცხლე  
 გასრულდეს, როგორც წესია,  
 შვილიშვილებმა მოიმკონ,  
 პაპას რაც დაუთესია!

### ჩემო მტკვარო და არაგვო...

ჩემო მტკვარო და არაგვო,  
 ციხის მზევე, შეუვალისო,  
 ჩემ ძმათა უმანკო სისხლით  
 განითლებულო კრწანისო,  
 უხმლომ და უმზუხარადომ,  
 წყვედიადმი ნათლის კიაფო,  
 სურამის ციხის კედლიდან,  
 კიდევ რა უნდა გიამბო?  
 რად ყმუის ალგეთს ძუ მგელი,  
 რას დამქვითინებ ნიაგო?  
 სულ ამ კედელში ვიქნები,  
 სანამ ზურაბი მქვიაო!

### ირმისა

უდროოდ დაობლებულო,  
 გემტერა დედინაცვალი,  
 წამლად შენს გულ-ღვიძლს ითხოვდა,  
 ღანვს ჩამოისვა კანალი,  
 თავი აბრალა მამაშენს,  
 თვალში აყარა ნაცარი  
 და მამაშენიც, ბედასლი,  
 გაგებდა მამინაცვალი!  
 ზურგზე შეგისვი, იმ ღამეს  
 გადავიკარგეთ სხვა მხარეს,

შენ ჩემი გახდი მეხრე და  
 მე - შენი შვინდა სახარე!  
 ირემმა ძუძუ განოვა,  
 მზემ პირი გბანა სხივ-ცვარით,  
 ყელს მეხვეოდი, ვიყავი  
 მე შენი დასაფიცარი!  
 გზარდე და გეფერებოდი,  
 გითბობდი მუხლის იოგებს,  
 ეგ ცრემლიანი თვალეები  
 რამდენჯერ ამოგილოკე!  
 წამოვიზარდეთ, ვაშენეთ  
 ჩვენი ციხე და ტაძარი,  
 ერთად ვანვიმეთ ოფლი და  
 ერთად ვაგორეთ ზამთარი!  
 შენ შემოგწირე, რაც თვალში  
 შემომრჩა მზე და იმედი,  
 მე დაჟუძღურდი და შენ კი -  
 მხარ-ბეჭით მზეს ასხივებდი!  
 ნეტავი გულში რა გქონდა,  
 ყელზე თოკს როცა მაბამდი,  
 ან სად მიგყავი იმ ღამეს,  
 ან უნდა გვევლო სადამდის?  
 სულ არ მეგონა, თუ ასე  
 დამთმობდი და გამწირავდი,  
 მე დამაძინე და შენ კი  
 ზღაპარში გაუჩინარდი,  
 გამომეღვიძა, გეძახე,  
 რქები ვალენე ცივ ტინებს,  
 გეძებე, ვერსად გიპოვნე,  
 დაჯვექ და ბევრი ვიტირე.

### გულს სევდა შემომწოლია...

გულს სევდა შემომწოლია,  
 სადა ხარ, პაპის ჯავშანო?  
 ტანზე მოგირგო, სისხლი და  
 ბრძოლის ყიჟინა ავშალო!  
 ხმალი ვაეღვო, დაგაფრთხო,  
 დამძიმებულო ლოდინო!  
 მტერთან პირისპირ შემეყარეთ,  
 სიკვდილი მოვალეკინო!  
 მტრის სისხლი დამალევეინეთ,  
 თასი გამივსეთ პირამდის,  
 ან მეც მომკალით, ან ჯაჭვით  
 კაკასიონზე მიმაბით!

კოეზი

არწივმა ჭანგით მიფლითოს,  
მკერდი და გულის ფიცარი,  
ოლონდ გაბრწყინდეს მამული  
უფალთან დასაფიცარი!

მეხრის სიმღერა

ვერ ვეგუები სიცოცხლეს,  
ასე მოთვლილს და ნაპარავს,  
წავალ და დიდი სიჩუმე  
ჩემს ნაბილიკარს დაფარავს,  
სხივი ჩაქრება მინაქრის,  
მზე გაშავდება თაკარა,  
ცას შებლავლებენ სამღურავს  
ჩემი ლომა და შაქარა.  
ისევე გადაიდარებს,  
სიო დაჰბერავს სხვაგვარად  
სხვა მეხრე მიუგურგურებს  
ნატკენ წყლულების საბანად.  
ჩემივ სისხლ-ოფლით ნაპოხი  
მინა მექნება საფარად,  
გადაიდარებს ღრუბელი,  
ნისლიც გაქრება ქარქარა,  
მალევე დამივიწყებენ,  
როცა ვიქნები აღარა!

სიმღერა

დღეო, გადისხენ პირბადე,  
მთავ, რძით გაივსე ძუძუნი,  
შენს მაღლის კალთას მამთხვიე  
მე, გლახაკი და უძღური!  
ბედი, შავბედი, მგლისფერი  
ამდევენებია ძუნძულით,  
წყალს წაუღეკავს უწყალოდ  
მარტოსულობის კუნძული!  
როგორ წაგშალო გულიდან,  
როგორ დაგთმო და გაგწირო,  
მტერთან პირისპირ შემყრელო,  
ჭიუხს გაჭრილო გზანვრილო,  
კლდეს შერჩენილო ტკივილად,  
პირშიშველაის ყანწიო,  
სტამბულში ტყვედ გაყიდულო,  
გათათრებულო ყმანვილო!  
სიბრძნეო, წაღმა ნათესო,  
დღემდე უკუღმა ნანწიო!  
წმინდა ხატო და საძვალევე,  
სისხლო, კრწანისთან ნანწიო!  
არღუნის წყალს გაყოლილო,  
ჩემო სულო და ნანწიო,  
მუცოს თავს აცრემლებულო,  
გულში დაჭრილო არწიო!  
იქნება თქვენმა მზეობამ  
სხივი იმედად მანწიოს,  
და მერე... დიდმა სიმშვიდემ  
კალთაზე გადამარწიოს!  
დღეო, გადისხენ პირბადე,  
მთავ, რძით გაივსე ძუძუნი,  
შენს მაღლის კალთას მამთხვიე  
მე, გლახაკი და უძღური!

ვაი, შენ, ჩემო  
სიწოცხლეც...

ვაი, შენ, ჩემო სიცოცხლეც,  
მზის ქვეშ პატარა ნიაგო,  
როდემდის უნდა გეფერო,  
როდემდის გელოლიავო?  
ყველა სანთელი ჩაქრება,  
ყველა ადრე თუ გვიანო,  
მანამდე გულის ჭრილობა  
რა სალბუნებით გიამო?  
ზოგისთვის მაღლად ანთხარ,  
ზოგისთვის საყვედრებელად,  
ზოგს შენი სუნთქვა ესულთქმა,  
ზოგს კი - ემძიმა-ებევრა!  
ვინა თქვა დედინაცვლისგან  
ძუძუს წოვება გერისა?  
არ იკურნება ნამლობით  
გულში ნაკბენი გველისა!  
ვაი, შენ ჩემო სიცოცხლეც,  
მზის ქვეშ პატარა ნიაგო,  
მზის იქით გელოდებიან,  
ვინძლო, არ დაიგვიანო!

დიღაპას ნამღერი

გასწიეთ, ჩემო ხარებო,  
გულიდან სევდა წამშაღეთ,  
სულ ჩვენი წმინდა სისხლია,  
რაც ბელტი გადავაშავეთ.  
ამალიღინეთ, ამოვთქვა,  
გულში რაც გლოვის ჰანგია,  
რა სუნთქვა მოდის მინიდან,  
რა სურნელი და ბანგია?  
მკერდგახსნილ დედას ნუგეშად,  
ნეტავ, რისი თქმა სწადია?  
ეს ხომ წინაპრის ძვლების და

უფალო...

დასაბამიდან შენკენ ვიდოდი  
წმინდა გიორგით მხნე და გულადი,  
ლარ-საგანძურთა განმბოძებელი  
გულს საზედაშე მტევნად ვწურავდი!  
ჯვარი ვაზისა მოვრწყე ცრემლებით,  
შემოგლადადე ქება „მზე შინა“,  
საკირის ცეცხლით ვმდულრე ძვალ-ხორცი,  
რომ ღვთაებრივი გადამერჩინა!  
და რამდენჯერაც ხელი ხმალს ვიკარ,  
თუ შემომიძვრა უბეს იქედნა,  
იმდენჯერ მწედ და გზის მანათობლად  
ჯვარცმის ნათელმა გადმოიხედა!  
რამდენჯერ ნახმლევე-ნატყვიარ შუბლით  
გადმომსკდა სიბრძნის და სისხლის ტბორი,  
ვინც ჯვარზე მაცვა, ის შევიყვარე  
და დავემკვიდრე მართალთა შორის!..  
შუბლზე დავიდგი ეკლის გვირგვინი,  
გოლგოთა სისხლით შევაფერადე,  
ღვთისმშობლის კვართი გულში ჩავიკარ,  
რომ მოვსულიყავ, ღმერთო, შენამდე!

გულის სითბო და მაღლია!  
რაც გუთანს ხელი მოვკიდე,  
ჯერ პირშიშველა ყმანვილმა,  
რამდენჯერ წუთისოფელმა,  
მსეტყვა და თავზე მანწიმა!  
მას მერე სევდის მდინარის  
ავდევ და ჩავდევ ნაპირებს,  
სანუთროს უსამართლობა  
ზოგჯერ ძილშიაც მატირებს!  
ზოგს დაანათლა განცხრომა,  
ზოგს სისხლით თრევა კევრისა,  
ზოგს ჯილა უფლისწულისა,  
ზოგს ნაბდისძველა გერისა!  
თქვენი ვარ, თქვენი ტრფიალი,  
ჩემო მინავ და გუთანო,  
წინაპრის ოფლით მორწყულო  
და სისხლით ნასათუთარო!  
გასწიეთ, ჩემო ხარებო,  
გულიდან სევდა წამშაღეთ,  
სულ ჩვენი წმინდა სისხლია,  
რაც ბელტი გადავაშავეთ!

თუ შევიყვაროს  
სოფელმა

თუ შევიყვაროს სოფელმა,  
გულიც თავადვე გატკინოს,  
ხან ჯვარზე გაცვას მაღლისთვის,  
ხან ლიქნით მოგეხმატკბილოს,  
ზურგში დანა გცეს და თანაც  
შემოგლიღინოს ოსანა,  
სოფელი რის სოფელია,  
თუ ლაფში არ ამოგსვარა!  
რაც უნდა დიდხანს გაეხას  
სიცოცხლის სევდა-ლმობანი,  
სულ ერთი მოთქმა დაიტყვეს  
და ერთი შესანდობარი!



### ზაქრო აბაიძე

\* \* \*

ლალ კავკასიონს მეც დავატყვე კვალი ეულა,  
ჩემი ერთი ხმაც შეუერთდა მთების სიმღერას,  
მიჯნური გავხდი სიმარტოვით გადარეული,  
მისი ტრფიალი გულმა ოხვრით ამოიმღერა.  
ფარაა ჩემი სიხარულიც, ჩემი სიცოცხლეც,  
სამწყემსოდ ქარცხვის ყვავილებით მორთული მთები,  
ბინად ნაბადი, ორიოდე მურია ძალი,  
გალაღებული გუნება და გაშლილი მხრები.  
აქ გასართობად გულს ჩაესმის არწივთა ყეფა,  
დღისით ჩანჩქერთა ქუხილი და ხევის გრიალი,  
ლამით ვარსკვლავით მოჩითული ცის არშიყოფა,  
დარში მზის ტრფობა და ავდარში ღრუბელთ ღრიალი.  
როცა ჩამოჰკრავს დილის ზარი ქუჩიან ფერდებს,  
ყვავილებს მკერდზე დაეხვევით მარგალიტები,  
ზოგი სიამით და გულდიდად, ზოგიც მორცხვობით  
მზის სხივებს გულზე იხუტებენ თავგამეტებით.  
მაშინ მეც ნაბადს შევუბერტყავ დანამულ კალთებს,  
დავაფრთხო სიზმრის ნარჩენებში ეულ ზმანებას,  
ზვავის ნაჟურით ჩამოვიბან ნასიზმრალ თვალებს  
და დასალოცად მოვიგონებ წმინდა სამებას.

\* \* \*

ქარი ტირიფებს უმონყალოდ აცლიდა ფოთლებს,  
იცრემლებოდნენ შემოდგომის რუხი ნისლები,  
ცა გაბუტული დასცქეროდა დამჭკნარ ყვავილებს,  
მზეს შავ ღრუბლებში დაემალა თვისი ისრები.  
ვიდექი მარტო და ზეცას გავსცქეროდი,  
მზარავდა სიმრავლე ფერთა,  
ნლები მიდიოდნენ, ნლები მიდიოდნენ,  
ტირიფის ფოთლებთან ერთად.  
ჩემში ცოცხლდებოდნენ განვლილი დღეები,  
ცრემლი მინამავდა თვალებს,  
ნლები ფოთლებივით სწყდებოდნენ გულიდან,  
სიბერე მიღებდა კარებს.  
ერთი შემოდგომაც ფერავდა სამოსელს,  
ქრებოდა კვლავ ერთი წელი,  
გულს კი უმონყალოდ წვავდნენ და დაღავდნენ  
ფიქრები ღადარზე მწველი.  
ჭკნებოდნენ ვარდები ნესტიან მინაზე,  
სარეცელს იშლიდნენ თრთოლვით,  
გუმინ მოცინარეთ ხვალე დაჰფარავდა  
სითეთრე სპეტაკი თოვლის.  
ამაოდ ცდილობდა მზე გამონათებას,  
ღრუბლები ფარავდნენ სხივებს,  
კონად შეჰკრავდნენ და გულზე დამანყობდნენ  
ცრემლების გაყინულ მძივებს.

ვიდექი მარტო და ფოთლებს გავცქეროდი,  
მზარავდა სიმრავლე ფერთა,  
ნლები მიდიოდნენ, ნლები მიდიოდნენ  
ტირიფის ფოთლებთან ერთად.

\* \* \*

მთვარე ამაყად მეფობდა ცაზე  
და მთებს ახვევდა ოქროსფერ ბალთებს,  
ლამე დიოდა და მთვარის შუქზე  
ძველი ნაბადი მიშლიდა კალთებს.  
კალთებს მიშლიდა და თითქოს ჩუმად  
ტიროდა იგი ოხრავდა ნაღვლით,  
თითქოს იცოდა, თითქოს ხვდებოდა  
ხვალე შესცვლიან ძველ ნაბადს ახლით.  
და ასე ჩუმად და ასე ჩუმად  
ეფერებოდა, მიკრავდა გულში  
თავისი ყოფის მე მოზარეს  
დღეს მახსენებდა, რაც იყო გუშინ.  
დღეს საბოლოოდ მიმღერდა ნანას,  
რჩევა დამინყო სიზმრების ფერთა,  
კონად შეჰკრა და გულზე დამადო  
ათასი ღამის სიზმრები ერთად.  
და მე ვხედავდი ძველისძველ სიზმრებს  
და ჩამესმოდა სიმღერა ძველი.  
ეთხოვებოდა ნისლი ჭიუხებს,  
ცაში საკვალი გზა ჰქონდა გრძელი.  
მთვარე ამაყად მეფობდა ცაზე  
და მთებს ახვევდა ოქროსფერ ბალთებს,  
ლამე დიოდე და მთვარის შუქზე  
ძველი ნაბადი მიშლიდა კალთებს.

\* \* \*

ვინაც იხილა დიდებული ჩემი კახეთი,  
ლურჯი ფიქრები დააყოლა ალაზანს როცა,  
რა ქართველია – ბახტრიონმა თუ არ მოხიბლა,  
რა ქართველია – ალავერდი თუ არ ილოცა.  
ვისაც თოვლიან მწვერვალებზე აჩქამდეს გული,  
არწივის ფრთებით გადაჰკვეთოს შენი ლურჯი ცა.  
რა ქართველია – ყურძნის მტევანს თუ არ ეფერა,  
რა ქართველია – ვაზის ძირი თუ არ ილოცა.  
ვისიც შენს მკერდზე დარწეულა მუხის აკვანი,  
ვინაც შენს გულში სთქვა პირველად ღმერსიტყვა – დედა,  
რა ქართველია – მომაკვდავი ნახოს მამული  
რა ქართველია – თუ არა სთქვა მე მოვკვდე ნეტავ.  
ვისიც სახელიც წინაპართა სახელს გვაგონებს,  
ვისაც უნახავს წინოს თმებით შეკრული ჯვარი.  
რა ქართველია – მამულისთვის თავი არ დასდოს,  
სისხლის წილ სისხლით არ იყაროს მან მტერზე ჯვარი.  
ვინც ნახოს ციხე დანგრეული, ან დაბზარული,  
ციხის ბურჯიდან მორღვეული თუნდაც ერთი ქვა,  
რა ქართველია – გულმა ისე როგორ გაუძლოს,  
არ შეახორცოს ქვას კვლავ ციხე რომ არ დაარქვას.  
ვინაც ქეიფში გაათენოს თუნდ ერთი ღამე,  
ვინც ყანწით ხელში შეეგებოს თუნდ ერთ ალიონს,  
რა ქართველია – კავკასიონს ჯაჭვი არ შეხსნას  
და საქართველოს სადღეგრძელო მან არ დალიოს.

კოეზი

\* \* \*

ციცინათელები, ციცინათელები,  
დღისით უჩინონი ღამე ნათელები.  
ბევრი წვიმიანი, ბევრი ქარიანი,  
ბევრი მთვარიანი ღამე ნათელები.  
ცას ეჯიბრებიან ღამეულ ფიქრიანს  
და ასე დუმლიში დღეები მიჰქრიან.

კიაფობს ვარსკვლავი და მისი სინათლე  
ციცინათელების დარდი და ფიქრია.  
დღე რომ გათენდება დარი და მზიანი  
პატარა სანთლები ნეტავ რად ქრებიან?!  
იქნებ, სანამ მზეა მისთვის ლოცულობენ,  
მოვა უკუნი და მზედ აენტებიან.  
ციცინათელები, ციცინათელები,  
დღისით უჩინარნი, ღამე ნათელები.



მარიამ  
გოგაური

გასვლა ჭირს, მერე, რომ მიგეჩვენით,  
თორე შემოსვლა იყო ადვილი.  
ამ ცხოვრებასაც, ჩვენს ალაღბედზე,  
როდი მივყავართ სათნო კიბესთან,  
რჩეულთა ხვედრი მე არ მრგებია,  
შემომაბერებს ბოლოს ვინმესთან...  
პატიოსნებას ჩემულობს ყველა,  
მე უწმინდურის ნიღაბს მოვირგებ,  
მე ღმერთთან სავალ გზას ვეძებ, თორემ,  
არ ვდარდობ შენთან როგორ მოვიდე...

\* \* \*

მე ვარ სიჩუმე,  
მყუდროებას არასდროს ვარღვევ,  
არავინ მიცნობს,  
ვერვის შეხვედები სიჩუმის მნახველს,  
ვარ უტყვი სევდა...  
სიყვარულის თანამდევი სითბო,  
„არავინა“ ვარ,  
მხოლოდ სიჩუმის ნიჭი გამომყვია,  
ჩემს უტყვ გულისთქმას...  
ხან მზის სხივებში,  
ხან კი თოვლის ფიფქებში ვმაღავ,  
არაფერს ვითხოვ  
და თუკი მიხმობ...  
მე მოვალ და სიჩუმით მიცნობ.  
„არავინა“ ვარ.  
აღბათ ჩემი ლექსის მუზაც  
სიჩუმე იყო.

პასუხი...

ვფიქრობ, ადრეა,  
ნუ ისურვებ ჩემს შეფასებას,  
ვიცი ამაზე დრო იზრუნებს  
და თქვენ კი ვერა...  
მე, თავი ჩემი  
ღმერთს ვუძღვენი,  
რადგან ეკუთვნის,  
და იქვე ჰპოვებს მოსვენებას  
ამისი მჯერა...

\* \* \*

პატიოსნებას იჩემებს ყველა,  
მე უწმინდურის ნიღაბს მოვირგებ...  
სამყაროს სადღაც ჩასძინებია  
და იმ მორევში გონებას ითრევს,  
რა ბედენაა, რაც გინდ აკეთე,  
თუ მაინც ზომავთ თქვენნივ საზომით,  
ვინ რას გინოდებს, ჩუმად, ხმამაღლა,  
უმაღურობით, თუ გინდ მაღლობით.  
შემომალამდა წმინდა სენაკში,  
გულის კარები მრჩება გახსნილი,

\* \* \*

ცა ისე ღრმაა და ისეთი საჩინო,  
უფალო, ღვთიურ მადლს გენუკვი, მაღალო,  
მაუნყე ეს სული ვით გადავარჩინო,  
ან დილა-საღამო რა ლოცვით დავღალო...  
მოგელტვი, მოვსერავ შამბნარებს, ხრიოკებს,  
მომმადლე ნიჭი და ფრთოსანი სიტყვები,  
არ ვიცი ბობოქარ სულს რა დამიოკებს,  
როს ზემთაგონების ბილიკებს მივყვები...  
რაოდენ ბნელია და უნდო სამყარო,  
მე კი მსურს, უფალო, სინათლით ვიხილო,  
მუზებთან დობილი აროდეს გამყარო,  
ლექსებით დამტანჯე, რომ ტანჯვით ვილხინო...  
მომმადლე რწმენა და წყენათა შენდობა,  
რომ ერთი ნაბიჯიც არ დამცდეს უკვალო,  
შენს ბილიკს ვიდოდე, თუ მუზაც მენდობა,  
გულში კი შენ მყავდე უფალო! უფალო!

ყოველ წუთს და წამს ვლოცავ

გული გაფრენას ლამობს,  
 გული სიხარულს ელტვის,  
 გული შეხვედრას ჩქარობს, –  
 სათქმელს ვესწრაფი შენთვის...  
 მაგრამ შეხვედრის უმაღლ  
 ფიქრი აწყდება სარკმელს  
 და მავინყდება, თუ, რამ,  
 მნადდა, ვფიქრობდი სათქმელს...  
 მამშვიდებს შენი ხმაც და  
 შენი საუბრის სმენაც,  
 არ მოგვიშალოს განცდა –  
 ამ სიყვარულის ზენამ...  
 დრო მიზოზინობს, ცოცავს,  
 შენთან არა ვარ, როცა, –  
 მაგრამ ერთად ვართ, როცა, –  
 ყოველ წუთს და წამს ვლოცავ...

თინათინ  
მრელაშვილი



შეჩერება არ სურდათ,  
 მიჰქონდათ მათ, თითქოს, სადღაც,  
 ძველი ცეცხლი ასურთა...

საქართველოს რაო

მნიბლავს საქართველოს ცაო,  
 ნათელ შუბლზე ფიქრის კრთომა,  
 ხან, ღრუბლებს ჰფენ, ხან, ლაჟვარდობ,  
 თუ, ბუნებამ მოინდომა...  
 მე, ორივეს, გულით შევეტრფი,  
 წვიმაა, თუ, მზის თვალია,  
 შენით ვცოცხლობ, შენით ვმზებობ,  
 შენი მზერა მიხარია...

ღრუბლის ფრთები

მწვერვალს ღრუბლის ფრთები შვენის,  
 სახე უმკო ცას შუქმა...  
 დღეს მათ ღმერთმა საოცარი  
 სიქათქათე აჩუქა.  
 მაგრამ ღრუბლებს გზაზე დიდხანს



ეთარ ფაცურია

დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაციისა და საქართველოს მწერალთა კავ-  
 შირის წევრის, პოეტის, მწერლისა და პუბლიცისტის და პოეტთა და პროზაიკოსთა  
 გაზეთ „საქართველოს ლირიკის“ დამფუძნებლისა და მთავარი რედაქტორის ეთერ  
 ფაცურიას შემოქმედებას კარგად იცნობს დაინტერესებული საზოგადოება; იგი შვი-  
 დი ნიგნის ავტორია, სულ ახლახან გამოიცა მისი მერვე ნიგნი „იათამზე“ (რედაქტორი  
 დარეჯან კაპანაძე), მალევე გამოიცემა მისი მეცხრე ნიგნი – ლექსების კრებული  
 „მუხის ფოთლები“. ამ კრებულიდან მის ერთ ლექსს გთავაზობთ.

დანული დაფნა

როგორ მინდოდა,  
 ლურჯ ზღვაზე წუხელ  
 გამეველო ნავით  
 მთვარის სიცილში.  
 მემღერა ზღვისთვის,  
 დანული დაფნა  
 მხვეოდა ყელზე  
 და მხურებოდა  
 ნაზ ყვავილებით  
 მორთული ქუდი...



### ლაილა თარალაშვილი

დაიბადა 1937 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში. 1963 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აგრონომის კვალიფიკაციით. 1972 წელს მოიპოვა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 2008 წლიდან ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორია.

ლეილა თარალაშვილი, როგორც პოეტი, მურმან ლებანიძემ აღმოაჩინა, ვინც მისი პირველი წიგნის – „შენ გელოდები“, რედაქტორი იყო, რომელიც 1999 წელს გამოვიდა. 2004 წელს გამოვიდა მისი ლექსების მეორე კრებული „დაგვიანებული ყვავილები.“ ლეილა არის რვა პოეტური კრებულის ავტორი. ამჟამად გთავაზობთ პოეტის რამოდენიმე გამოუქვეყნებელ ლექსს.

### მე საქართველო როგორი მინდა?!

მართალი კაცი მზისებრ ნათობდეს,  
მალღივ მწვერვალზე რომ ადიოდეს!..

მე საქართველო ისეთი მინდა,  
ერი, ერთ მუჭად, ვნახო შეკრული,  
ალალი გულით, ქართული სულით,  
დროს მიჰყვებოდეს არ-რით ბედკრული...  
ქვეყნის ჩამოჭრილ მიწა-წყლის ყივილს  
მშვიდად ვერ ვუმზერ, – იკარგებოდეს  
და საქართველოს გამთლიანება  
მოქნილი სიბრძნით უნდა ხდებოდეს...  
მე საქართველო როგორი მინდა?  
გოჯი მიწაც რომ არ გაიყიდოს,  
მამულის მიწის კვლავ შემცირებას  
ერი გულგრილად არ მოეკიდოს...  
ენით, მამულით, საწმენოებით,  
მე საქართველო ისეთი მინდა:  
უპირველესად უნდა ზეობდეს  
მისი საქმე და სახელი წმინდა...  
მე საქართველოს ვნატრობ ისეთად:  
კაცი კაცობდეს, ქალი ქალობდეს,  
ყველგან, ბულბული, შაშვი გალობდეს,  
ქორი და ძერა ველარ ხარობდეს...  
ქართველი კაცი ლალი მარჯვენით  
ამაყია და ვაზის ტრფიალი;  
სამშობლო უყვარს, მიწის სურნელი,  
შრომის დიდება, შრომის ციალი...  
მე საქართველო ისეთი მინდა,  
რომ სიყვარულში არ ბერდებოდეს,  
ერი ზვიადი და ფრთებგაშლილი  
თავანუელი რომ დადიოდეს.  
მე საქართველო როგორი მიყვარს?  
ერი ღიმილით რომ დადიოდეს,

### საქართველო

ოჰ, საქართველო! ფერწერით  
ღვთით კურთხეულო ვენახო,  
გულგატეხილი ქართველი  
არა, არასდროს გენახოს!  
თავგანწირვისთვის მიგულე,  
სევდა რომ გაგინიავო  
და შემოგწირავ სულს და გულს,  
შენი ვარ ცვარნამიანო.  
მარად მსურს, ჩემო მამულო,  
ფრთებგაშლილმა რომ იარო  
და დროშა დავითიანის  
ნათებას კვლავ გვაზიარო!  
რომ გხედავ დაქუცმაცებულს,  
კალთებჩამოჭრილს, მამულო,  
არ ვიცი, რით გიმკურნალო,  
მუდამ ცრემლებით ნამულო!  
ისევ ღმერთს ვთხოვოთ შეწვენა,  
სიყვარული და წყალობა,  
რომ აღარ იყოს სისხლისღვრა,  
მშვიდობით ვინყოთ გალობა!  
რით შეგენიო მამულო?!  
სევდა რომ გაინიავო  
და ჩამოიხსნა მწუხარე  
პირბადე, გაიმზიანო.  
ამაყად, მუშტად შეკრულმა,  
ერმა, ერთობით ვიაროთ  
და დროშა დავითიანის  
ნათებას კვლავ ვეზიაროთ!





ნათია  
სლაჰინა

მოთხრობა „გმადლობთ, ღმერთო“ გამოქვეყნდა „ლიტერატურნაია გაზეტა“-ს 2016 წლის 20 აპრილის ნომერში.

### გმადლობთ, ღმერთო

ცხელმა შხაპმა სიცვიის შეგრძნება გაუქრო. თავზე პირსახოცმოსხვეული ქალი სამზარეულოში გავიდა, ტელევიზორი ჩართო, სააბაზანოში დაბრუნდა და ბიგუდები აიღო. მერე პირსახოცით თავის მასაჟი გაიკეთა და თმის ბოლოები შეიმშრალა.

– საღამო მშვიდობისა! გამოშვებას საგანგებო ახალი ამბით ვინყებთ. რამდენიმე საათის წინ, დომოდედოვოს აეროპორტში, ავარია განიცადა სამგზავრო თვითმფრინავმა რეისით, რომელიც ეკატერინბურგში მიფრინავდა, – ქალმა ტელევიზორს აუწია, – წინასწარი მონაცემებით მგზავრთა შორის არიან დაღუპულები. ინფორმაცია ზუსტდება.

დათოვლილ მინდორს აჩვენებენ, გარკვევით არაფერი ჩანს. კორესპონდენტმა წამყვანის სიტყვები გაიმეორა: „არიან დაღუპულები. ინფორმაცია ზუსტდება...“

ქალმა მობილურ ტელეფონს სტაცა ხელი.

– აბონენტი მიუწვდომელია ან გასულია მომსახურების ზონიდან...

კიდევ ერთხელ სცადა. კვლავ მიუწვდომელია.

ასე ნერვიულობა არ შეიძლება, ჯერ ხომ დაზუსტებით არაფერია ცნობილი. მართალია ურალში მიფრინავდა, მაგრამ იქ ხომ უამრავი ქალაქია. ჩელიაბინსკი, კიდევ რომელი ქალაქებია? ხო, ეკატერინბურგი... რეისით, რომელიც ეკატერინბურგში მიფრინავდა... ღმერთო, იქნებ უკვე ჩაფრინდა, ან ახლა მიფრინავს. სახლიდან დილაადრინანად გავიდა. დღეში ერთი რეისი ხომ არ იქნება.

ნომერი აკრიფა. ისევ მიუწვდომელია. სავარცხელი აიღო და თმაზე დაისვა. ტყუილად რატომ უნდა იღელვოს. რამე რომ იყოს უკვე დაურეკავდნენ. ბიგუდი! ბიგუდები სად არის? სააბაზანოში შეირბინა. არა, აქ არ არის. დაბრუნდა. სამზარეულოს მაგიდაზე აწყვია. საოცარია... ახალ ამბებს აუწია, თვითმფრინავზე არაფერი უთქვამთ.

დარეკა. მიუწვდომელია. თმის კულულების დახვევა დაიწყო. ტელეფონი აიღო, ნომერი აკრიფა:

– სემიონ! სემიონ, გამარჯობა! ანია ვარ, ვადიმის ცოლი. არა, არაფერი მომხდარა... ალბათ... მინდოდა მეკითხა, ვადიმთან ერთად დღეს მივლინებაში ხომ არ უნდა

ნასულიყავი... ააა... შვებულებაში ხარ? მაპატიე... არა, მინდოდა დამეზუსტებინა... მორჩა, დაისვენე. მაპატიე...

კულულები დაიხვია. კვლავ ტელეფონი აიღო. სადმე ხომ უნდა დარეკოს, რაღაც გაიგოს. რაღაც ხომ უნდა გააკეთოს... მაგიდაზე ნამცეცები ყრია... ვადიმმა ბუტერბროდებით ისაუზმა... ომლეტი უნდა გაეკეთებინა. გამუდმებით მშრალ საჭმელს ჭამს. ნამცეცები მაგიდიდან ხელისგულით გადანმინდა. სანაგვე ყუთი სავსეა. უნდა წაიღოს და გადააგდოს... ტელეფონი აუცილებლად უნდა გაიყოლოს. იქნებ დარეკონ... დარეკავენ...

ინფორმაცია ზუსტდება...

– გამარჯობა, ანია! – მეზობლის ქალს, დეიდა წინას ბებერი ტაქსა – ლორა სასეირნოდ მიჰყავდა, – სულ ჩქარობ.

– გამარჯობათ... რატომ ვჩქარობ?

– ერთი ბიგუდი დაგიხვევია.

– უი, მართალია... დეიდა წინა, ვჩქარობ!

– ვადიმი როგორაა?

– ვადიმი? ვადიმი კარგადაა... გავიქცევი! მართლა მეჩქარება...

– გაიქეცი შვილო. მაგრამ ძალიან არ იჩქარო... ხან გაჩერდი, ირგვლივ მიმოიხედე...

უნდა ვიჩქარო... მაგალითად, აეროპორტში უნდა დავრეკო. დაკავებულია... დაკავებულია! კიდევ სად დავრეკო?

– მილიციაა? ააა, პოლიცია? მითხარით, როგორ უნდა გავიგო თვითმფრინავის დაღუპულ მგზავრთა სია... დიახ, ვიცი... იქ დაკავებაა... კარგი, გმადლობთ.

დახმარება არ შეუძლიათ... რისთვის არსებობენ თუკი დახმარება არ შეუძლიათ?

საიტზე უნდა შევიდე... ესეც ასე. არც რეისი, არც ქალაქი, არაფერი ვიცი, არაფერი. საიტი ცარიელია. მათი თვითმფრინავი ჩამოვარდა, საიტზე კი სიტყვა არ წერია.

ხო, ბიგუდები. სააბაზანოში შევიდა. სად არის ბიგუდები? აბაზანა ჭუჭყიანია... ვადიმი დაბრუნდება და იტყვის: რატომაა ჭუჭყიანი? გავრეცხავ, გავრეცხავ, ძნელია თუ რა? წყალი მოუშვა... ჩაკეტა. დაბრუნდა, ტელეფონს სტაცა ხელი. ზარია შემოსული! ხო, ეს დედამისია...

– ხო, მეც გავიგე... მე არ ვიცი, დედა... რატომღაც ვნერვიულობ... არა, არა, არ ვიცი... კარგი, კარგი... მშვიდად ვარ, მშვიდად... დილით ადრე წავიდა... კარგი, კარგი... ნახვამდის... კარგი, გეუბნები...

ვადიმის ნომერი აკრიფა. გამორთულია.

მაგიდასთან მივიდა. გუშინ რაღაცებს იწერდა. იქნებ მივლინებაზეც ეწეროს რაიმე? რომელ ქალაქში წავიდა? რატომაა მუდამ ასეთი გულგრილი? არც ქალაქი, არც რეისი, არაფერი უკითხავს... ეს ის არაა, ეს ის არაა... თან გულდასმით უნდა დააღაგო – სანერკალამი იქით, ქალაღდები აქეთ, ფინჯანი უნდა აიღო... ხატს განმენდა უნდა. დედამ ქორწილში აჩუქა, საგვარეულოა...

ხატი ხელში დაიჭირა და დააკვირდა. ლამაზია. როგორი მშვიდი ფერებია. იესო ქრისტეს კი ისეთი თვალები აქვს, თითქოს სულში აღწევს და ხედავს შენს გულში რა ხდება. ქალმა ხატი მაგიდაზე დააბრძანა და მუხლებზე დაემსვა. ეს როგორ კეთდება? კარგი, არავინ მიყურებს...

მხოლოდ ის...

ხელისგულები შეაერთა და სწრაფ-სწრაფად აჩურჩულდა:

– ღმერთო! საყვარელო! საყვარელო ღმერთო! გთხოვ! გთხოვ, საყვარელო! ცოცხალი იყოს! მხოლოდ ცოცხ-



ღაგვანო

ალი იყოს... და ჯანმრთელი... რომ მხოლოდ ცოცხალი იყოს და ჯანმრთელი! კმარა, სხვა არაფერია საჭირო, საყვარელო! საყვარელო ღმერთო! გთხოვ! ასე მოახდინე!

ხატი აიღო. იესო ქრისტეს თვალებში ჩახედა. შეისმინა? შეისმინა, ალბათ... კოცნა საჭიროა? სად უნდა ვაკოცო? სახეში ხომ არა, ტუჩზე... როგორღაც უხერხულია... არ შეუხედავს, დახუჭული თვალებით აკოცა.

თითქოს შვება იგრძნო. ხატი ძველ ადგილას დააბრძანა.

ნამდვილად შვება იგრძნო. ალბათ, ვედრების ეს სიტყვები გონებიდან და გულიდან გადმოიღვარა...

ტელეფონი.

- ანია! - გაისმა ქალის ხმა, - ანია!

- დიახ, ანია ვარ.

- თქვენ ვადიმის ცოლი ხართ?

გულმა თითქოს ძლიერი დგუშიაო, გამმაგებული ძალით, მხოლოდ ერთხელ უჩხვლიტა და მაშინვე გაჩერდა.

- მე! მე! მე - ვადიმის ცოლი ვარ! რა არის? რა მოხდა?

- ისეთი არაფერი... ახალი არაფერია - ხმა იყო თითქმის მშვიდი, ოდნავ გაოცებული, - ასე რატომ ნერვიულობთ? მე... მე უბრალოდ მინდოდა თქვენთვის მეთქვა, ანია...

მუცლის ქვემოთ სიმხურვალე იგრძნო და მაშინვე რაღაც არასასიამოვნო წინათგრძნობამ იფეთქა. ყურმილის დადება მოუნდა, რომ ეს ხმა აღარასოდეს გაეგონა. ქალის საკვირველი ხმა... რაღაც გაუგებარი ტონი... ინტონაციები... ღმერთო, საყვარელო, გთხოვ! ხომ გაიგონე?

- დიახ!

- და საერთოდ, მინდოდა მეთქვა, რომ ის ჩემთანაა!

- თქვენთან? არაფერი მესმის... ვადიმი? თქვენ ურალიდან რეკავთ?

- ღმერთო! რატომ ურალიდან? აქედან, მოსკოვიდან

ვრეკავ, ვადიმი ჩემთანაა.

- ვადიმი კარგადაა? მივლინება?

- ჩემთანაა... კარგადაა... ორი წელია ერთმანეთს ვხვდებით... თითქმის... დიახ, თითქმის ორი წელია. უბრალოდ, მინდოდა მეთქვა, რომ ეს გცოდნოდა. ესეც ასე.

- შეიძლება ვადიმს დაველაპარაკო?

- არა, ის ახლა სააბაზანოშია. ბანაობს. ნახვამდის!

- ნახვამდის...

ქალის ტელეფონის ნომერს დახედა. ალბათ, როგორც ახალი კონტაქტი ისე უნდა დავამატო? ღილაკებზე თითის დაჭერას შეუდგა... რისთვის? რად უნდა ეს კონტაქტი... რატომ ბანაობს? დილით ხომ იბანავა... და მივლინება?

უცებ ბოლო ორმა წელმა ისე ჩაიქროლა, როგორც სწრაფად გადახვეულმა ფილმმა. მოულოდნელი გამგზავრება ხელმძღვანელობის დავალებით... კვლავ გვიან საღამომდე შეყოვნდა... რვა მარტს სამსახურში გამოიძახეს... ქალის ახალი სუნამოს ფლაკონი მის პორტფელში. დირექტორის დაბადების დღეა, ასე თქვა... და რა! ქალმა რატომ დაურეკა? ვადიმმა იცის ამ საუბრის შესახებ?

ქალი მის მაგიდასთან მივიდა, თითქოს უნდოდა მტკიცებულება მოეძებნა, რომ ყველაფერი ასე არ არის...

სისუსტე იგრძნო... დაილაღა... რაღაცისგან ძალიან დაილაღა... აბაზანის გარეცხვას დღეს ველარ შესძლებს... მას კვლავ გრძნობები მოეძალა.

აი, ხატიც. ანია მუხლებზე დაეშვა და ხატი კედელზე დააბრძანა. მერე უფალს თვალებში დიდხანს უყურა. თითქოს პასუხს ეძებდა. უცებ, იპოვა.

- გმადლობთ, ღმერთო... გმადლობთ... როგორც გთხოვე ყველაფერი ისე აღსრულდა... გმადლობთ, საყვარელო... იმედს მაინც არ ვკარგავ...

რუსულიდან თარგმნა აკაკი დაუშვილიამ



ნატალია აბრამცევა

კნუტის ზამთარი

(ზღაპარი თქვენი ბავშვებისთვის)

სოფლის განაპირას, ხის პატარა სახლში ბაბუა კნუტთან ერთად ცხოვრობდა. სახლში წრუნუნაც ბინადრობდა, თუმცა, ამ ფაქტს არც ბაბუა იმჩნევდა და არც კნუტი, თორემ მისი გაგდება მოუწევდათ - აბა ვინ აიტანს თავს სახლში?!

წრუნუნა უწყინარი და მშვიდი არსება გახლდათ. არ ხმაურობდა, მხოლოდ იატაკზე დაყრილ ნამცეცხვებს მიირთმევდა და კვლავ თავის სოროში ბრუნდებოდა.

ბაბუასთან, კნუტთან და წრუნუნასთან ერთად ოფოფიც ცხოვრობდა. სახლში კი არა, იქვე, ძველი მუხის ფულუროში. ჩამოსკუბდებოდა ხოლმე მუხის ტოტზე, ქოჩორსა და მარაოსავით გადაშლილ კუდს შეისწორებდა და ბაბუას აი ასე ესალმებოდა: „უდუ-უდუ-უდუ-დუ!“

ხის სახლის ფანჯრების წინ მშვენიერი ვაშლის ხე იზრდებოდა, სახელად აგრიპინა. ეს სახელი ვაშლის ხეს ბაბუამ დაარქვა. თუმცა, არავინ იცის რატომ. აგრიპინა გემრიელ ნაყოფს ისხამდა და, როგორც ბაბუა ამტკიცებდა, ჭკვიანი და კეთილი ხე იყო.

აი, ახლა ყველაფერი იცით და შემძლია ისე დავიწყო ამ ამბის მოყოლა, როგორც ნამდვილ ზღაპარს შეეფერება:

იყო და არა იყო რა, იყო ბაბუა კნუტით, წრუნუნა, მშვენიერი ოფოფი და ვაშლის ხე აგრიპინა. ცხოვრობდნენ მშვიდად: მზე ათბობდათ, მწვანედ მოხასხასე მოლი ახალისებდათ, ნაირფერი პეპლები თავს დაფარფატებდნენ.

თუმცა, სამ-ოთხ თვეში დღეები დამოკლდა, მზემ ძალა დაკარგა, წვიმა გახშირდა და ყველამ მოიწყინა.

ერთ დღეს ბაბუამ კნუტს ზურგზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

- არ იდარდო, პატარავ, მალე ზამთარი მოვა და გამხიარულდები.

„- ზამთარიო? ზამთარი ვინლაა?“ - გაიფიქრა კნუტმა, - „ჩვენთან რა უნდა? აქ უნდა იცხოვროს? როგორ დავეცე ერთ? თუმცა, თუ კარგი ვინმე აღმოჩნდა, სივინროვეს ავი-

ტან კიდევ... ნეტავ როგორია ეს ზამთარი?“

საქმეში გახლდათ, რომ კნუტი გაზაფხულზე გაჩნდა და ზამთარი ჯერაც არ ენახა.

– ვის ვკითხო ზამთრის შესახებ? – აფორიაქდა კნუტი და სწორედ ამ დროს ოფოფის „უდუ-უდუ-უდუ-დუ!“ შემოესმა. ხესთან მიიბრინა, ტოტზე აცოცდა და დაუძახა:

- ოფოფო, გთხოვ, დამეხმარე!
- სიამოვნებით. – უპასუხა ოფოფმა.
- მითხარი, ზამთარი ვინ არის?

– ოოო! – ოფოფმა ქოჩორი შეისწორა და მედიდურად დაინყო მოყოლა, – ყველაფერს თანმიმდევრულად აგის-ნი, პატარ კნუტო: ჯერ ერთი, რომ ზამთარი „ვინ“ კი არა „რა“ არის! მეორეც, ზამთარი პირადად ჩემთვის თბილი ქვეყნებია და მესამეც, სწორედ დღეს მივფრინავ იქ!

– ზამთარში? აი თურმე რამი ყოფილა საქმე! მამ ზამთარი ქვეყანაა?

– მგონი გასაგებად ვსაუბრობ! – გაბრაზდა ოფოფი, – პირველად ზამთარს რამდენიმე წლის წინ ვესტუმრე, მახსოვს, მაშინაც წვიმები მოხშირდა, პატარა ვიყავი და საშინლად დავიბენი, არ ვიცოდი სიცივეს როგორ გავმკლავებოდი, მაგრამ უფროსმა ჩიტებმა ამისხნეს: დროა გზას გავუდგეთ, წინ ზამთარი გველისო და გავფრინდით. ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ მწვანე პალმებიან და ლურჯ ზღვიან ქვეყანას მივალნიეთ, სწორედ მაშინ მივხვდი, რომ ზამთარი სწორედ იმ თბილ ქვეყანას ერქვა. გასაგებად აგისენი? – მკაცრად ჩაეკითხა ოფოფი.

– გასაგებად კი ამისხენი, მაგრამ... მაინც დავიბენი: შენ ამტკიცებ, რომ ზამთარში მიფრინავ, ბაბუა კი ამბობს ზამთარი თავად მოდის ჩვენთანო. ეჰჰჰ!.. ნავალ, აგრიპინასაც ვკითხავ.

– ნება შენია, – ამაყად აიქნია ქოჩორი ოფოფმა და „თავის ზამთარში“ გაფრინდა.

კნუტმა აგრიპინასკენ გასწია, მაგრამ ვაშლის ხე დაკავებული დაუხვდა: ბაბუას ტოტებს უწვდიდა, მოხუცს იოლად რომ მოეკრიფა არომატული და ხასხასა ყვითელი ვაშლები. როდესაც კალათა ვაშლებით გაივსო, ბაბუა სახლში შევიდა, კნუტი კი აგრიპინას მიეპარა, წინა თათები მიადო და ჩაიკრუტუნა:

- ეჰ, აგრიპინა, როგორც ჩანს, არაფერი გამეგება ამ ქვეყანაზე! იქნებ თქვენ დამეხმაროთ...
- სიამოვნებით, პატარავ.
- მითხარით, თუ შეიძლება, ვინ არის... არა, არა, ვინ კი არა, რა არის ზამთარი?

– ზამთარი „რა“ კი არა „ვინ“ არის, – შეუსწორა აგრიპინამ, – ვინაიდან იგი მშვენიერი ჯადოქარია, რომელიც ხანგრძლივი წვიმების შემდეგ მოზრძანდება და ხეებსა თუ ბუჩქებს საოცარი თეთრ ქურქით მოსავს. თავიდან ეს ქურქი ცივი გერყვება, მაგრამ მერე გათბობს და თანდათან ტკბილად და ღრმად გაძინებს. დიიდხანს, დიიდხანს გძი-

ნავს და ზღაპრულ სიზმრებს ნახულობ, ხოლო როდესაც გაიღვიძებ, ჯადოსნური თეთრი ქურქი აღარ გაცვია, სამაგიეროდ დასვენებული, ძალებმოკრებილი ხარ და სულ მალე საღ ფოთლებს, ლამაზ ყვავილებსა და გემრიელ ნაყოფს ისხამ. ზამთარი კი ამ დროისათვის უკვე სადღაც შოიორს, შოიორსა... გაიგე, პატარავ?

– გავიგე, გავიგე, მაგრამ, – კნუტი ჩაფიქრდა, – რასაც თქვენ ყვებით, სულაც არ გავს ოფოფის ნაამბობს. – თუ გსურს გაიგო ვინ არის ჩვენ ორს შორის მართალი, კიდევ ვინმეს ჰკითხე ზამთრის შესახებ, – ურჩია ვაშლის ხემ დაბნეულ კნუტს.

– მართალი ხართ, აგრიპინა! – გამხიარულდა კნუტი, თავის სოროსკენ მოკურცხლა და დააკაკუნა:

- ნრუნუნააა! ნრუნუნააა!
- თაგვი გაისუსა.
- ნრუნუნააა! ნრუნუნააა, გთხოვ, გამოდიი!
- მე აქ არ ვარ, ტყუილად მიძახი, – უპასუხა თაგვმა.
- ვიცი, ვიცი, – დაამშვიდა კნუტმა, – ვიცი აქ რომ არ ხარ, ბაბუამაც იცის და საერთოდ ყველამ, მაგრამ, მაინც გამოდი, ნუ გეშინია! რაღაც უნდა გკითხო, სხვას არაფერს გთხოვ.

- ნამდვილად?
- პატოსან სიტყვას გაძღვე!
- კარგი, კარგი, – ნრუნუნამ სოროდან ცხვირი გამოყოფა, – აბა, მკითხე!
- ზამთარზე თუ გსმენია რამე?

– ოოო, ზამთარიიი! – თაგვი სოროდან გამოცუნცულდა, – ზამთარი მშვენიერია, ეს... ეს... ეს... – აღფრთოვანებული თაგვი თავდავინყებით აცეკვდა კატის თათებთან – არც კი ვიცი როგორ აგისხნა... ზამთარი არის სითბო, ბუხარში მოგიზგიზე შეშა, ჩვენი ბუხრის გარშემო შეკრებილი პატარა გოგო-ბიჭები, როდესაც გასუსული და თბილად მოკალათებული უსმენ და უსმენ ბაბუას ზღაპრებს! – თაგვი უცებ შიშმა აიტანა და სოროში შეძვრა, – მორჩა, სხვა არაფერი ვიცი! – გამოსძახა იქიდან კნუტს.

სამწუხაროდ ვერც ნრუნუნას ნაამბობი დაეხმარა კნუტს იმის გარკვევაში, ვინ იყო მართალი – ოფოფი თუ აგრიპინა. დალონებული ზღურბლზე ჩამოჯდა და ეზოს გახედა: ქარი აგრიპინას ყვითელ ფოთლებს აფრიალებდა, ცოტა ხანში კი ისევ განვიმდა.

კნუტი დიდხანს ფიქრობდა მშვენიერსა და იღუმალ ზამთარზე, თან ნუხდა, ადამიანების ენა რომ არ იცოდა და არ შეეძლო ბაბუასთვისაც ეკითხა სინამდვილეში როგორი იყო ზამთარი. ცოტა ხანში ძილი მოერია, ბაბუას ფეხებთან მოკალათდა და მთქნარებ-მთქნარებით გაიფიქრა:

„– ნეტავ რას მიპასუხებდა ბაბუა? ეჰჰ, ვინ იცის...“

თარგმნა მაკა ლდოკონენა



ვლადიმერ მაიაკოვსკი

ლილიჩკა

წერილის მაგიერ

თამბაქოს ბოლი ამძიმებს ჰაერს,
ოთახი -
ტანზე კრუჩენიხის წყვდიადის მოცმა.
მახსოვს -
პირველად მოგიყვანე სარკმელთან
აქ მე
და მერე ხელზე გამმაგებით დაგინყე კოცნა.

ღაწკმანო

დღეს ზიხარ კუშტად,  
რკინის გული სითბოთი ვერ ძგერს.  
ვიცი, საცაა გამომაგდებ,  
ლანძღვაც მეყოფა,  
მღვრიე წინკარში მოცახცახე დიდხანს ვერ შევძლებ  
მჩატე პიჯაკის სახელოში ხელის შეყოფას.

გამოვვარდები  
და ჩემ სხეულს დავაგდებ გზაზე,  
დავკარგავ ჭკუას  
მე ველური - უფსკრულის კერძი;  
არა არ გვინდა ეს ძვირფასო,  
ნუ ვიზამთ ასე,  
მშვიდად დავშორდეთ  
დღეს ერთმანეთს ამასაც შევძლებთ,

ეს სიყვარული,  
სულ ერთია,  
ტვირთია შენთვის,  
თავს ვერ დაიძვრენ ნუ გარბიხარ-  
ნაგყვება ყველგან;  
ხმის დაკარგვამდე ვიღრიალებ,  
რაც სიტყვით ვერ ვთქვი  
და ამოვანთხევე საყვედურებს  
გულში რომ ფეთქავს,

ხარი რო შრომით დაიქანცება,  
ტბორებს დაეძებს-  
ჩანვება და შვებას ნახულობს.  
შენს გარდა არ მაქვს სხვა გასაქცევი  
და შენს სიყვარულს  
ტირილითაც ვერ ვიმსახურებ.

ბებერი სპილოც თვალს მოატყუებს, -  
ვარვარა მზის ქვეშ  
ცხელ ქვიშაზე გაიშობტება,  
შენს გარდა სხვა მზე  
მე არ მაბრუებს,  
მაგრამ არ ვიცი  
ვისთან ხარ და მიწვეს გოდება.

ბევრი პოეტი  
ამ ნამებას გვერდს აუვლიდა  
და საყვარელ ქალს დიდებაზე,  
ფულზე გაცვლიდა.  
მე კი არ მჯერა,  
შენს გარეშე შვება თუ არის,  
რომ არსებობდეს - მაინც არ მინდა.

უარი ხრამში გადაჩეხვას,  
შხამსაც ასევე  
და საფეთქელთან რევოლვერის  
სასხლეტს უარი;  
შენ, შენ მბრძანებლობ მხოლოდ ჩემზე  
და თვალს ასველებ.  
სხვა იარაღის შიში  
ცრუ არის.

ხვალ დაივინყებ,  
რომ გვირგვინი თავად დაგადგი,  
ავარვარებულ სიყვარულის ფერფლად დამტოვე;  
ატაცებული კარნავალის დღეთა ნავარდით  
ჩაანაკუნებს ჩემს წიგნებში ჩემს სიმარტოვეს,

ჩემი სიტყვების მშრალი ფოთლები  
გიმძიმებს სუნთქვას? —  
ჩერდები და ზეცას შეჰყურებ;  
და ფურცელ-ფურცელ  
გიახლოვდები  
და ვეფინები შენს ნაფეხურებს.

ფრაგმენტები

I

ვუყვარვარ? არა? - ვემკითხავები ჩემ თავს  
და ვიმტვრევ თითებს და იქით-აქეთ ვისვრი;  
და მიხაკები მაისის თვეში თენთავს  
ვარდის გვირგვინებს შეტბორებულებს ნისლით.  
მინდა ჭალარა აღმოაჩინოს ჩემი  
დალაქის ხელმა - დგას საამისო ჟამი;  
ვინ მომაშავებს ახლა ამნაირ ზეიმს  
და საორჭოფო გონიერების ამინდს.


II

უკვე ღამის ორია, დანექი და იძინებ,  
ცაში ირმის ნახტომი ვერცხლისფერი თვალია;  
მე შენ არ შეგაშინებ ტელეგრაფის ციმციმით -  
შენი გამოლვიძება ცოდვას და ბრალია.  
„ინციდენტი დამთავრდა,“ ამ დროს ასე იტყვიან,  
ნავი შეყვარებულთა უკვე დამსხვრეულია;  
ანგარიში გასწორდა, შუბლზე სიმწრის ხვითქია  
და ნუხილის ყულაბა მოტირალი გულია.  
გინდა ახლა სამყაროს დუმილს ყური ათხოვო,  
ღამე ცაზე ვარსკვლავებს მიჯრით ჩამოარიგებს;  
ძილ-ბურანშიც საუბრობ და სიტყვით იახლოვებ,  
ჩავლილ საუკუნეებს და მტვერნაყრილ თარიღებს.

III

ვიცი სიტყვების ძალა, სიტყვების ნობათს მივყვები,  
ამ სიტყვებს ვერ ეკარება ახლო ლოყების ტაში;  
მუხის კუბოებს მოთხრიან ხშირად ასეთი სიტყვები  
და მერე მუხის ფეხებით დააბიჯებენ ხალხში.  
ხანდახან იჭვით უმზერენ გამომცემელი მამები,  
მაგრამ არც ამას შეიმჩნევს, თავს აამგზავრებს მითებს;  
გადაიტანა რამდენი გაუსაძლისი ნამები -  
კვლავ პოეზიას ულოკავს მაზოლებიან თითებს.  
დროდადრო მართლა აკლდება ძალა და უფერულდება  
და ჩამოვარდნილ ფოთოლად ფეხში გასრესა ელის,  
მაგრამ კვლავ უნარჩუნდება თავდაპირველი უფლება  
ადამიანის ტუჩებით, სულით, სხეულით, ხელით.

თარგმნეს  
ზაალ ებანოიძემ  
და კონსტანტინე კიკნაძემ



### კოლ ალოდალი

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის პირველი ნახევრის დიდი ფრანგი პოეტია. მის შემოქმედებაში უხვად არის წარმოდგენილი რელიგიურ თემებზე შექმნილი პოეტური შედეგები. წინამდებარე თარგმანი პირველი შეხვედრაა ქართველი მკითხველისა ფრანგ პოეტთან.

### საგალონელი

მესა აღველინა, შევეუდგეთ უფალს, მაღლი ღვთისა გარდმოველინა.

*Procedamus in pace in nomine Domini .*

ვითარცა კეთროვანი, წყლულთაგან კურნებული, კვლავ ახალ ხორციტ აღიმოსების, ეგრეთვე კაციც შვებით აღივსების, ოდეს ცოდვათაგან განიწმინდების.

ვითარცა ელია, რომელ ოცდაათ დღეს ვიდოდა ჰერობისკენ, უფლისა მთისაკენ და სიყმილითა მიძალბებულმან მიიღო პური, ცეცხლზე შესანხლული,

და ვითარცა ებრაელნი, არგანით ხელში, აღასრულებდნენ წესსა სჯულიერსა და დაუჯდომლად მჭამელნი და ფეხშიშველნი ილტვოდნენ კრავად აღდგომისად,

ჩვენც, ვითარცა სოდომითგან ოტებულნი უხუცესნი, გარდასულ უამთა, რომელნი იფარვიდნენ რტოთა და კარავთა ქვეშე, ვილტვოდეთ, რამეთუ ამა სოფლად არა გვაქვს მარადიული სასუფეველი.

ამ დილით ტრაპეზს ვეზიარნით სახლსა მამისასა ჩვენისასა, ძენი რიცხვმცირენი ესოდენ დიდი სერობისა და ესოდენ კეთილშობილი გამასპინძლებისათვის,

რამეთუ თავად იგი არს ხორცი და სისხლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელიც, ვითარცა წერილს არს, ნებსითა თვისით აღესრულა ჩვენთვის, ცოდვილთათვის.

მცირედნი დავშთით მორწმუნენი, თუმცა უფრო ცოტანიც რომ ვყოფილიყავით, ჩვენი რწმენა ამით არ შეირყეოდა, რადგან უფლის აღთქმანი არ განქარდებიან, ხოლო სიტყვანი კაცისანი მხოლოდ ბოლია და ქარი,

ანაზდეული სიცილი, ვითარცა ტკრციალი ცეცხლში შთავარდნილ ეკალთა. ხოლო პური, რომელიც ჩვენ მივიღეთ, ხორცია და სისხლი

ძისა უფლისა.

მეუფეო, არ ვარ ღირსი, რომ ჭერი ესე გექმნეთ თეშესაფრად, მხოლოდ წარმოთქვით ერთი სიტყვა და თქვენი რჩეული განიკურნება

და ახლა მესა აღველინია, მაღლი იდუმალი გარდმოველინი. უფლისა სახელით მივაშუროთ კარს, რომელ განიხვნა ჩვენთვის.

ძნელია დატოვება იმა ადგილისა, სად დამკვიდრებულხართ თქვენსა სანანილეს და კვლად დადგომად ძველსა გზასა ქვიშიანსა და ვერაგობა-დაბრკოლებებით სავესე მინდვრებზე,

და ნაცვლად თქვენი უკვდავი სიტყვებისა, კაცთა გნისის მოსმენა, მაგრამ ჩვენ კვლავ გადიდებთ თქვენი ესოდენი ნებისათვის.

ნეტარ არს იგი, ვინც თქვენს ბარძიძს ეზიარა და ვისი გზებზე თქვენს საკურთხეველთან დასრულდა. ჩვენ კი წინ გვიძევს კვლავაც გრძელი გასაველი გზა.

აი, სოფელი ხილული, სადაც მარხია ჩვენი საერო ვალი, და თუ ძალმიძს იმ ვალის აღსრულება, სიყვარულით მოყვასისა და არა სიძულვილით მოყვასისა, და განძევებითა სიშმაგისა და უსჯულოებათა ყოველთა,

ათთა მცნებათა აღსრულებით, ვიდრე აქამდის ვასრულებდი, ლოცვად დგომით დილა-მწუხრზე და ყოველივესადმი მისი წილხვედრის მიგებით.

აი, დედამინა ოთხივ კუთხით მზისა და მთვარის ქვეშ, რომელთაც მოჰყავთ დღე და ღამე. დედამინა მთელი თავისი ნაყოფიერებით, ცით, თავს რომ ადგას და ზღვით, გარს რომ აკრავს.

მნამს, აქ არის ღმერთი, როგორი მიუწვდომელიც არ უნდა იყოს იგი ჩემთვის. ისე, როგორც ყველა თავის ანგელოზიანად ცად სუფევს იგი და ქალწულის უბნო გულში, ასევეა აქაც, რკინიგზის სადგურსა და ქარხანაში, სახლში, ჰაერსა და ღვინის სარდაფში.

აქებდეთ ცასა და დედამინასა და მეუფესა, აქებდეთ ღვანლსა დილისასა და საღამოისასა, მეუფეო.

**Kyrie eleison!**  
**Christe eleison!**  
**Kyrie eleison!**

ვითარცა გუნდი საყდრიონთა და მორწმუნეთა, რომელიც დილაუთენია ლიტანიობით ჩამოვივლის სოფლად და ლოცვათა წართქმით შესთხოვს უფალს, კურთხევა გარდმოუვივლინოს მხვენელ-მთესველთა ნამუშავეს და ჭირნახულის პირველ მწიფობას, ჩვენც ასევე ამა წინა დღესა ვიჩქაროთ დედამინისა და კეთილად დაგვირგვინებული წელიწდის წინაშე წარსადგომად, მწიფობისა ამ ბრწყინვალე დღესა მკობიდან რთვლამდე, ოდეს ყოველი იქმნა აღსრულებული, მარიაშმა, დედამ

ოსტავიანი

უფლისამ, მიიძინა თორმეტ მოციქულთა შორის და ანგელოზთა მიერ ზეცად იქნა ამაღლებული.

ხორბლის ერთმა მარცვალმა ათი ნაყოფი გამოიღო, მეორემ - სამოცი და მესამემ - ასი. მაგრამ სამოცი, ოცდაათი თუ ასი მიღწეული და აღსრულებული რიცხვია უკვე.

ყოველი საგანი ზღვარდებულია, ყოველი საგანი თავის ნაყოფშია ამონურული, ყოველი თესლი იმ თესლშია აღსრულებული, რომელიც მან წარმოშვა.

აი, მოაწია სამსჯავროს დღემ, ოდეს მეუფე განიკითხავს მთელ დედამიწას და ოდეს მზრუნველი ანგარიშს წარუდგენს თავის პატრონს.

უშიშრად ვიარებოდეთ ამ დიდი სამსჯავროს წიაღ, ჩვენთა ხელქმნილისა და მასზე გარდმოვლენილი კურთხევის იმედით.

და ვუნყოფეთ, რომ სახე სოფლისა წარმავალია, ვითარცა ნაყოფი მონეული, ჩვენ კი პირმშონი ვართ, თქვენი, მეუფეო, და თქვენი ქმნილების უტყუარი დასაბამი.

ჩვენი თავმოყრის ჟამიც მალე მოვა თქვენს კალოსა და ბეღელში, ოდეს უკვდავი უფლის დიდება იფეთქებს, ვითარცა ქუხილი ცისა,

ვითარცა ელვა, რომელ ერთბაშად ანათებს აღმოსავლეთიდან დასავლეთამდის. ასევე ძე კაცისა ოდეს გამოჩნდება ღრუბლებზე ამაღლებული, რათა განიკითხოს მიცვალებულები და ცოცხლები,

თავის მარჯვნივ დასხამს რჩეულებს, მარცხნივ კი-ვაცებს. მეუფეო, ინებეთ, თქვენს მარჯვნივ დაფხდე და არა მარცხნივ!

ჩემი საქმეა არა გავიგო, არამედ ვილოცო სიყვარულსა და თოთოლვაში. ინებეთ, გიხილოთ, მეუფეო ქრისტეო, ამ ცრემლებით სავსე თვალებით თქვენი მეორედ გამოცხადების დღეს!

ჩავარდით, წყეულნო, მარადიულ ცეცხლსა, რომელიც დემონისა და მისი ანგელოზებისთვისაა განმზადებული! მოდით, მამიჩემის რჩეულნო, და თქვენც, ვისაც გშიათ და გწყურიათ, დალიეთ და დანაყრდით!

წმინდაო დედა ღვთისმშობელო, ილოცეთ ჩვენთვის! ყველა წმინდა ანგელოზო და მთავარანგელოზო, ილოცეთ ჩვენთვის! ყველა წმინდა მოციქულო და მახარებელო, ილოცეთ ჩვენთვის! ყველა წმინდა მონამეო, ილოცეთ ჩვენთვის! ყველა წმინდა სწავლულო და მოძღვარო, ილოცეთ ჩვენთვის! ყველა წმინდა ქალწულო და ქვრივო, ილოცეთ ჩვენთვის! ყველა წმინდა დედაც და მამაც, ილოცეთ ჩვენთვის!

არაფრის გვემინოდეს ამ ქვეყნად, რადგან კაცნი ვართ და ყოვლისშემძლე ჩვენთან არს! და აღვემატებით პატარა ჩიტებს, რომელთაც თორმეტ

ცალს ერთ სუდ ყიდიან.

თუ ტვირთი ჟამისა მიძიეა და თუ კაცნი შეჭირვებულნი არიან, ეს მალე გაივლის, და ხვედრი, რის გამოც იტანჯები, მცირეა.

ნუ ზრუნავ შენი თავისთვის და ნურცა იმისთვის, რასაც სვამ და ჭამ, შეხედე ყვავებს, რომელნი არცა ხნავენ და არც მოსავალს აგროვებენ თავიანთ ბეღელში,

და მინდვრის შრომანებს, უფრო მშვენიერთ, ვიდრე სოლომონი თავისი დიდების ჟამს! განა ძალგის ერთი წყრთაც კი მიუმატო შენს სხეულს?! განა სახეს შეუძლია სარკის მოტყუება?

ნუ დრტვინავ თავისა შენისა გამო და ნურცა განადიდებ თავსა შენსა, არამედ უპირველესად ეძიებდე მეუფებასა და სამართალსა უფლისასა. სხვა დანარჩენი უმნიშვნელოა, ყოველსა დღეს თავისი მზაკვრობა ჰკმარა.

და ცხოვრება უფრო მეტია, ვიდრე საზრდო და სხეული უფრო მეტი, ვიდრე სამოსი. ზავითა ვარ შეკრული ყოველ არსებასთან, რომელიც კი ცისქვეშეთშია.

ჩემი ცხოვრების ნახევარი უკვე განვლილია და მის წინაშე სამუდამოდ ვალმოხდილი ვარ, იგი აღარასოდეს განმეორდება და ვჭვრეტ ჩემი გზისა და დღის დასასრულს.

აი, ჩემს წინაშეა სამყაროს დასაბამიდან დღემდე ყველა მამამთავარი და წმინდანი თავიანთი მოდგმის უწყვეტი მდინარებით.

Abraham genuit Ysaac, Ysaac autem genuit Yacob, Yacob autem genuit Yudam et fratres ejus. Et post multas generationes Yacob iterum genuit Yoseph virum Mariee qua natus est Christus.

აი, ჯვარცმული წმინდა პეტრე და წმინდა პავლე ჩემი პატრონი, რომელმაც დანერა წიგნი მესასი და თავი მოჰკვეთეს ნერონის იმპერატორობის ჟამს.

აი, სათნოებითა და ძლიერებით აღსავსე ეტიენი და ყველა მარტვილი, წარმართნი და ურიანი და მწვალებელნი, რომელთა სახელები ცად არის აღბეჭდილი და ჩვენს დიპტიქებზე სწერია.

აი, სჯულისმდებელნი, აი, ყველა საეკლესიო კრების სწავლულნი, პაპები, რომელთაც ალაგმეს შმაგი ტირანები და ბედშავი და გონებაჩლუნგი მდაბიონი.

რადგან ჩვენთვის არ ჩაგიგონებიათ, უფალო, სხვისი დაჩაგვრა, არამედ არ დაეჩაგვრინოთო სხვას! და გაუფრთხილდითო ხელუხლებლად რწმენას, რომელიც ჩავიბარეთ.

აი, უსაზღვროება ძმათა ჩემთა ყოველთა ცოცხალთა და მიცვალებულთა, ერთსულოვნება კათოლიკეთა; ისრაელთა თორმეტი თემი შეკრებილი და სამი ეკლესია ერთ ბაზილიკად შეკრული;

აი, სამყარო, ძლეული და სატანა აღზევებული;  
აი, იერუსალიმი, წმინდა ქალაქად აღმენებული;

აი, ზმანება მშვიდობის სუფევისა, სადაც ყოველი  
ცრემლი წარხოცილია,  
გლახაკნი განდიდებულნი და უნუგეშონი შვებით  
მოსილნი.  
მე ვჭკვრეტ ამ დაუჯერებელ ამბებს.

აი, კალენდრის ყველა წმინდანი წელიწადის ოთხივე  
დროისა:  
ყინულისა და ლადარის წმინდანები, და ისინი, ვინც  
იტყობინებთან პირუტყვისა და სათიბების ბედს.  
წმინდა მედარი და წმინდა ბარნაბე, სუასონელები,  
წმინდა კრეპენი და კრეპინიანი.

წმინდა მარტენი და მეზვერეთა წმინდა ვინცენტი,  
წმინდა მაკრი ფერ-ან-ტარდენუელი, რომელიც არის თვით  
ამ დაბის დღესასწაული  
და წმინდა ლუსი დეკემბერში, ოდეს ყველაზე მოკლეა  
დღე.

მოვა დღე იგი, ყველაზე დიდი, რომელ იქნება დღეი ჩემი  
აღსასრულისა,  
მოვა დღე იგი, ბნელით მოცული, ოდეს გადავლახავ  
სიკვდილის ზღურბლსა!

დღე იგი, ოდეს სული ჩემი არ იქნება ტარტაროსისაგან  
შთანთქმული  
და რომ მიქელ მაუნყებელი მას დაავანებს აბრაამის წილ!

რისი უნდა მეშინოდეს, ოდეს ჩემს წინ ვხედავ ყველა  
მარტივს და ყველა იმათ, ვინც თავიანთი დიდი ვალი  
მშვიდად განასრულეს  
და კრებულს ყველა დედათა და დათა ჩემთა და ყველა  
კეთილშობილ მანდილოსანთა, რომელნიც უდრტვივულად  
აღესრულნენ.

ისინი ჩემ წინ მიდიან მოკრძალებული ღირსებით,  
ზოგჯერ რომელიმე მათგანი ჩემკენ იბრუნებს პირს და  
შემომყურებს ზეციური შუქით გასხივოსნებული  
თვალებით.

ანასტაზი და აპოლინი, უკვდავი და ნეტარცხებული  
და ემერენტიელი ლურჯთვალა ნუკრი ცეცხლოვანი  
თმით და მწითურ წამწამთა ჩეროთი.

და წმინდა მღვდელი, აღსარება ვისაც ვუთხარი იმ  
გარდასული, სევდიანი შმაგ წლების მერე.  
ვხედავ ჩემს გარდაცვლილ წინაპრებს, შემომყურებენ  
მშვიდი ღიმილით!

მეუბნებიან: ჩვენ მოგვეყო, ძეო ჩვენო სისხლისმიერო და  
ჩაიბარე მემკვიდრეობა შენი კუთვნილი  
და დაიცავი ნათლობის ფიცი და ღირსება ქრისტიანული  
შენი სახელის.

ჩემს უკან ვხედავ, რაიც ჩემთან ერთად დაინყო, ეს ერთი  
ნელი, თვე და დღე არის,  
ყოველი, რაიც ჩემთან გრძელდება და ჩემთან არის  
სამარადისოდ.

უკან ვიყურები და ვხედავ განვლილ წლებს და ყოველ  
ჩემს ნამუშავეს, ავსა თუ კარგს.  
ავისა გამო სირცხვილი მიპყრობს, ხოლო კეთილს კი  
ველარ ვიხსენებ.

ყოველი ავი წარხოცილია უფლისა სისხლით და  
სინანულით.  
და თუ მიქნია რამე კეთილი, ღმერთმა ანიჭოს დაე,  
სიმრავლე!

ჩემს უკან ვხედავ ყოველ იმ საქმეს, რომლებიც  
გავასრულე და ახლა იწყებენ სიცოცხლეს,  
ნორჩი ჯეჯილი ძალუზად მზარდი და მოდგმა ჩემი,  
კვალში რომ მომდევს.

სიმშვიდეს გავცემ და თავადა ვგრძნობ ზავის სუფევას,  
გარდმოვლენილს უცნობ ძმათაგან.  
დაე, უფალო, ისინიც ჩემთან ერთად ამაღლდნენ თქვენს  
საგანძურში, როგორც იზრდება ქირანახული  
ერთსულოვანი.

ვით იმ მიწაზე, სადაც მე გავჩნდი, ლალად იზრდება  
თვალგაუნვდენი ზღვა მოსავალი,  
იქ სადაც ეზნი და უაზნი ერთუთოს ერწყმიან  
უდრტვივულად, ვით მეუღლენი ღრმა სიყვარულით.

თანამეცხედრეს ჩემსას ვხედავ ჩემს სიახლოვეს და  
პირმშოს ჩემსას, გაბრწყინებულს და მოზეიმეს,  
რომელიც მძლავრად ფეხსა სცემს აკვანს და ამომავალ  
მზეს შეჰკისკისებს.

მზეს შესჭიკჭიკებს აღმობრწყინვალეს პატარა გული,  
უცოდველი სიხარულით გარდაცხებული,  
რამეთუ ღმერთმა შობა არა სიკვდილისათვის, არამედ  
ხილვად ამქვეყნიურ სიცოცხლისათვის!

გაქებთ, უფალო, გადიდებთ და გეთაყვანებთ,  
მადლობას გწირავთ ესოდენი დიდებისათვის!

მადლობას გწირავთ ფეხზე დგომით, მდგომიარე ორივე  
ფეხით იმა მიწაზე, მე რომ წარმომშვა,  
დღევანდელ დღესა, რომელ არ არს არც გუშინდელი, არც  
ხვალინდელი, არამედ არის დღე დღევანდელი.

მწამს შეუცვლელად წერტილისაც კი, რაც ჩემზე ადრე  
მამა-პაპამ ირწმუნა ჩემმა  
და ვალიარებ კაცთა მაცხოვარს და იესო ქრისტეს,  
აღესრულა რომელიც ჯვარცმით

და ვალიარებ მამასა, რომელ არს ღმერთი, და ძესა,  
რომელ არს ღმერთი, და წმიდასა სულსა, რომელ არს  
ღმერთი,  
და მაინც არა სამსა, არამედ მხოლოდ ერთსა ღმერთსა,


და მამასა, რომელ არს უკვდავი, და ძესა, რომელ არს  
უკვდავი და წმიდასა სულსა, რომელ არს უკვდავი,  
და მაინც არა სამსა უკვდავსა, არამედ მხოლოდ ერთსა  
უკვდავსა,

და მამასა, რომელ შობს და ძესა, რომელ შობილ არს და  
ცხონდის  
და წმიდასა სულსა, რომელ არა შობს, არცა შობილ არს,  
არამედ გამოდის მამიდან და ძიდან. \*

1907 წ.

\* – მოცემულ შემთხვევაში, მრწამსის ეს ფორმულირე-  
ბა გამომდინარეა ავტორის კათოლიკური სარწმუნოე-  
ბიდან – რედაქტორი

კუგლთსთსტკა



მღვდელი ილია რიხვანიძე

მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურული აზროვნების კონტურები



იტერატურული აზროვნება, როგორც სტილი, აზროვნების თავისებურება, ისევე როგორც სხვა სახის აზროვნებები, ფილოსოფიური, მათემატიკური და ა. შ. მოიაზრებს გარკვეულ სისტემათა ერთობლიობას. ეს სისტემა გულისხმობს საკითხებთან და მოვლენებთან მიდგომის თავისთავად მეთოდოლოგიას, რომელიც როგორც ერთგვარი სისტემა, ასევე აზროვნების თავისებურებებით ხასიათდება.

ქართული ლიტერატურა ძველთაგანვე ის თავისებურებაა, რომელმაც შეძლო ეპოქალური ფორმირების უმძიმესი პროცესების წარმართვა და სხვა და სხვა ეპოქაში არსებული სულისკვეთებების ლიტერატურულ თხზულებებად გადმოცემა.

მეცხრამეტე საუკუნე მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით უმძიმესი საუკუნეა. საუკუნესა და ეპოქას შორის არსებობს ზღვარი. ეს ორი ცნება სავსებით არ გულისხმობს იგივეობას. საუკუნე ქრონოლოგიურად დროის აღმნიშვნელი პირობითობაა, ეპოქა, კი მსოფლმხედველობრივ სივრცეს, გარკვეულ იდეოლოგიურ ნიშნულს გულისხმობს.

მეცხრამეტე საუკუნის დადგომამ საქართველოს მტკიცენიული ეპოქალური ძვრები მოუტანა, რაც ქმედითად აისახა ეროვნული ცნობიერების ყველაზე მძლავრ გამოვლინებაზე – მწერლობაზე. არსებულმა კატაკლიზმურმა ეპოქამ, – რომელიც უკავშირდებოდა ცარისტული თვითმპყრობლური რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას და აქამდე, საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტო მოვლენას – საქართველოს სამეფო და საკათედრო ტახტის გაუქმებას, – გამოვლინება პირველად რომანტიულ განწყობილებაში ჰპოვა, ამ რომანტიული და არა რეალური ხედვის შედეგი იყო 1932 წლის შეთქმულების დამარცხებაც; ამ ვითარებებმა, მისმა მდგრადმა არსებობამ საზოგადოებაში შვა ისეთი დიდი პოეტური მოვლენები, როგორიც იყვნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე,

გრიგოლ ორბელიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი. ამ უკანასკნელმა რომანტიზმის მწვერვალზე ყოფნის მიუხედავად, ყველაზე მძაფრად დასვა მოვლენათა რეალური ხედვისა და არსებულ რეალობასთან დაბრუნების აუცილებლობის საკითხიც:

„მაგრამ რადგანაც, კაცნი გვექვიან, შვილნი სოფლისა, უნდა კიდევცა მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა, არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!“

ეს თვალთახედვა, ანუ აზროვნების რეალისტური სტილი, ითვალისწინებდა არსებული რეალობის გააზრებას, გამოსავლის ძიებას და რომანტიულ-ეიფორიული მდგომარეობიდან რეალურ ცნობიერ მდგომარეობაში გადასვლას. საზოგადოებაში არსებული ეს პროცესი, კარგად აისახა მწერლობაში... მწერალი ერის შვილია, საზოგადოებრივ ურთიერთობაში მონაწილე ინდივიდიუმია, მსოფლმხედველობრივად და სულიერად დაკავშირებულია თანამედროვეობის განვითარების პროცესთან, მის დინამიკასთან.

საზოგადოებრივი აზროვნება ყოველთვის არის სოციალური ფონის ამსახველი რუქა, სადაც კარგადაა გამოკვეთილი ეპოქაში საზოგადოებრივ ურთიერთობებში არსებული პრობლემები და მათი დაძლევის გზები.

ლიტერატურა ამ აზროვნების მაფორმირებელი ზედნაშენი პროდუქტია, რომელსაც ძალუძს არათუ ასახოს რეალობა, არამედ შექმნას საზოგადოებრივ-მსოფლმხედველობრივი ბაზაც, ანუ შექმნას ეპოქა: სწორედ ამ შემოქმედებითი პროცესის ამსახველია გამოთქმა: „ეპოქალური მწერალი“, ეპოქალური ნაწარმოები“ და ა. შ. მიუხედავად რომანტიკოსების დიდმასშტაბურობისა და უბადლო ნიჭიერებისა, ეპოქალურობა მეცხრამეტე საუკუნეში წმიდა ილია მართალს დაუკავშირდა.

დიდი მწერლები, უმეტესწილად საკუთარი ნიშნით აღბეჭდავენ ხოლმე ეპოქის თავფურცელს და ისტორიას სახელოვნად გადაეცემიან. წმიდა ილია მართალმა კი თავად შექმნა ეპოქა და ამ ეპოქაში აცხოვრა საქართველო.

„წუთისოფელს თუ ერთი ბენო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსაო“. – რეალიზმის პრინციპის ეს ლიტერატურულ-მწერლური ფორმულირების კლასიკური მაგალითი გვიდასტურებს ბარათაშვილისა და წმიდა ილია მართლის მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისის გენეტიკურ კავშირს მოვლენების რეალისტური ხედვის თვალსაზრისით.

ბარათაშვილის რომანტიულ-რეალისტური კონტურები წმიდა ილია მართალმა მკვეთრად გაამყარა პოეტურ, პროზაულ და პუბლიცისტურ თხზულებებში, თავისი ცხოვრების ნესით და პრაქტიკული საზოგადოებრივი საქმიანობითაც თავადვე შექმნა ეპოქა და ეპოქალური აზროვნების სტილი სავსებით დაუქვემდებარა მოვლენების რეალისტურ ხედვას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია, ადამიანმა, ერმა, საზოგადოებამ გააღწიოს პრობლემათა ლაბირინთული ხლართებიდან და მოიპოვოს თავისთავადი, თავისუფალი, გარემო მოცემულ მასშტაბსა თუ ვითარებაში.

### ფლეები ახლო წარსულისა



ედოფლისწყაროს რაიონის სოფელი სამრეკლო(ყოფილი ჯაფარიძე) საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. როგორც ცნობილია, აქ მოსახლეობა წინათაც ყოფილა გარკვეული რაოდენობით. ამ მიდამოებში შემთხვევითი გათხრების-დროს აღმოჩენილი ქვევრები და სამარხები მოწმობენ, აქ ოდესღაც ყოფილა ქართული სოფელი, რომელიც შემოსეულ მტერს შეუმუსრავს და მიდამო გაუდაბურებულა.

ამ ადგილზე დასახლების შექმნა დაახლოებით ორასი წლის წინა პერიოდს უკავშირდება .კერძოდ, XIX საუკუნის 50-იან წლებში რუსეთის იმპერატორს ნიკოლოზ პირველს სერგი ზაპოროჟიედან აუყრია მეფის ურჩი კაზაკები და შორეულ სამხრეთში(ზოგნი ამ მხარეს სამხრეთ ციმბირადაც მოიხსენიებდნენ), თბილისის გუბერნიის განაპირა სოფელთან დაუსახლებია. 1803 წლიდან, როდესაც გენერალ გულიაკოვის ხელმძღვანელობით საქართველოში შემოვიდა რუსული იმპერიის ჯარის ნაწილები, რამოდენიმე ათეული წელი იყო უკვე გასული და გარდა პოლკის დისლოცირების ადგილებისა, საზაფხულო – დედოფლისწყაროში და ზამთრისა – ყარაღაჯში, უკვე დასახლებებიც იყო შექმნილი. მაზოვკისა და ანტირელიის(ეს დასახლება მომდინარეობს არტილერიადან, რისი საჯარო ნაწილებიც ერთ პერიოდში იქ იყო განლაგებული) სახით.

ჩამოსახლებულ კაზაკებს საცხოვრებლად აუშენებიათ ჩაღლით დახურული ფიცრული შენობები, ეგრეთწოდებული „სეჩები“ და სოფლისათვის სეჩინოვკა(ახალი სეჩი) უწოდებიათ. ეს სოფელი ლამის ასი წლის განმავლობაში ხალხში ამ სახელით მოიხსენიებოდა.


სოფელში გასულის საუკუნის 60-იან წლებამდე ცხოვრობდნენ კაზაკური წარმოშობის ოჯახები: კუკლინები, ჩაუსები, კულაგინები, მუჟირენკოები, გორბადენკოები, სეროვები, მახორტოვები, გორბენკოები, კოზლოვები, გრეცკები, ლავრიჩოვები და სხვები. ამჟამად სოფელში, მათგან, მხოლოდ ორი ოჯახია: კოზლოვები და მუჟირენკოები. მათგან გვარის გამგრძელებელი მხოლოდ მუჟირენკოებს ჰყავთ(რძალი ქართველია).

1918 წლიდან სოფელში დასახლება იწყეს ზემო მაჩხანელმა და მირზაანელმა გლეხებმა. რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის 1 მაისს, სასოფლო კრებაზე, რომელსაც მაშინ „სოფლობას“ უწოდებდნენ, გლეხობამ სოფელს რევოლუციონერ ალიოშა ჯაფარიძის პატივსაცემად ჯაფარიძე უწოდა. თუმცა გასული საუკუნის ბოლოს განვითარებული მოვლენების შედეგად ღირებულებები გადაფასდა. 2011 წლის 15 მარტს ჩატარდა სოფლის მოსახლეობის კრება, რომელმაც დაადგინა, რომ სოფელს „სამრეკლო“ უნდა ეწოდოს. დღეს სოფელი ამ სახელითაა ცნობილი.

იმდენად რამდენადაც ჩემთვის ნაცნობი და უფრო მეტად ხელმისაწვდომი სოფლის განვითარების სოციალისტური პერიოდი იყო ამ წერილში, უფრო ვრცლად, სწორედ მასზე ვისაუბრებ.

ჯაფარიძელებს დიდი შრომა და მთელი რიგი წინააღმდეგობების გადალახვა დასჭირდათ ცხოვრების ნორმა-

### იველი ყოჩიაშვილი




ლულარდ წარმართვისათვის. 1923 წლისათვის სოფელში არ არსებობდა პირველადი პარტიული ორგანიზაცია. ამ წელს ჩამოყალიბდა კომკავშირული უჯრედი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ბოსტოლანაშვილი სიმონა (უჯრედის მდივანი, დაბადებული 1906 წელს), ღვინიაშვილი ნიკო(დაიღუპა დიდ სამამულო ომში) და ბერიძე ნიკო (შემდეგ თბილისში ცხოვრობდა).

როგორც აღვნიშნეთ, 1923 წლისათვის სოფელში პარტიული ორგანიზაცია არ არსებობდა, თუმცა პარტიის წევრები იყვნენ: ბოსტოლანაშვილი ივანე (პარტიის წევრი 1917 წლიდან) და ყოჩიაშვილი სოლომონი (ქვეხა). ისინი გაერთიანებული იყვნენ ნითელწყაროს თემკომში. თემკომის მდივანი იყო ვანო მახარაშვილი. პირველი პარტიული ორგანიზაცია ჯაფარიძეში შეიქმნა 1938 წელს იგი 10 წევრს აერთიანებდა, ხოლო მდივანი იყო სიმონა ბოსტოლანაშვილი.

რაც შეეხება კომკავშირულ უჯრედს, მისი მოვალეობა იყო აღეზარდა და მიეღო წევრები ორგანიზაციაში, დაეცვა რევოლუციის მონაპოვარი. კომკავშირელების ვალი იყო სოფლად აგიტაციის განევა, ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციისათვის. გეგმაში გათვალისწინებული ჰქონდათ კერძო მეურნეობებიდან „ამხანაგობაზე“ (მინის დამამუშავებელი ორგანიზაცია) გადასვლა. „ამხანაგობა“ 1926 წელს ჩამოყალიბდა. მასში 15 ოჯახი შედიოდა, მათ შორის კომკავშირელებიც. გათვალისწინებული ჰქონდათ დაქუცმაცებული მეურნეობების გაერთიანება და კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლა.

კომკავშირის უჯრედის თაოსნობით 1926 წელსვე ორგანიზაცია გაიზარდა 90 კაცამდე. კომკავშირელები გაჭირვებულ ოჯახებს ნაკვეთების დამუშავებაში ეხმარებოდნენ. ორგანიზაცია ცდილობდა განუთავის გაფრცელებას. ამ დროისათვის სოფელში 1 „კომუნისტი“ და 5-6 „ახალგაზრდა კომუნისტი“ ვრცელდებოდა. გათვალისწინებული ჰქონდათ საღამოებისა და წარმოდგენების მოწყობა. ამ საქმეში აქტიურობდნენ ქალებიც: მასწავლებელი ქრისტინე ზურიკაშვილი, კატო ბოსტოლანაშვილი და სხვები.

კომკავშირში შესვლის წესი ასეთი იყო: შესვლის მსურველი წერდა განცხადებას უჯრედში, მას იხილავდა



ბოსტოლანაშვილი სიმონა



დედოფლისწყალის ისტორიიდან

ქვერაკომი და ამტკიცებდა სიღნაღის სამაზრო კომიტეტი.

სოფელში ძირითადად საშუალო გლეხები ცხოვრობდნენ, მათ ადებდნენ ბეგარას. კომკავშირი ცდილობდა ეს გლეხები კოლმეურნეობაში გაეერთიანებინა. თუმცა მონინააღმდეგეებიც ჰყავდათ: ღვინიაშვილი მიხო, ჩიბუხაშვილი შაქრო...

რევოლუციამდე სოფლის მამასახლისი ყოფილა ივანე ბოსტოლანაშვილი. ხოლო სოფლის კოლექტივიზაციისათვის აქტიური მეზობლები იყვნენ: 1. კიკილაშვილი



მარჯვნიდან პირველი ზის ნიკო ყოჩიაშვილი

ფორე, 2. ბოსტოლანაშვილი სოლომონი(მან 1926 წელს ჩამოაყალიბა მინათდამამუშავებელი ორგანიზაცია – „ამხანაგობა“ და მასში 10 ცაკი გააერთიანა. იგი ნითელწყაროს ბანკის მმართველადც მუშაობდა), 3. ყოჩიაშვილი გიორგი, 4. ყოჩიაშვილი შაქრო(იგი გაუამხანაგდა ძმებს: ისაკა, მამიკონა და ვანო ოგანჯანოვებს და თავისი კუთვნილი წისქვილი და სალენი მანქანა გაერთიანებაში შეიტანა), 5. ბენაშვილი ალექსა, 6. ოგანჯანოვი ისაკა(მან პირველმა შემოიტანა სოფელში „ფორზონის“ მარკის ტრაქტორი 1927 წელს. იგი ამავე დროს იყო კოლმეურნეობის ბუღალტერიც და ტრაქტორისტიც), 7. ბოსტოლანაშვილი გიორგი, 8. ყაჭაშვილი გიორგი, 9. ბოსტოლანაშვილი გიგო, 10. ბენაშვილი შაქრო.

კომკავშირული და პარტიული მოძრაობის ვეტერანი – ივანე ბოსტოლანაშვილი, პირადად იცნობდა ფილიპე მახარაძესაც და მიხა ცხაკაიასაც.

ყოჩიაშვილი ივანე(ციცა ვანო) იყო ამიერკავკასიის ცაკის(ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი) წევრი. ამ დროს ცაკის თავმჯდომარე იყო ფილიპე მახარაძე.

ივანე ყოჩიაშვილმა 1929 წელს სოფლის ბოლო უბანში ჩამოაყალიბა კოლმეურნეობა „ცხოვრების გზა“. მასში გაერთიანებული იყო 29 ოჯახი. ამ კოლმეურნეობაში შედიოდნენ „ამხანაგობის“ წევრებიც. შემდეგ კოლმეურნეობა დაიშალა და დარჩა ისევ „ამხანაგობა“.

ჯაფარიძეში კოლმეურნეობა დაარსდა 1930 წელს, მაგრამ მალევე დაიშალა. კოლექტივიზაციის პირველ პერიოდში ხალხი დარწმუნების მეთოდით კი არ გააერთიანეს, არამედ ზოგჯერ ნაძალადევადაც(სწორედ ამ დროს გამოვიდა სტალინის შრომა „თავბრუდახვევა წარმატებისაგან“). გლეხთა ნაწილი(ბენაშვილი გიო, ლეკაშვილი ბასა, ღვინიაშვილი მიხა, ჩიბუხაშვილი შაქრო) კოლმეურნეობაში არ გაერთიანდა. ჯგუფის ხელმძღვანელი იყო გიო ბენაშვილი. ეს ხალხი კოლმეურნეობის მონინააღმდეგეები იყვნენ, რისთვისაც დააპატიმრეს. შემდეგ,

სოფლის მოსახლეობის შუამდგომლობით, გაათავისუფლეს. სოფელში განვითარებული მოვლენების ნიადაგზე 1930 წელს ხალხში სააგიტაციოდ და მღელვარების დასაწყნარებლად ნითელწყაროში ჩამოვიდნენ ამიერკავკასიის ცაკის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე და მისი მდივანი კობახიძე. მათ ჩამოსვლას ის შედეგი მოჰყვა, რომ ხალხი დაშოშმინდა და ყოველგვარი მსხვერპლის გარეშე, ვისაც არ სურდა კოლმეურნეობაში გაერთიანება თავისი წილი გამოიტანა. ამ საკითხს ორგანიზებას უწევდა ადგილობრივი კომკავშირული უჯრედი. ამ დროისათვის კომკავშირს უკვე საკმაო ძალა ჰქონდა.

კოლმეურნეობა განახლდა 1933 წელს, რომლის თავმჯდომარეც გახდა ფორე კიკილაშვილი. იმ დროს სოფელი თითქმის მთლიანად გაერთიანდა კოლმეურნეობაში. უღარიბესმა გლეხობამ, საშუალო გლეხობაზე დაყრდნობით, კოლმეურნეობისაკენ პირი იბრუნა. შეიქმნა ორი კოლმეურნეობა: „შრომა“ და „ნითელი ოქტომბერი“. „შრომის“ თავმჯდომარე იყო ფორე კიკილაშვილი, „ნითელი ოქტომბრისა“ – ჯერ ვასილ გორბაძენკო, შემდეგ იასონ თეთვაძე.

ჩემს ხელთაა 1935 წლის 8 მარტს გამოშვებული სოფელ ჯაფარიძის სასოფლო სამეურნეო კოლმეურნეობა „შრომის“ და ალკკ(ახალგაზრდობის ლენინურ კომუნისტური კავშირი, იგივე კომკავშირი) ორგანიზაციის ორკვირეული ორგანო, ხელნაწერი გაზეთი, „შრომის გზით“, რომელსაც რედაქტორობდა მასწავლებელი ქრისტინე ზურიკაშვილი.

დიდი სამამულო ომის პერიოდში სოფელი მოხუცების, ბავშვებისა და ქალების ანაბარა დარჩა. ქალები ძალღონეს არ იმურებდნენ იმისათვის, რომ ერჩინათ ოჯახები, დახმარებოდნენ სახელმწიფოს, ომში წასულები-სათვის გაეგზავნათ ამანათები.



დიმიტრი ყოჩიაშვილი სანყოფში მუშაობისას

სამაგალითო მუშაობით გამოირჩეოდნენ: ლეკაშვილი ლუსიკა, ყაჭაშვილი მატრო, ბენაშვილი ნადია, ბოსტოლანაშვილი მარუსა, ნატროშვილი ქრისტინე, ბეგიაშვილი ნინა, იაკობიშვილი მარუსა, ნატროშვილი ანიკო, ყოჩიაშვილი თამარი, ყოჩიაშვილი ანიჭკა.

კოლმეურნეობა „შრომის“ ბრიგადირები იყვნენ: ყოჩიაშვილი დიმიტრი და სიმონიძე სერგო.

ამ ორმა კოლმეურნეობამ 1949 წლამდე იარსება და შემდეგ ისინი გაერთიანდნენ, რომლის თავმჯდომარე გახლდათ ნიკო ყოჩიაშვილი. ამის შემდეგ სოფლის ცხოვრებაში ახალი ეპოქა იწყება.

ჭავჭავაძეები დედოფლისწყაროში

მარიამ ლავინაშვილი,  
გვანცა მახარაშვილი.

დედოფლისწყაროს  
მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის  
ეთნოგრაფიისა და მხარეთმცოდნეობის  
შემოქმედებითი წრე „ხორნაბუჯი“

სხელოვანი ქართული გვარის ჭავჭავაძეების ბევრი გამოჩენილი შვილის ცხოვრებამეტნაკლებად დედოფლისწყაროსთან იყო დაკავშირებული. ეს კი თავის მხრივ, XIX საუკუნის დასაწყისში დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე დისლოცირებულ მის საიმპერატორო უდიდებულესობის მემკვიდრე მეფისწულის ნიჟეგოროდის 44-ე დრაგუნთა პოლკს უკავშირდება, რომელიც 1813 წელს „ყარაღაჯსა“ და დედოფლისწყაროში დაბანაკდა.

ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკი XVIII საუკუნეში პეტრე I-ის ინიციატივით შეიქმნა. 200 წელზე მეტხანს იარსება და მუდამ ავანგარდში იყო. უზარმაზარი იმპერიის დაცვის ყველაზე პასუხსაგებ დავალებებს ასრულებდა და მარცხი არასდროს უგემია. არ არსებობდა ისეთი ჯილდო, რომელიც არ მიეღო მას. რუსეთის არმიას არ ჰყოლია ცოტად თუ ბევრად ცნობილი მოღვაწე, რომელსაც ნიჟეგოროდელთა სკოლა არ გაეგვლოს. განსაკუთრებული დამსახურებისთვის პოლკს მინიჭებული ჰქონდა უფლება შემადგენლობის სიაში სამეფო ოჯახის წარმომადგენლებიც ჰყოლოდა. ამიტომაც ქართველი თავადიშვილებისთვის საპატიო იყო ამ პოლკში სამსახური. ბევრი ქართველი ვაჟკაცი აღიზარდა და დანიშნურდა ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში. პოლკის შტაბში ოფიცრად იმყოფებოდა ალექსანდრე ჭავჭავაძე, აქ მსახურობდა გულბაათ ჭავჭავაძე, ზაქარია გულბაათის ძე, იასონ და არჩილ ჭავჭავაძეები, დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, გრიგოლ ჭავჭავაძე(ილიას მამა) და სხვა. იყო პერიოდი, როდესაც აქ ერთდროულად შვიდი ჭავჭავაძე მსახურობდა. ჩვენ შევეცადეთ შეძლებისდაგვარად წარმოგვეჩინა მათი დიდი ღვაწლი და დამსახურება კახეთის მოთარეშე მტრებისაგან განთავისუფლებისა და ამავე დროულად დედოფლისწყაროს დაარსებისა და განვითარების, მის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად ჩამოყალიბების საქმეში.

ალექსანდრა ჯავახაძე



ალექსანდრა ჯავახაძე

ალექსანდრე ჭავჭავაძის მამა გარსევან რევაზის ძე XVIII ს-ის II ნახევარში ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი, მსხვილი ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენელი იყო. 1784-1801 წლებში იყო ქართლ-კახეთის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის საიმპერატორო კარზე.

ალექსანდრე ჭავჭავაძის დედა, მარიამ (მაია) — ივანე ავალიშვილის ასული, ცნობილი ქართველი მწიგნობრის, დრამატურგისა და მოგზაურის გიორგი ავალიშვილის და იყო.

ალექსანდრე დაიბადა 1786 წ. პეტერბურგში. მისი ნათლია იყო იმპერატორი ეკატერინე II და დიდი მთავარი ალექსანდრე (შემდეგში იმპერატორი ალექსანდრე) იგი

ბავშობიდანვე უმაღლეს არისტოკრატიულ წრეში იზრდებოდა. 9 წლის ასაკში მიაბარეს პეტერბურგის ერთ-ერთ საუკეთესო პანსიონში, სადაც მან ოთხი წელიწადი დაჰყო, შემდეგ მამამისის საქართველოში გამომგზავრების გამო ისიც დაბრუნდა სამშობლოში. ერეკლე II-მ, პატივისცემის ნიშნად, ალექსანდრე ჭავჭავაძეს ბავშვობაშივე უბოძა მანდატურთუხუცესობა. ალექსანდრეს დიდი სიყვარულით ეპყრობოდა მეფე გიორგი XII-ც.

თბილისში ცხოვრების პერიოდში მას ფრანგი გუგერნიორი ამეცადინებდა. ბავშვობიდანვე სრულყოფილად შეისწავლა რუსული, ფრანგული, გერმანული, თურქული და სპარსული ენები.

1804 წელს ჭაბუკი პოეტი მონაწილეობდა მთიულეთის ანტიცარისტულ აჯანყებაში, რომლის ჩახშობის შემდეგაც 1 წლით ტამბოვში გადაასახლეს. 1807 წელს იგი პეტერბურგის პაჟთა კორპუსში ჩარიცხეს. 1811 წლიდან კავკასიაში მოქმედი რუსეთის არმიის სარდლის მარკიზ პაულიუჩის ადიუტანტი იყო. 1812 წ. მონაწილეობდა კახეთის აჯანყების ჩაქრობაში. 1813-1814 წწ. მონაწილეობდა ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლებში.

1817 წელს მიანიჭეს პოლკოვნიკის წოდება, ხოლო 1826 წელს ის გენერალ-მაიორი გახდა. 1827-28 წწ. მონაწილეობდა რუსეთ-ირანის, ხოლო შემდგომ ოსმალეთის წინააღმდეგ ომში.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, 1817 წელს ალ. ჭავჭავაძემ პოლკოვნიკის ჩინი მიიღო და სამსახური დაიწყო ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში, რომელიც დისლოცირებული იყო დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე. პოლკის შტაბში სამსახურის დროს მან დიდად შეუწყო ხელი მონინავე რუს ოფიცერთა და საქართველოში ჩამოსულ თუ იძულებით გადმოსახლებულ მოღვაწეთა (დეკაბრისტთა), მათ შორის ცნობილ პოეტთა: ალ. პუშკინის, მ.ლერმონტოვის, ალ. გრიბოედოვის, ქართველ საზოგადოებასთან დაახლოება — დაკავშირებას. პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით სწორედ მის ევროპულ ყაიდაზე გამართულ თბილისის სახლსა და წინანდლის მამულში გადაიდგა, ხოლო შემდგომ დედოფლისწყაროში, სადაც ნიჟეგოროდელთა თავშეყრის ადგილი გრიგორ ივანეს ძე ნეჩვოლოდოვის სახლი იყო — თავისი სტუმართმოყვარე და განათლებული, ულამაზესი დიასახლისით — კატენკა გრიგორის ასულით (იგივე ნეჩვოლოდოვის ნაშვილები დაობლებული პატარა ჩერქეზი გოგონა სათანაისით). და ის ფაქტი, რომ ამ სახლს სტუმრობდნენ ალექსანდრე და მისი ძმა ლევ პუშკინები, მიხეილ ლერმონტოვი, ალექსანდრე დიუმა-მამა, ალ. გრიბოედოვი, დეკაბრისტი პოეტები: ვ.კიუხელბეკერი, ა.ოდოევსკი, ბესტიუჟევი-მარლინსკი, ბესტიუჟევი-რიუმინი, ნ.რაევსკი (რომელსაც ალ. პუშკინმა თავისი სახელგანთქმული პოემა „კავკასიის ტყვე“ მიუძღვნა), ჩერნიშევი, პაშკოვი, სემიჩევი, ფორცელი, კრავეცკი და სხვა. ასევე დიდი

დედოფლისწულთა ისტორიიდან



გიორგი ორბელიანი

ქართველი პოეტები – გრიგოლ ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე თავად მეტყველებს რა დიდი კულტურული ცენტრი იქნებოდა იგი იმდროისთვის.

ალექსანდრე ჭავჭავაძეს სულ ახალი დაწყებული ჰქონდა პოლკში სამსახური, როდესაც გარდაიცვალა პოლკის უფროსი და მთავარმართებელმა ერმოლოვმა პოლკის დროებითი

უფროსობა მას დაავალა, მაგრამ ზემდგომმა მოხელეებმა იგი არ დაამტკიცეს ამ თანამდებობაზე, მიზეზად მის ახალგაზრდულ ასაკს ასახელებდნენ, მაშინ, როცა მასზე ახალგაზრდა პოლკოვნიკი შაბელსკი გამოგზავნეს. ამით შეურაცხყოფილმა პოეტმა დატოვა დრავუნთა პოლკი და ქართულ გრენადერთა პოლკში გადავიდა. თუმცა ერმოლოვმა მაინც თავისი გაიტანა და 1822 წლის 18 თებერვალს ალ. ჭავჭავაძე დრავუნთა პოლკის მეთაურად დანიშნა. 1826 წელს მას გენერალ-მაიორობა უბოძეს. 1828 წელს იგი ინიშნება სომხეთის ოლქის უფროსად, ხოლო 1829წ. კი კახეთის სამხედრო სასაზღვრო დაცვის უფროსად.

1832 წლის შეთქმულების გამოაშკარავების შემდეგ მას ოთხი წლით ტამბოვში გადასახლება მიუსაჯეს, თუმცა მალევე გაანთავისუფლეს „წარსულში დამსახურებისთვის“ და 1838წ. ამიერკავკასიის მთავარმართებლის საბჭოს წევრად დანიშნეს. 1841წ. გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიანიჭეს. 1842-43წწ. ასრულებდა ამიერკავკასიის მხარის სამოქალაქო უფროსის მოვალეობას. 1843წ. ხელმძღვანელობდა დაღესტნის დაღაშქვრას.

ალ. ჭავჭავაძის მეუღლე იყო გენერალ იოანე ორბელიანის ასული — სალომე (იოანე ორბელიანიც ნიჟეგოროდის დრავუნთა პოლკში მსახურობდა). მათ ოთხი შვილი ჰყავდათ: ეკატერინე, ნინო, დავითი და სოფიო. მათი ასულები განთქმულნი იყვნენ თავიანთი განათლებით,

სილამაზითა და ზნეობრივი სისპეტაკით. მათაც მშობლების მსგავსად მშვენივრად იცოდნენ ქართული, რუსული და ევროპული ენები. როგორც ქართველმა (გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, გიორგი ერისთავი, ივანე კერესელიძე) ისე რუსმა პოეტებმა (ალ. გრიბოედოვი, ალ. პუშკინი) მათ შთამაგონებელი ლექსები მიუძღვნეს. რაც შეეხება ვაჟს — დავით ჭავჭავაძე რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი იყო. სამხედრო განათლება მიიღო პეტერბურგის გვარდიის პოდპროპორშჩიკთა სკოლაში. სამხედრო სამსახური დაიწყო 1834 წელს ლაიბგვარდიის



დავით ჭავჭავაძე

ულანთა პოლკში უნტეროფიცრად. 1840 წელს გადმოიყვანეს კავკასიაში, კერძოდ კი ნიჟეგოროდის დრავუნთა პოლკში გენერალ რაევსკის დაქვემდებარებაში. 1844 წელს შტაბს-კაპიტნის ჩინი მიიღო და კახეთის ცხენოსანთა მილიციის მეთაურად დანიშნა. მონაწილეობდა გენერალ-ადიუტანტ ა. ნეიგარდტის ექსპედიციაში შამილის წინააღმდეგ. ყირიმის ომის (1853-56წწ) დროს დავითი ხელმძღვანელობდა კახეთის დაცვას შამილის რაზმების თავდასხმისაგან. 1854 წელს განსაკუთრებული დამსახურებისათვის მეფის ფლიგელ-ადიუტანტობა მიიღო. 1856წ. თბილისის ეგერთა პოლკში გადაიყვანეს. 1861 წელს გენერალ-მაიორი გახდა და მეფის ამაღლაში გადაჰყავთ, თუმცა ამავე დროს განაგრძობდა სამხედრო სამსახურს კავკასიის არმიაში.

ჭავჭავაძეების ოჯახი ქართველი საზოგადოების კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი ცენტრი იყო. მის სახლში თბილისსა თუ წინანდალში, მოწინავე ქართველი ინტელიგენციის გარდა, თავს იყრიდნენ საქართველოში ჩამოსული თუ აქ მყოფი რუსი და ევროპელი მოღვაწეები, მათ შორის იყვნენ: ალექსანდრე გრიბოედოვი, მიხეილ ლერმონტოვი, ალექსანდრე და ლევ პუშკინები, პროგრესულად მოაზროვნე რუსი დეკაბრისტები: ა.ი. ოდოევსკი, ა.ი. იაკუბოვიჩი, ი.ა. ბესტიუჟევი, ა.ა. ბესტიუჟევი-მარლინსკი, ა.ო. კორნილოვიჩი, პ.პ. კონონიცინი, დ.ა. ისკრიცკი – რომელიც დაკრძალულია დედოფლისწყარო-



ეკატერინე, ნინო და სოფიო ჭავჭავაძეები



ალ. ორბელიანი

ში. იგი ამავ დროს ყოფილა ბრწყინვალე ინჟინერ-ტოპოგრაფი, მას შეუდგენია კახეთის სრულყოფილი კარტოგრაფიული რუკა.

რუსი პოეტი და დრამატურგი ალ. გრიბოედოვი 1818წ. პირველად ეწვია საქართველოს. პოეტი მოიხიბლა ქართული ბუნების სილამაზითა და ქართველთა სტუმართმოყვარეობით. 1821 წლის ბოლოს იგი

თბილისში გადმოვიდა და 1823 წლამდე მსახურობდა მთავარმართებლის კანცელარიის უცხოეთის განყოფილების მდივნად. მან არაერთხელ იმოგზაურა კახეთში: „იქ სადაც რბის ალაზანი, მსუბუქ ნიავს მოაქვს შვებაო“. იმ პერიოდში ალ. ჭავჭავაძე ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის უფროსად მსახურობდა და გრიბოედოვიც მისი ხშირი სტუმარი იყო, შემდგომში კი მის ქალიშვილ ნინოზე დაინერა ჯვარი და სიძე გახდა, თუმცა, ხანმოკლე აღმოჩნდა ეს ბედნიერება. 1828 წელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მუხანათურად მოკლეს სპარსეთში — ირანის რეაქციული ხელისუფლების ნაქეზებით გააგებულ ფანატიკოსთა ბრბოს წევრებმა.

1821წ. თბილისში ჩამოდის და სამსახურს იწყებს გრიბოედოვის მეგობარი ვ. კიუხელბეკერი, რომელიც ხშირად სტუმრობდა ალ. ჭავჭავაძეს. მან თავის პოეზიაში დიდი ადგილი დაუთმო კავკასიის თემატიკას.

1827 წელს ციმბირიდან საქართველოში გადმოიყვანეს ალ. გრიბოედოვის მეორე მეგობარი, ცნობილი დეკაბრისტი პოეტი ა. ოდოევსკი, რომელიც ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში მსახურობდა. აქ იგი დაუმეგობრდა ქართველ მოღვაწეებს. ოდოევსკიმ კარგად გაიცნო საქართველოს ცხოვრება და ქართული ლიტერატურა. ქართული პოეზიის გავლენით მან დანერა ლექსი „ვარდი და ბულბული“, „ჩემი პერი“, რომელსაც აქვს წარწერა „ყარალაჯი“, 1838წ. 29 თებერვალი, მიძღვნილი კატერინა ნეჩვილოდოვასადმი. 1839წ. ა. ოდოევსკი მალარიით გარდაიცვალა ყარალაჯში. დაკრძალეს დედოფლისწყაროში „ლეტნიკში“, სადაც მაშინ ნიჟეგოროდის პოლკის ოფიცერთა სასაფლაო იყო. როგორც გადმოცემით ამბობენ, ძველი თაობის ბევრ წარმომადგენელს ჰქონდა ნანახი მისი საფლავის ქვა — წარწერით რუსულ და ფრანგულ ენებზე.

ლექსებს წერდნენ ასევე დეკაბრისტი ბესტიუჟევი-მარლინსკი. „მეფის წყაროს“ (ანუ დედოფლისწყაროს) ისტორიასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული შესანიშნავი რუსი ადამიანის გენერალ ნიკოლაი რაევსკის ბედიც, რომელსაც მისმა ახლო მეგობარმა დიდმა რუსმა პოეტმა ალექსანდრე პუშკინმა თავისი სახელგანთქმული პოემა „კავკასიის ტყვე“ მიუძღვნა. იგი პოლკის მეთაურად დანიშნეს 1825 წლის 14 ივნისიდან. ნიკოლაი რაევსკი იყო შვილი ბოროდინოს ბრძოლის გმირის ნიკოლაი რაევსკისა.. 1826წ. 4 იანვარს იგი მისცეს პასუხისგებაში, როგორც

ეჭვმიტანილი დეკაბრისტულ საქმიანობაში, მაგრამ შემდგომში გაანთავისუფლეს, მამის პატივისცემით შეინყნარეს და 1827 წლიდან აღადგინეს მეთაურის პოსტზე. მან თავი ისახელა თურქეთისა და ირანის წინააღმდეგ წარმოებულ ომებში, რისთვისაც 1829წ. მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. რაევსკი არამარტო ნიჭიერი მხედართმთავარი, არამედ შესანიშნავი დიპლომატიც იყო.

**გულბაათ ჯავახაძე და მისი ოჯახი**

წინანდალში დრაგუნთა კარგი მასპინძელი ყოფილა გულბაათ ჭავჭავაძე და მისი ძმა — იასონიცი, ასევე სპირიდონ და დიმიტრი ჭავჭავაძეები. ისინიც დრაგუნთა პოლკში მსახურობდნენ და სანიშნავი ოფიცრებად ითვლებოდნენ. მალე აქვე ჩაირიცხა გულბაათის ვაჟი ზაქარიაც, რომელმაც კავკასიის ომების დევგმირის სახელი მოიხვეჭა. 1845წელს მიენიჭა პროპორშიკობა. ჩრდილო-



ზაქარია ჯავახაძე

კავკასიის თითქმის ყველა ბრძოლაში იღებდა მონაწილეობას. იგი რუსეთის არმიის კავალერიის გენერალი იყო.

12 წლის ზაქარია შეიყვანეს სამხედრო სკოლაში, რომელიც ნიჟეგოროდის დრაგუნთა ლეგიონთან არსებობდა ყარალაჯში. ასეთი სკოლები სხვა ლეგიონებთანაც ყოფილა, მაგრამ იქ მხოლოდ წერა-კითხვას ასწავლიდნენ. ეს სკოლა კი კადეტთა კორპუსის მსგავსი ყოფილა, ე.ი. აქ იზრდებოდნენ მომავალი ოფიცრები და ისეთ განათლებას ღებულობდნენ, რომ მსურველებს შემდეგ სწავლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებელშიც შეეძლოთ. ზაქარია ჭავჭავაძემ ბავშვობა ამ სკოლაში გაატარა და 17 წლის ახალგაზრდა ამავ პოლკში ჩაირიცხა მოხალისედ. სწორედ აქ დაიწყო მისი სამხედრო ცხოვრების სახელოვანი გზა.

ყირიმის ომის დროს (1853-56წწ) ზაქარია კავკასიის ფრონტზე ჯერ ესკადრონს მეთაურობდა, შემდეგ დივიზიას. დიდი სიმაძაქვე გამოიჩინა 1859-64 წწ-ში ჯერ დაღესტნის, შემდეგ კი ტვერის დრაგუნთა პოლკს მეთაურობდა, მონაწილეობდა შამილის უკანასკნელი რეზიდენციის ლუნიხის ციხე-სიმაგრის იერიშში, რუსეთ-ოსმალეთის

დედოფლისწულთა ისტორიებიდან

ომში (1877-78წწ) მეთაურობდა კავკასიის ფრონტზე მოქმედი კორპუსის კავალერიას. 1878-85წწ ამ ფრონტზე ჩატარებულ ყველ მნიშვნელოვან საბრძოლო ოპერაცია-



შაქარია შავშავაძე

ში იღებდა მონაწილეობას. ჯერ კავკასიის დივიზიას მეთაურობდა, 1885-93წწ. კი კავკასიის არმიის პირველ კორპუსს.

ერთ პერიოდში ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში ილია ჭავჭავაძის მამა, გრიგოლიც, მსახურობდა. იგი ოფიცერი იყო, მაგრამ შემდეგ სამსახურს თავი დაანება და ყვარელში, თავის მამულში განაგრძო ცხოვრება.

გულბაათ ჭავჭავაძის მეორე ვაჟი არჩილიც არმიის გენერალ-მაიორი იყო. მან სამხედრო სამსახური 1862წელს პროპორშიკის ჩინით დაიწყო ტვერის 43-ე დრაგუნთა და კავკასიის მე-12 სახაზო ათასეულის შემადგენლობაში. მონაწილეობდა კავკასიის ომების უკანასკნელ ოპერაციებში დასავლეთ კავკასიაში. 1876 წელს მაიორის ჩინი მიიღო, 1877წელს ახლადჩამოყალიბებული დალესტინის ცხენოსანთა ბრიგადის მე-3 პოლკის მეთაური იყო. მონაწი-



გრიგოლ შავშავაძე

ლეობდა რუსეთ-ოსმალეთის ომში. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ყარსის ალებაში, არზრუმთან ბრძოლაში. ამ ბრძოლაში იგი ნიჟეგოროდის პოლკის შემადგენლობაში იღებდა მონაწილეობას. 1879წ. დანიშნეს დალესტინის ცხენოსანთა 1 პოლკის მეთაურად. 1889წ. იყო დრაგუნთა სევერსკის პოლკის მეთაური, ხოლო 1902წელს კავკასიის კავალერიის დივიზიონის მეთაურად დაინიშნა.

რაც შეეხება გულბაათის ძმას იასონს, ნიჟეგოროდის დრაგუნთა იმლეგიონში მსახურობდა, რომელსაც მაშინ მეთაურობდა პოლკოვნიკი ივანე ანდრონიკაშვილი. აი, რას წერს მის შესახებ გრ. იარალოვი წიგნში „პეტერბურგიდან ყარაღაჯამდე“:



იასონ შავშავაძე

„პასკევიჩი (მთავარსარდალი) გადაეხვია ლეგიონის მეთაურს პოლკოვნიკ ივანე ანდრონიკაშვილს და სთხოვა, მისთვის ეჩვენებინა თეთრ ცხენზე მჯდომარე ის ოფიცერი, რომელიც წინა დღით ასე მამაცურად გაუძღვა იერიშს და პირველი შეიჭრა სიმაგრეში (ბრძოლა ბაიბერში 1829წლის 27 სექტემბერს).“ პასკევიჩს წარუდგინეს იასონ ჭავჭავაძე. 1846 წელს ნიჟეგოროდის ლეგიონი ჩრდილო კავკასიაში გადაიყვანეს და 1849წელს სათავეში ჩაუყენეს უკვე საკმაოდ ცნობილი და დამსახურებული გენერალ-მაიორის ჩინში ამალღებული იასონ ჭავჭავაძე.

ამგვარად, უნდა ითქვას, რომ XIX ს-ის I ნახევარში დედოფლისწყაროში ჩამოყალიბდა იმდროისათვის ღრმად განათლებული და მოაზროვნე საზოგადოება, რომელსაც უწყვეტი კავშირი ჰქონდა თბილისთან, პეტერბურგთან, მოსკოვთან, და ევროპის სხვა დიდ ქალაქებთან. დედოფლისწყაროს ძირითადი სამოქალაქო საზოგადოება ჩამოყალიბდა რუსების, უკრაინელებისა და იმ ქართველი მოსახლეობისაგან, რომლებიც მსახურობდნენ სახელგანთქმულ ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში და თადარიგში გასვლის შემდეგ ოჯახებით დაფუძნდნენ აქ. ამიტომაც ძირძველ დედოფლისწყაროელებზე საუბრისას, მეოცე საუკუნეშიც კი აღნიშნავდნენ, რომ მათ შორის მძლავრად იყო ფესვგადგმული „წარმომავლობის კულტი“, რომელიც ეხებოდა არა ნაციონალობას, არამედ იმას, თუ რომელი პოლკის წარმომადგენლები იყვნენ მათი წინაპრები: ელიტური „ნიჟეგოროდის“ თუ შემდგომ, 1870 წლიდან ჩამომდგარი ტვერის დრაგუნთა პოლკისა, რომელიც საკმაოდ დიდხანს დარჩა აქ.

გამოყენებული ლიტერატურა:

გ. ქიქოძე – ქართული ლიტერატურის ისტორია XIX ს-ში, თბ. 1947წ.  
ქართული ლიტერატურის ისტორია 6 ტომად, ტ.3, თბ. 1969წ.  
სპირიდონ ჭავჭავაძის მემუარები – გაზ. „შირაქი“, 1988წ. 6 დეკემბერი  
გრ. იარალოვი – „პეტერბურგიდან ყარაღაჯამდე“ (ცნობები ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკზე)  
კ. აბაშიძე – ეტიუდები XIX ს-ის ქართული ლიტერატურის შესახებ, თბ. 1970წ.  
ალექსანდრე ჭავჭავაძე – საიუბილეო კრებული, თბ. 1986წ.  
პეტრე ლესნოვი – ალაზნის ნაპირებთან (დედოფლისწყაროს დაარსების ისტორია), მოსკოვი, „მისლ“ 1980წ.

ქიზიყის დიდი ჭირისუფალი

მარია ლაჰიაშვილი, გვანცა მახარაშვილი.

ანტონ ივანეს ძე ნატროშვილი (1852-1930 წწ)

დედოფლისწუროს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ეთნოგრაფიისა და მხარეთმცოდნეობის შემოქმედებითი წრე „ხორნაბუჯი“

საქართველოს ვაზს ადარებენ, რომელიც მძლავრად შემოხვევია ჭიგოს. ქარიშხალი სცემდა ყოველი მხრიდან, ჭიგო ირხეოდა, ვაზი იდრიკებოდა ხან ერთ, ხან მეორე მხარეს, მაგრამ არ იღუნებოდა.

რამდენჯერ გართხმია მინას, რამდენი ფოთოლი და ლერწი მოჰგლეჯია, ფესვებს კი არასოდეს მოსწყდომია, – წერდა ანტონ ნატროშვილი თავის წიგნში „მცხეთა და მისი ტაძარი სვეტიცხოველი“.

სწორედ ამ მძლავრი და მარად უკვდავი ფესვებიდან ამოიზარდა ის უამრავი ქართველი, რომელთა სიცოცხლე, გული და აზრი კვლავ და კვლავ მშობელ მინას დასტრიალებდა, მეფე იყო იგი თუ უბრალო მოქალაქე, მხედართმთავარი თუ რიგითი მეომარი, საზოგადო მოღვაწეთუ მინის მხენელი. ასეთი სახელები მრავლად იცის



XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მდგომმა საქართველომ.

ანტონ ნატროშვილი იმ ქართველ მამულიშვილთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც, ილია ჭავჭავაძის გვერდით დარაზმულეებმა, საკუთარი მხრებით ატარეს საქართველოს ბედი და ვისაც უნდა ვუმადლოდეთ ერის სულიერების, საერთოდ, ყოველივე ეროვნულის გადარჩენას. ამ მოღვაწეთა სახელები სამუდამოდ ჩაინერა ქართული ცხოვრების მატრიანეში: ექვთიმე თაყაიშვილი, ვასილ ბარნოვი, თედო ჟორდანიას, ნიკო ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილი, მოსე ჯანაშვილი, დავით ბაქრაძე, გიორგი საძაგლიშვილი, ანტონ ნატროშვილი და მრავალი სხვა.

სამწუხაროდ, დღეს ცოტა ვინმეს თუ ახსოვს ვინ იყო ანტონ ნატროშვილი. ნაკლებად იცნობენ მას მშობლიურ ქიზიყშიც.

იგი იმ მოღვაწეთა რიგს მიეკუთვნება, ჩუმად, უხმაუროდ რომ აკეთებენ თავის საქმეს, ბოლომდე იხარჯები-

ან და წმინდად იხდიან ვალს ღმერთისა და ქვეყნის წინაშე. ამის დადასტურებაა ანტონ ნატროშვილის მთელი ცხოვრება.

ანტონ ივანეს ძე ნატროშვილი დაიბადა სოფელ ზემო მაჩხაანში (ქიზიყში) 1852 წლის დეკემბერში. მისი მამა ივანე რომანოზის ძე – ამავე სოფლის მღვდელი, მშვიდი, ღმობიერი ადამიანი იყო, დედა თეონა ალადაშვილი – დიდი მეოჯახე ქალი, სოფელ ჯუგაანის მღვდლის შვილი.

8 წლის რომ შეიქმნა ანტონი, მშობლებმა თავის უფროს ძმებთან ერთად თელავის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. წარჩინებულმა მოსწავლემ სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო.

მეტად ცუდ მატერიალურ პირობებში უხდებოდა სწავლა მას ამ ხანებში. თავის ძმა ილიკოსთან და სხვა ახალგაზრდებთან ერთად ერთ პატარა ოთახში ცხოვრობდა ბარათაშვილზე, რომელსაც იგი „კოშკს“ ეძახდა. მიუხედავად იმისა, რომ სოფელში შეძლებული ოჯახი ჰქონდათ, ახალგაზრდები თბილისში ნახევრად მიმშილობდნენ. ეს გამოწვეული იყო მიმოსვლის და ტრანსპორტის უქონლობის გამო. „ერთი ჯიბის დანა მქონდა, – იტყოდა ხოლმე მამაჩემი, – მივუტანდი მეკურეს და ვთხოვდი, რომ პური მოეცა ნისიად და ის დალოცვილიც მუდამ მაძლევდა. საკუთარი სახელმძღვანელოებიც კი არ მქონდა, სხვისი წიგნებით ვსწავლობდი“...

ა. ნატროშვილმა დაამთავრა სემინარია პირველ ხარისხოვანი სტუდენტის ატესტატით 1873 წელს და მიენიჭა უფლება სწავლა განეგრძო პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში სახელმწიფო ხარჯზე. მაგრამ მან ამაზე უარი განაცხადა, რადგან სულ სხვა მიზანი და მისწრაფება ჰქონდა. ეს ის ხანაა, როცა თბილისის სემინარიელები ხალხოსნური იდეებით იყვნენ გატაცებულნი. „მე მინდოდა წავსულიყავი სახალხო მასწავლებლად ჩემს სოფელში, – იტყოდა ხოლმე მამაჩემი, – იგონებს მისი ქალიშვილი ლილია, – და შემდეგ როცა შევძლებდი, შევსულიყავი უნივერსიტეტში. თუმცა მშობლების და რექტორის დაჟინებული მოთხოვნით, ძალით ჩააბარეს საბუთები რუსეთში გასამგზავრებლად. ბოლოს ის შევიდა არა პეტერბურგის, არამედ ყაზანის სასულიერო აკადემიაში, სადაც მას ეგულებოდა თავისი და ნატალია, გათხოვილი პოლკოვნიკ მოსკვიწზე.

სასულიერო სემინარიაში ყოფნის დროს მისი ყველაზე საყვარელი მასწავლებელი იყო ცნობილი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, რომელთანაც მეგობრული კავშირი მას ბოლომდე არ გაუწყვეტია.

სასულიერო აკადემია მან აგრეთვე წარჩინებულად, მაგისტრანტის ხარისხით, დაამთავრა 1877 წელს და გამწესებული იქნა სამუშაოდ რუსეთშივე, ქ.სამარის სასულიერო სემინარიის ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის და პედაგოგიკის მასწავლებლად. ამავე წელს, ზაფხულში, ანტონ ჩამოდის სამშობლოში და აქ ირთავს ცოლად დავ-

დედოფლისწულთა ვაჟთა შვილები

ით გურგენის ძე ნაცვლიშვილის ასულს ელისაბედს, რუსეთში საქართველოს ელჩის გაიოზ ნაცვლიშვილის შთამომავალს. ისინი საქვეყნო საქმეებს ერთად უძღვე- ბოდნენ. ხუთი შვილი ეყოლა: ელენე, ლიდია, გიორგი, სოსო (ადრე გარდაცვლილა) და ილუმა. მათგან მხოლოდ ელენე ყოფილა დაოჯახებული. ანტონმა სამარის სემი- ნარიაში იმსახურა 1884 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში, ის გარდა სემინარიისა მუშაობს ქალთა საეპარქიო სას- ნავლებელში, ასწავლის პედაგოგიკას. 1884 წლის სექტემ- ბრიდან გადმოდის ქ. ქუთაისის სასულიერო სასწავ- ლებელში. აქ მან სრული 34 წელი დაჰყო და ეს პერიოდი იყო მისი ცხოვრების ყველაზე უფრო ნაყოფიერი და მნიშ- ვნელოვანი.

1917 წლის რევოლუციის შემდეგ სასულიერო სასწავ- ლებლის პედაგოგიური შემადგენლობა ირჩევს ანტონ ნატროშვილს ამ სკოლის დირექტორად და იგი მაშინვე იწყებს ამ სკოლის რეორგანიზაციის საქმეს. შუამდგომ- ლობს დროებით მთავარობასთან, რათა მან ნება დართ- ოს, გადააკეთონ სასულიერო სასწავლებელი გიმნაზიად და შემოიღონ სწავლება სამშობლო ენაზე. შუამდგომლო- ბა დაკმაყოფილებულ იქნა 1918 წლის ნოემბერში. მთავრობამ გადაწყვიტა ამ გიმნაზიის შეერთება ყოფილ სემინარიასთან. ამ ორი სასწავლებლის შეერთებით დაარსდა მე-8 გიმნაზია. დირექტორად კი დაინიშნა ქუთაისიდან გადმოყვანილი ჯორჯიკია. ანტონს შესთავაზეს ქ. ოჩამჩირის გიმნაზიის დირექტორის თან- ამდებობა, რაზედაც მან უარი განაცხადა და ირჩია სამ- უშაოდ თავის სოფელში წასულიყო.

მისვლისთანავე, 1919 წლის ზაფხულში, იგი არჩეულ იქნა სოფელ ქვემო მაჩხაანის უბნის მოსამართლედ. ამ საქმეში მან გამოიჩინა სათანადო ცოდნა და უნარი. 1923 წლიდან იგი უბრუნდება სკოლას, ასწავლის მრავალ სა- განს არითმეტიკას, გეოგრაფიას, ბუნებისმეტყველებას, ქართულს და რუსულს. ბოლოს 1926-1927 წლებში მუშაობს ყანდაურის შრომის სკოლის გამგედ. ამნაირად, პედაგოგიურ მოღვაწეობას ანტონ ნატროშვილმა შეაღია სრული 50 წელიწადი. ამის პარალელურად იგი ეწევა მეც- ნიერულ და საზოგადოებრივ მუშაობას. ხანგრძლივი და უმნიშვნელო მუშაობისათვის იგი მრავალჯერ იყო დაჯილ- დოებული, სტატსკი სოვეტნიკის ჩინით, ორდენებით: წმ. ვლადიმირის, ანას და სტანისლავის, აგრეთვე დამსახ- ურებული მასწავლებლების ნოდებით.

ა. ნატროშვილი წერდა შესანიშნავ ნიგნებს საქართვე- ლოს ისტორიიდან. ქართველთა რელიგიური რწმენისა და კულტურის ისტორიიდან, თარგმნიდა ქართულიდან რუსულად და პირიქით...თითქმის არ ყოფილა იმდროინ- დელ საწართველოში წამოწყება, რომელშიც ა. ნატროშ- ვილს ქმედითი მონაწილეობა არ მიეღოს:

იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელე- ბელი საზოგადოების მუდმივი წევრი; საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუდმივი წევრი და რწმუნებული;

წევრი და მდივანი დ. სარაჯიშვილის მიერ დაარსებუ- ლი საქველმოქმედო წრისა, რომელიც სტიპენდიებს აძლევდა ქართველ ნიჭიერ ახალგაზრდობას უმაღლესი განათლების მისაღებად რუსეთსა და საზღვარგარეთ;

აქტიური მონაწილე და თანამშრომელი 90-იან წლებ- ში ცნობილი ისტორიკოსისა და არქეოლოგის დავით ბაქრაძის მიერ დაარსებული საეკლესიო მუზეუმის ჩამოყალიბებისა; წევრი და მდივანი მცხეთის სვეტიცხ-

ვლის ტაძრის სარესტავრაციო კომისიისა; მუდმივი წევრი და კორესპონდენტი საზოგადოებისა „კავკასიის სოფლის მეურნეობა“;

თავმჯდომარე თბილისის I ვაჟთა გიმნაზიის მშობელ- თა წრის, თავმჯდომარე თბილისის სასულიერო სემინარ- იის სამშენებლო კომისიის.

ა. ნატროშვილი ხშირად ხელმძღვანელობდა ექსკურსიებს მცხეთაში, უფლისციხესა და სხვა ადგ- ილებში. ანტონ ნატროშვილს მისი თანამედროვენი მიიჩ- ნევდნენ საქართველოს ისტორიისა და კულტურული ძე- გლების საუკეთესო მცოდნედ. როცა გასული საუკუნის 20-იან წლებში რუს მეცნიერთა და ხუროთმოძღვართა ჯგუფი ჩამოსულა ქვეყანაში, მათ, იმ დროისთვის სამხრეთ კავკასიისა და საქართველოში გაერთიანებული სამეფოს უმაღლეს წარმომადგენელთან, ჯონ ოლივერ უორდროპთან ერთად მოუსურვებიათ მცხეთისა და სვეტიცხოვლის დათვალიერება. მათი მეგზური სწორედ ანტონ ნატროშვილი ყოფილა. როცა ოლივერ უორდროპს მოუსმენია ანტონ ნატროშვილისთვის და უნახავს მისი ნიგნი „მცხეთა და მისი ტაძარი სვეტიცხოველი“, აღფრ- თოვანება ვერ დაუფარავს და უთქვამს, კარგი იქნებო- და, ეს ნიგნი კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა- შიც რომ ინახებოდესო. ანტონსაც უჩუქებია ბრიტანელი დიპლომატისა და მთარგმნელისთვის ნიგნის საუკეთესო დასურათებული ეგზემპლარი და დარწმუნებთაც კი შეი- ძლება ითქვას, რომ დღესაც კი ის კემბრიჯის უნივერ- სიტეტის ბიბლიოთეკაში ინახება.

ანტონ ნატროშვილს განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა მშობლიური ქიზიყი, რისთვისაც ერთმა მე- გობარმა მწერალმა „ქიზიყის დიდი ჭირისუფალი“ უწოდა.

1887 წელს მეცნიერული მიზნით ჩაატარა მოგზაუ- რობა ქიზიყს, კახეთსა და ჭარ-ბელაქანში. განსაკუთრე- ბით საყურადღებოდ მიიჩნია ამ ექსკურსიის დროს აღ- მოჩენილი „თამარის არხი“, ანუ ალაზნის არხი და დასვა მისი აღდგენის აუცილებლობის საკითხი.

1897 წელს ს. ქვემო-მაჩხაანში ანტონ ნატროშვილ- ისა და დიმიტრი მაჩხაანელის თაოსნობით დაარსდა პირვე- ლი სამომხმარებლო კოოპერაცია „დეპო“, რომლის მიზა- ნი იყო შეღავათიან ფასებში მიეწოდებინათ საქონელი „დეპო“-ს წევრებისა და მოსახლეობისათვის.

მათი დიდი შრომით მოეწყო ქვემო მაჩხაანის პირვე- ლი საავადმყოფო და აფთიაქი. გახსნაზე თბილისიდან მიიწვიეს თეატრალური დასი ვასო აბაშიძის, ნატო გაბუ- ნიას, ვალერიან გუნიას და ურუშიძის ხელმძღვანელო- ბით. გაიმართა ქართული წარმოდგენები, რასაც იმდროინ- დელი ქიზიყისათვის დიდი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა. მისივე ინიციატივით დაარსდა „მეცხვარეთა კავ- შირი“ ქვემო მაჩხაანში. 1920 წელს ქვემო-მაჩხაანში აშენ- და სახალხო სახლი ა. ნატროშვილის მონაწილეობით.

კახეთში რკინიგზის გაყვანის დროს იგი შეეცადა ქიზ- იყის სოფლები გარიყულნი არ დარჩენილიყვნენ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. განუხორციელებელ ოცნებად დარ- ჩა ზემო-მაჩხაანისათვის სასმელი წყლის გამოყვანაც.

ქართველ ბავშვებს ანტონ ნატროშვილმა მშობლიურ ენაზე შეუდგინა საღმრთო რჯულის სახელმძღვანელო. დაწყებული ჰქონდა კახეთის მხარეთმცოდნეობის სახ- ელმძღვანელოს შედგენა. მაგრამ მისი ბოლომდე მიყვა- ნა ვერ მოასწრო. თუმცა მან უდიდესი, ფასდაუდებელი, ამაგი დასდო ქართული ეროვნული სკოლის ჩამოყალი- ბების საქმეს.

\* \* \*

1913 წელს ანტონ ნატროშვილი საინტერესო მოხსენებით წარსდგა სრულიად რუსეთის ექიმთა და ბუნებისმეტყველთა XII ყრილობაზე, რომელიც გაიმართა თბილისში. ქართველმა მეცნიერმა ყრილობაზე უამბო, როგორ წააწყდა შემთხვევით, 1881 წელს ივრის ხეობის დათვალიერებისას ჭაჭუნას ტყეში (დღეს, ეს ტყე ჭაჭუნას ალკვეთილის შემადგენლობაშია) აბრეშუმის პარკებს თუთის ხეებზე, ბუნებრივ პირობებში. აღნიშნა ისიც, რომ აღმოსავლეთ საქართველო, მოსაზღვრე ქვეყნებთან ერთად, აბრეშუმის ჭიის სამშობლო უნდა იყოს. რადგანაც აქ აბრეშუმის ჭია ბუნებრივ პირობებში მოიპოვება.

1890-იან წლებში, როცა ცნობილმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ თბილისში საეკლესიო მუზეუმი დაარსა, სამუზეუმო კომიტეტში ანტონ ნატროშვილიც შეიყვანა. კომიტეტის წევრები იყვნენ ექვთიმე თაყაიშვილი, თედო ჟორდანიანი, არქიმანდრიტი ლეონიდე, ილია ფერაძე და სხვები.

საეკლესიო მუზეუმში ანტონ ნატროშვილი საფუძვლიანად გაეცნო საქართველოს ისტორიულ წყაროებსა და მატერიალური კულტურის ძეგლებს, რაც დაეხმარა ისეთ ფუნდამენტური ნაშრომის შედგენაში, როგორიც არის „მცხეთა და მისი ტაძარი სვეტიცხოველი“. იგი ქართველი ერის ისტორიის დიდი წიგნია.

ეს წიგნი საუკეთესოდ და ავტორიტეტულად შეაფასა ანტონ ნატროშვილის ქალიშვილმა ლიდიამ თავის მონოგრაფიაში. „ეს არის ანტონ ნატროშვილის ყველაზე უფრო დიდი და პოპულარული თხზულება. შეიცავს 500 გვერდს, შემკობილია სურათებით, მცხეთის ტაძრის კედლებიდან გადმოღებული წარწერებითა და ჩუქურთმებით და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მრავალი კომენტარით. ამ წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი აცხადებს, რომ მას დასჭირდა დიდძალი საარქივო მასალის გამოძებნა სხვადასხვა წყაროებიდან, მათი შესწავლა და გამოქვეყნება, რომ ის პირველი აქვეყნებს ამ დოკუმენტებს, გუჯრებს, სიგელებსა და მანუსკრიპტებს. შეაქვს ისინი ციტატების და კომენტარების სახით ამ შრომაში. ამასთანავე დასძენს, რომ ამას აკეთებს, რათა გაუადვილოს საქმე მომავალ მკვლევარებს.“

ერთი გადახედვითაც ჩანს, რა დიდი შრომა და ცოდნა დასჭირდებოდა ავტორებს ამ ნაწარმოების შესასრულებლად. მცხეთისა და მისი საკათალიკოსო ტაძრის თავგადასავალი – ეს ხომ მთელი საქართველოს ისტორიაა, დანყებული უძველესი დროიდან.

და ამას ყოველივეს ავტორი აღწერს არა მშრალი აკადემიური ტონით, არამედ ალფრთოვანებით, ერთგვარი პათოსით. ეტყობა, რომ მას სულით და გულით ენატრება ამ დიდებული ქართული სულისკვეთების ძეგლის აღდგენა. და აი, აკი მთელ შემოსავალს ამ გამოცემისას სწირავს „სვეტიცხოვლის“ რესტავრაციის საქმეს. ამავე დროს უნდა ითქვას: მცხეთის ტაძრის, მისი დეტალების, საუცხოო ორნამენტებისა და ჩუქურთმების, წარწერებისა და სხვადასხვა ფრაგმენტების ფოტოაპარატით გადაღება, დაბეჭვდა და გამოქვეყნება პირველად თავს იდვა ანტონ ნატროშვილმა.

ამას უნდა დაუმატო ისიც, რომ ამ უამრავ ისტორიულ ტექსტებს, დაწერილს ძველი ქართული საეკლესიო ენით, იგი სთარგმნის რუსულად და როგორ კარგად“

რაც შეეხება ანტონ ნატროშვილის სხვა წიგნებს, ეს გახლავთ 1901წელს გამოცემული „Иберский монастырь на Адроне в Турции“ („იბერიის მონასტერი ათონის მთაზე თურქეთში“). ეს ის პერიოდია, როცა ათონის მთა თურქეთს ეკუთვნოდა. ამ წიგნის შეფასებასაც ლიდიამ ნატროშვილის მონოგრაფიიდან გაგაცნობთ: „ესეც კარგა მოზრდილი წიგნია. შეიცავს 455 გვერდს. მოგვითხრობს X საუკუნეში საბერძნეთში ქართველი ბერების მიერ ათონის მონასტრის დაარსების ისტორიას. ესენი არიან ძველი ქართველი მწიგნობრები და მწერლები: დიდი სტრატეგი-თორნიკე ერისთავი, იოანე ივერი, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები.“

ათონის მონასტერი მრავალი საუკუნის განმავლობაში წარმოადგენდა საქართველოს ერთ-ერთ განათლების კერას შორეულ საბერძნეთში, რომელიც ინახებოდა საქართველოს ხარჯით და რომელშიც აღიზარდა მრავალი ღირსეული ქართველი ადამიანი: მწერლები, ფილოსოფოსები და პოეტები. მაგალითად, სახელგანთქმული იოანე პეტრინი და საქართველოს სიამაყე – შოთა რუსთაველი, მაგრამ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ბერძნები უკანონოდ დაეპატრონენ მას. ეს თხზულება წარმოადგენს ერთის მხრივ დავას ქართველი ბერებისა ბერძენ ბერებთან და საზოგადოდ იცავს ისტორიულ სიმართლეს.

ავტორი ამბობს წინასიტყვაობაში, რომ ეს შრომა მან იკისრა მხოლოდ იმ განზრახვით, რომ მოუტანოს სარგებლობა შეძლებისდაგვარად თავის მრავალტანჯულ სამშობლოს. ავტორს აქაც მოჰყავს დიდი ძალი ისტორიული საბუთები, ამოკრეფილი სხვადასხვა არქივებიდან“.

ათონის მონასტერსა და მის ისტორიას ანტონ ნატროშვილმა კიდევ ერთი საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა, რომელშიც განხილულია თურქებთან დავა ამ მონასტრის ქართველებისათვის კუთვნილების შესახებ.

ხელოვანთა და მეცნიერთა მოსაზრებით, ანტონ ნატროშვილის შემოქმედება სათანადო შესწავლასა და ყურადღებას იმსახურებს. მის ღვაწლსა და შემოქმედებას კარგად იცნობდა ცნობილი მხატვარი თენგიზ მირზაშვილი, რომელიც აცხადებდა: „ანტონ ნატროშვილი ერთ-ერთია თავისი ეპოქის იმ ხუთ მოამაგიდან, რომელთაც კვალი დააჩნიეს ქვეყნის განვითარებასო.“

თავად ანტონ ნატროშვილი თავის უპირველეს მოვალეობად სწორედაც საქართველოსადმი სამსახურს მიიჩნევდა. იმ საქართველოსადმი, რომლის შესახებაც ასე წერდა: „საქართველოს ვაზს ადარებენ, რომელიც მძლავრად შემოხვევია ჭიგოს. ქარიშხალი სცემდა ყოველი მხრიდან, ჭიგო ირხეოდა, ვაზი იდრიკებოდა ხან ერთ, ხან მეორე მხარეს, მაგრამ არ ილენებოდა. რამდენჯერ განთხრევია მინას, რამდენი ფოთილი და ლერწი მოჰგლეჯია, ფესვებს კი არასოდეს მოსწყდომია“.

ანტონ ნატროშვილი გარდაიცვალა 1930 წელს. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

- 1 ქართული ლიტერატურის ისტორია 6 ტომად, ტ.3 თბ. 1969წ.
- 2 ლიდიამ ნატროშვილის მონოგრაფია ანტონ ნატროშვილი და მისი წიგნი „მცხეთა და მისი ტაძარი სვეტიცხოველი“
- 3 დალი სულაშვილი — ქიზიყის დიდი მოამაგი, დედოფლისწყაროს ლიტერატურული აღმანახი – „ლიტერატურული ქიზიყი“.



### დიასვანი გიორგი ბაჩვილაძე

ნაგვისტოს ორმოცი შესრულდა, რაც აღესრულა ჩვენი მეგობარი და თანამოკალმე, ბოლო წლებში კი უკვე სამღვდელო ხარისხში მოღვაწე დიასვანი გიორგი ბაჩვილაძე. მან ბევრს დასწყვიტა გული ამა ქვეყნიდან ასეთი მოულოდნელი გასვლით. თუმცა „უფლის გზები გამოუკვლეველია“ და რაც ამ ქვეყნად ტკივილს გვაყენებს, ის იმ ქვეყნად, შეიძლება, სიხარულის სანინდარიც კი იყოს. უფალს შევთხოვთ მამა გიორგის სული დაამკვიდროს, „სადაც მართალნი განისვენებენ“, ხოლო მისი პოეზიის მოყვარულთ, ვთავაზობთ, ავტორის რამოდენიმე ლექსს, მათ შორის, მის მიერ 2009 წელში დაწერილ და ლევან ალავერდაშვილისათვის სამახსოვროდ დატოვებულ ლექსს, რომელიც არ გამოქვეყნებულა და რომლის ბოლო სტროფიც რაღაც ავბედითად საბედისწეროდ ჟღერს.

\* \* \*

ალბათ ფიქრობდი ჩემზე წუხელის  
შეთეთრებული კედლების ბინდში,  
წვიმის ხმაურში იდგა წუხილი  
გადარეული მწუხარე ფიქრში.  
გრძნობდი ფერების გადანაცვლებას  
გადაღალული მძიმე ტონებით,  
ლამე სხეულზე ისე გაცვდება,  
როგორც ბგერები კამერტონების.  
სდუმდი... ლანდები ქროდნენ წყვილებად.  
ბედუინები მზერას ძაბავდნენ,  
სიყვითლის ბერნი დაწყვეტილება  
დაულალავად ქროლვას აბამდნენ.  
სდუმდი, ლაჟვარდი უნდა გეხილა  
ზეცის, რომელსაც უცებ დაშორდი,  
მზე შუაგულზე გადატეხილა,  
თითქოს ოცნება იყო ბავშვობის.

### მახსოვს წვიმებმა დაგვწერეს ჭვარი

მინდა შევეხო შენს დაღლილ თითებს,  
ბედი სავსე მაქვს კითხვის ნიშნებით.  
სული როგორმე გამითბო იქნებ,  
ვიდრე სიკვდილზე დავინიშნები.  
გავფრინდეთ! მითხრა მწარე ცრემლებით,  
თუმცა დაღლილი ფრთები სტკიოდა,  
რომ აყვავდება კვლავ ეს ტყემლები,  
კვლავ მეც აღვდგები საიქიოდან.  
ვიფრინოთ სანამ ქარი ჩვენია,  
ერთმანეთს თვალზე მოვწმინდოთ ნამი,  
სანამ სიცოცხლე შემოგვრჩენია,  
სანამ ერთურთის გვიხილავს გვამი.  
ბუხარში მწუხრად ტკაცუნობს კვარი,  
და ნაცრისფერით დაგვყურებს ზეცა,  
მახსოვს, წვიმებმა დაგვწერეს ჯვარი,  
მე სევდა შენ კი ნისლები გეცვა.



\* \* \*

ბოლო დუმილი და უსასრულო...  
მწვანე ხავსივით რჩება კითხვები,  
მომაგონდები წამად წარსულო  
და ფოთოლივით მინას ვმკვიდრდები.

თანვე წამყვება მთების ზმანება  
და ანაბეჭდი მკერდზე ბაგისა,  
მერე კი მოსვლაც დამეზარება.  
თუკი გამჩენმა ესეც მაღირსა.

სიყრმეს მოირგებ, როგორც საყურეს,  
სამძიმარებით ტაძარს მიხვალ ხვალ,  
როცა სიცოცხლე ცას გადმოჰყურებს,  
მაშინ გმორდები, როცა მიყვარხარ.

მწვანე ხავსივით რჩება კვირტები,  
მომაგონდები წამად წარსულო...  
და ფოთოლივით მინას ვმკვიდრდები,  
ბოლო დუმილი... ცა უსასრულო.

\* \* \*

დაბინდებიდან დილა ახლოა,  
ცა კიპაროსებს კვერავს ლახვრებად,  
იქ წარსულების სამოსახლოა,  
იქ მოგონება ჩემი დაგხვდება.

გამოვიღვიძეთ, ვიყავთ არმაზზე,  
გიორგობისთვედ დულდა მაჭარი  
და ვუყურებდი სცენას ამაზრზენს,  
ლექსებს ყიდიდა ვილაც ვაჭარი.

ვიცი დამლუპავს, მძიმეა ხვედრი.  
გზად გამიღიმეს შენებრ შინდებმა,  
თუ დამებედა მეც შენი ბედი,  
მერე არაფრის შეგვემინდება.

წმიდა ელიას მონასტერი  
VI სსუკუნე

